ბაღდატრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

10 ოქტომბერი **ორშაბათი** 2011
№238 (13535) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟორჟოლიანის ასიანი ოქრო

ბაქოს მსოფლიოს თასი და ჩვენი საფიქრალი 10

სერია A-ს სერიული ქართული მოგებები

მეტრეველი 9, მარკოიშვილი 10, სანიკიძე 13

იტალიის ახალი ჩემპიონატი ქართული გამარჯვებებით გაიხსნა. **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუმ“ სტუმრად „კრემონა“ 72:60 დაამარცხა. ქართველმა უკანახაზელმა 16 წუთში 10 ქულა და 1 პასი მოაგროვა.

ვიქტორ სანიკიძის „ვირტუსს“ ბოლონიაში „რომას“ დასაძლევად ოვერტაიმი დასჭირდა. ძირითადი დრო 71:71 დასრულდა, საბოლოოდ 93:91 „ვირტუსის“ სასარგებლოდ. ვიქტორმა სწორედ იმდენი ჩააგდო, რა ნომერიც ზურგზე ანერია - 13 ქულა (6 მოხსნა 34 წუთში).

სერია A-ს 9 ქულითა და 5 მოხსნით (18 წუთში) დაუბრუნდა **ნიკა მეტრეველი**, რომლის „დინამო სასარმ“ „მონფერატო“ 78:58 დაამარცხა. მანამდე, 2008-10 ნლებში ნიკას „მონტეპასკის“ მაისურით 5 მატჩი ჰქონდა ჩატარებული.

ვაჟა სიმონიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული ბიბლიოთეკა

შენგელიამ ბელგია ორმაგი დუბლით გახსნა

22 წუთი
16 ქულა
12 მოხსნა

ევრობასკეტი 2013 წილისყრა დეკემბერში

SLOVENIA 2013

საკალათბურთო ამბები 12

გულდანყვეტილი, მაგრამ მუდამ თქვენი ქომაგი...

ჰაფრავისცემით, ბუბა დაუშვილი 2



ზაზა ფაჩულია ევრობასკეტსა და სამომავლო გეგმებზე

ლელოს ექვალიფდელ ნომერში: ინტერვიუ საქართველოს ნაკრების კაპიტანთან

ანონსი

ეროვნული ნაკრები. მეტოქეები

ხორვატია საქართველოს იმედზეა

ხორვატიის ნაკრებს მიმდინარე შესარჩევ ციკლში მეორე მარცხი საბერძნეთმა აგემა, პირველად კი, ადვილი გასახსენებელია, **სლავენ ბილიჩის** გუნდმა თბილისში წააგო.

პირეოსის "გიორგიოს კარაისკაკისზე" ერომანეთს ჯგუფში პირველობის პრეტენზიის მქონე ორი გუნდი დაუპირისპირდა. გამარჯვებულის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო, ამ მატჩში სამივე შედეგი მოსალოდნელი იყო, საბოლოოდ კი ისე მოხდა, რომ ბერძნებმა მეორე ტაიმი მეტოქეზე გაცილებით უკეთ ჩაატარეს, ორი უპასუხო გოლი გაიტანეს და, თუ თბილისში არ წაიბორძიკეს, ევრო 2012-ის შესარჩევ ციკლს დაუმარცხებლად ჩაამთავრებენ.

შესვენებამდე საინტერესო ბევრი არაფერი მომხდარა. მასპინძლებიც და სტუმრებიც გადამეტებულად ფრთხილობდნენ და აქცენტს საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე აკეთებდნენ. სამაგიეროდ, მატჩის მეორე ნახევარში **ფერნანდუ სანტუშის** გუნდი ჩვეულად, სწრაფად და კომბინაციურად ათამაშდა და ჯერ **გიორგიოს სამარასის** ეფექტური გოლით დაწინაურდა, რვა წუთში კი **თეოფანის გეკასის** თავურით ხორვატთა იმედებს ციცი წყალი გადაასხა.

საქართველოს ნაკრებისთვის ხელსაყრელი კი ამ შეხვედრაში ის მოხდა, რომ ბერძენთა ლიდერმა სამარასმა ამ ციკლში მეორე გაფრთხილება მიიღო, რაც თბილისში თამაშის უფლებას არ აძლევს. სხვათა შორის, პირველი გაფრთხილება მან სწორედ საქართველოსთან მატჩისას მიიღო. სამარასის გარდა, ჩვენთან მატჩისთვის დისკვალიფიცირებულია მცველი **იანის ზარადუკასი**.

ლატვიამ, როგორც მოსალოდნელი იყო, შინ მალტას სძლია და სატურნირო ცხრილშიც გადაგვასწრო. ვეჭვობთ, ბალტიელებს ხორვატიაში წარმატების დიდი შანსი ჰქონდეთ, ამიტომაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეოთხე ადგილის ბედი ჩვენს ხელში უფროა.

მოკლედ იმის შესახებ, ვის რა შედეგი აძლევს ხელს ბოლო ტურში. დავიწყოთ საბერძნეთით, რომელსაც ჯგუფში პირველობისა და ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის დასაბევებლად თბილისში ფრეც ჰყოფნის. ხორვატია სანტუშის გუნდს ქულებით რომც გაუთანაბრდეს, ურთიერთშეხვედრების მაჩვენებლით მაინც ჩამორჩება.

სამაგიეროდ, ფრე არაფერს აძლევს საქართველოს ნაკრებს. თუ ხორვატიამ ლატვია დაამარცხა და ჩვენ ბერძნებთან ქულა ავიღეთ, მაინც მეხუთე ადგილზე ჩავრჩებით, რადგან ლატვიამ ურთიერთშეხვედრებში გვაჯობა. ასე რომ, **თემურ ქეცბაიას** გუნდმა 11 ოქტომბერს მხოლოდ გამარჯვებისთვის უნდა იბრძოლოს.

ისრაელის ნაკრები მესამე საფეხურზე მყარად დგას და ამ პოზიციის შესანარჩუნებლად მალტაზე ფრეც ჰყოფნის.

სანტუში საქართველოში ჩამოსვლის წინ ოპტიმისტურადაა განწყობილი: "საქმე საკმაოდ სერიოზულ გუნდთან გვექნება, რომელმაც საბერძნეთში დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია და ქულა აგვართვა, თუმცა ამჯერად საქართველოს ნაკრებთან მატჩის უდანაკარგოდ დასრულებას ვაპირებთ. ჩემმა ბიჭებმა ხორვატიასთან უპრინციპულესი შეხვედრა დამაჯერებლად მოიგეს, მაგრამ ყველას კარგად გვესმის, რომ ამით საბოლოო მიზნისთვის არ მიგვიღწევია და გადამწყვეტი ნაბიჯი თბილისში უნდა გადავდგათ".

სამარასმა კი ეს თქვა: "ეს უდიდესი და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება იყო. ამ მატჩში ჩვენმა გუნდმა კლასი და ხასიათის სიმტკიცე გამოავლინა. პირველ ტაიმში ნერვიულობა გვეტყობოდა, თუმცა შემდეგ ჩვენი საუკეთესო თვისებების გამოვლენა შევძელით. ზეიმი კი რამდენიმე დღით უნდა გადავდოთ. დარწმუნებული ვარ, საბერძნეთის ნაკრები საქართველოში სასურველ შედეგს მიაღწევს".

ხორვატიის ნაკრების თავდამსხმელი **ედუარდო:** *"ძალიან მნიშვნელოვანი თამაში წავაგეთ. რა მეთქმის, ცუდად ვითამაშეთ და შედეგიც შესაბამისი მივიღეთ. ისღა დაგვრჩენია, დღევანდელი დღე სასწრაფოდ დავივიწყოთ. საბედნიეროდ, ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსი არ დაგვიკარგავს*

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. საბერძნეთი	9	6	3	0	12-4	21
2. ხორვატია	9	6	1	2	16-7	19
3. ისრაელი	9	4	1	4	11-11	13
4. ლატვია	9	3	2	4	9-10	11
5. საქართველო	9	2	4	3	6-7	10
6. მალტა	9	0	1	8	4-19	1

ბოლო ტური

11 ოქტომბერი

საქართველო-საბერძნეთი
ხორვატია-ლატვია
მალტა-ისრაელი

ლევან ჯანეზაშვილი

ბერძნების ტრიუმფი: ხორვატია დამარცხებულია!

ინტერვიუ

გულდანყვეტილი, მაგრამ მუდამ თქვენი ქომაგი...



ჰაცკევისცემით, ბუბა დაუშვილი

დიდი მადლობა თემურ ქეცბაიას!



ბუბა დაუშვილი (№8) და ლუკა მოდრიჩი

"ზესტაფონის" დუბლებში გადაყვანილი ბუბა დაუშვილი ამბობს, რომ ეროვნული ნაკრების თავკაცთა მხარდაჭერა მისთვის მოულოდნელი და ძალიან გასახარი იყო.

- დუბლებში გადაყვანილი მოთამაშისთვის ნაკრებში გამოძახება მოულოდნელი იქნებოდა.

- რა თქმა უნდა, ასეა ლამის სამი თვეა, უთამაშებელი ვარ, დუბლებში გადაყვანილი კი ნაკრებში გამოძახებას არ ველოდი. ამ ნდობისა და თანადგომისთვის თემურ ქეცბაიას უდიდეს მადლობას მოვახსენებ. კარგად მესმის, რომ ნაკრების მწვრთნელისთვის მძიმე გადასაწყვეტი იყო უთამაშებელი ფეხბურთელისის გამოძახება. ამიტომ უფრო მინდა, ნდობა გავუმართლო.

- დუბლებში ვარჯიშით ფორმის შენარჩუნებას ახერხებ?

- მონდომებას არ ვაკლებ, შეძლებისდაგვარად ვემზადები, მაგრამ ძნელია, როცა დუბლებშიც არ გათამაშებენ.

- სათადარიგოებში ყოფნით, მით უფრო, უთამაშებლობით, ფორმის შენარჩუნება თითქმის შეუძლებელია.

- არც ვიცი, როგორ ფორმაში ვარ, რადგან მდგომარეობა თამაშით და თამაშებით ფასდება, მე კი, როგორც გითხარით, დუბლებშიც არ მაყენებენ. რას ვიზამ, მაინც ვცდილობ, გულიანად ვივარჯიშო და ყველაფერი გავაკეთო საიმისოდ, ფორმა მინიმალურ დონეზე მაინც რომ შევინარჩუნო.

- მოდი, ობიექტურად ვთქვათ: "ზესტაფონის" პრეზიდენტ ილია კოკაიას გაღიზიანებაც გასაგებია — კაცი თავს გევლებოდა და ნასვლის თაობაზე უნდა გაგეფრთხილებინა.

- ყველაფერი შეიძლებოდა, მაგრამ მიმაჩნია, რომ სად გადავალ, ეს ჩემი პირადი საქმეა, რაც ძველი კლუბისადმი უპატივცემულობას სულაც არ ნიშნავს. ბოლოდროინდელი უსიამოვნო ვითარების მიუხედავად, ილია კოკაიას მიმართ დამოკიდებულება არ შემიცვლია. მე ყოველთვის ვიტყვი, რომ "ზესტაფონი" ჩემთვის ყოველთვის იქნება საქართველოში საუკეთესო გუნდი და მას მუდამ ვუგულშემატკივრებ.

"ზესტაფონში" ექვსი წელი ვითამაშე, რაც ცოტა ხანი ნამდვილად არ არის. ამ კლუბმა ბევრი რამ შემძინა, მაგრამ დადგა დრო, როდესაც გადაწყვეტილება უნდა მიმეღო და მეც კარიერის უცხოეთში გაგრძელება გადავწყვიტე.

- "კარპატისთან" წინასწარ გაფორმებული კონტრაქტის შემდეგ "ზესტაფონის" პრეზიდენტთან არ გილაპარაკია?

- არა, ეს არ მომხდარა.

- ლვოვში როდის მიდიხარ?

- საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპი და "ზესტაფონთან" საკონტრაქტო ვადა როგორც კი დასრულდება, უკრაინაში გავემგზავრები და გუნდთან ერთად ვივარჯიშებ. ასე რომ, ამ მხრივ ყველაფერი უცვლელადაა.

- მოსამზადებელი ეტაპისას ფორმის აღდგენა, ალბათ, არ გაგიჭირდება.

- მეც ამის იმედი მაქვს. მაგრამ ამდენი ხნის უთამაშებლობა მაინც ძნელი დასაძლევია, ფორმას კი ეშველება, მაგრამ მორალურად არის ძნელი, დღეები თითქოს ჩვეულებრივზე მეტად იწელება. ასე მგონია, ეს სამი თვე სამი წელინადივით გაიწელა. მეორეც არის: ფეხბურთელი თამაშს რომ უყურებ და შენიანს ვერ ეხმარები, ეს მძიმე გადასატანია.

მერაბ მამულაშვილი

მსაჯები

ახალგაზრდა ძნელი მატჩი

ცნობილი გახდა იმ არბიტრის ვინაობა, რომელიც 11 ოქტომბერს საქართველოსა და საბერძნეთის ეროვნული ნაკრებების მატჩს განსჯის. ეს გახლავთ იტალიელი **დანიელე ორსატო**, რომელიც შეხვედრას თანამემამულე მსაჯებთან ერთად გაუძღვება. ცნობისთვის, ორსატო 35 ნლისაა და საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილება ნაკლებად აქვს.

ნიკა გვათუა

დანიელე ორსატო

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი [illegible]ხეილ ჯაში; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბ[illegible] (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-და[illegible]**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:15

მისამართი: **ოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 IND.** [illegible]ბეჭდვა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონ[illegible] საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● ლეგიონერი

ზესტაფონი-შტურმი. გიორგი ფოფხაძე (№2) და თორნიკე აფციაური

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

გიორგი ფოფხაძე: თუ რამ არ მინდოდა, ზესტაფონთან შეხვედრა არ მინდოდა

შურისძიება აეკ-ზე? რატომაც არა!

24 წლის მცველმა გიორგი ფოფხაძემ ავსტრიულ „შტურმთან“ კონტრაქტი ზაფხულში გააფორმა და გუნდის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება არ გასჭირვებია. ახლა იგი ევროპის ლიგაზე ასპარეზობს და საკმაო წარმატებითაც. რატომ არ დარჩა „ზესტაფონში“ და სურდა თუ არა ყოფილ კლუბთან თამაში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე? ამ და სხვა საკითხებზე „ლელო“ გიორგი ფოფხაძეს ესაუბრა.

- „შტურმში“ „ზესტაფონიდან“ გადახვედი, შემდეგ გაირკვა, რომ იმერლებს შენი დატოვება სურდათ, მაგრამ აღარ დარჩი. რატომ?

- ბევრი მიზეზი იყო. თავდაპირველად კონტრაქტი 6 თვე + 2 წელი სისტემით გავაფორმეთ, პირველი, საცდელი პერიოდის მერე შემდგომზე უნდა მოგველაპარაკა, მაგრამ უკვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ აღარ დავრჩებოდი. შვიდმა თუ რვა თამაშმა მომიწია, ხანაც გაციებული ვიყავი. დანიაში ოთხი ნელი ვიცხოვრე და ზესტაფონში დარჩენა ძალიან გამიჭირდა. გუნდზე ამას ვერ ვიტყვი, კარგად შევეწყვე, მწვრთნელთან და ფეხბურთელებთან თავს კარგად ვგრძნობდი, მაგრამ როდესაც კონტრაქტზე დავილაპარაკეთ, შემოთავაზებულ პირობებზე ვეღარ შევთანხმდით და წამოვედი „ზესტაფონიდან“.

- ამბობენ, რომ “შტურმთან” რეკომენდაცია თავად გია გეგუჩაძემ, “ზესტაფონის” მაშინდელმა მწვრთნელმა გაგიწია. მართალია ეს ამბავი?

- გიასთან ამაზე არ მილაპარაკია, არც ის ვიცი, რეკომენდაცია გამიწია თუ არა, ფარულად თუ აკეთებდა ამას, ვერ გეტყვით. „შტურმი“ წელიწადნახევარი მაკვირდებოდა, თანაც კარგად მიცნობდნენ. ნახეს, რომ თავისუფალი აგენტი ვიყავი და ჩემმა მენეჯერმა იმუშავა ამ კონტრაქტზე.

- როგორც ვიცი, „შტურმს“ მაშინაც უნდოდი, „ვიბორგში“ რომ თამაშობდი, მაგრამ დანიელებმა საკმაო თანხა მოითხოვეს.

- კი, ასე იყო. შემოთავაზება მართლაც მოვიდა, მაგრამ “შტურმმა” „ვიბორგის“ მიერ დასახელებული თანხის გადახდაზე უარი განაცხადა და რადგან ფული არ გადაიხადა, „ვიბორგში“ დავბრუნდი. მერე, ავსტრიელებმა რომ გაიგეს, თავისუფალი აგენტი ვიყავი და თანხის გარეშე შეეძლოთ ჩემი ნაყვანა, 1+2-წლიანი სისტემით გავაფორმეთ კონტრაქტი. დღესდღეობით ყველაფერი კარგად მიდის და, სავარაუდოდ, მალე ორწლიან კონტრაქტს გავაფორმებ.

- ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „შტურმი“ „ზესტაფონს“ დაუპირისპირდა. ყოფილი გუნდის წინააღმდეგ განსაკუთრებული მოტივაცია გქონდა? მწვრთნელი ფრანკო ფოდა თუ გელაპარაკა თამაშამდე?

- ყველაზე მეტად მე არ მინდოდა, „ზესტაფონს“ რომ შევხვედროდით. იქ ექვსი თვე ვითამაშე, მაგრამ ძალიან კარგი შთაბეჭდილება დამრჩა ამ გუნდზე, ბიჭებთან კარგი ურთიერთობა მქონდა და მინდოდა, რომ „ზესტაფონს“ გზა გაეგრძელებინა ევროტურნირზე. არ გამიმართლა, ჩემს ყოფილ გუნდთან მომიწია დაპირისპირებამ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რადგან „ზესტაფონს“ ვხვდებოდით, მის წინააღმდეგ არ მეთამაშა. ფრანკო ფოდას თამაშამდე ნამდვილად არაფერი უკითხავს ზესტაფონელთა ტაქტიკაზე ან სხვა რამეზე. გუნდს ჰყავს სკაუტები და ის ადამიანები, ვინც თამაშებს აკვირდება, ფეხბურთელს ამას არ ეკითხებიან. მხოლოდ ის მითხრა, თუ გრძნობ, რომ ვერ ითამაშებ, არც ითამაშოო, მაგრამ საჭიროდ ჩავთვალე, მოედანზე გავსულიყავი.

- „შტურმმა“ ევროპის ლიგაზე ათენში აეკ დაამარცხა, ბერძნებმა კი მანამდე თბილისის „დინამო“ გამოთიშეს ტურნირს — შენი მხრიდან ეს ერთგვარი შურისძიება იყო აეკ-ზე?

- ამის შეგრძნება ნამდვილად მქონდა. მას შემდეგ, რაც „ზესტაფონი“ გამოვთიშეთ ჩემპიონთა ლიგას, მინდოდა, რომ „დინამო“ მაინც გასულიყო ევროტურნირის შემდეგ ეტაპზე. ვუყურე „დინამო“ - აეკ-ის თამაშს და გულდაწყვეტილი დავრჩი, ბერძნებს არაფრით უჯობნიათ ქართველებისთვის, ვიტყოდი, რომ „დინამოს“ არ გაუმართლა. ამიტომ ძალიან გამახარა იმან, აეკ-ს რომ მოვუგეთ და თუ ქართველებს ჰგონიათ, რომ შური ვიძიე, ამას რა სჯობს.

- „შტურმში“ დავით მუჯირს, ილია კანდელაკსა და გიორგი შაშიაშვილს უთამაშიათ. როგორ ფიქრობ, შენი ავსტრიული კარიერა მათსაზე უკეთესი იქნება?

- ამას ვერ გეტყვით. მუჯირი ძალიან კარგად თამაშობდა, საერთოდაც, ყველა ქართველმა კარგი სახელი დატოვა აქ. მეც იმავეს ვაპირებ, მიმაჩნია, რომ „შტურმის“ ოჯახის წევრი ვარ, გულშემატკივარს ვუყვარვარ და თამაშით სიამოვნებას ვიღებ. ქართულ ფეხბურთს და მის სახელს ნამდვილად არ შევარცხვენ.

- ევროპაში მოთამაშე ბევრი ქართველი ფეხბურთელი არ თამაშობს ელიტურ ლიგაში. შენ ევროპის ლიგაზე ასპარეზობ და საკმაოდ წარმატებითაც, მაგრამ ნაკრებში მაინც არ გიძახებენ...

- თუ მწვრთნელი არ მიიჩნევს საჭიროდ ნაკრებში ჩემს გამოძახებას, ეს ჩემი საქმით უნდა დავუმტკიცო. მე ჩემი გეგმები და მოთხოვნები მაქვს საკუთარი თავისადმი, სად, როგორ ვითამაშო, თემურ ქეცბაიასაც აქვს თავისი გეგმა, ტაქტიკა, მონახაზი. ნაკრებში ჩემს პოზიციაზე მას კახა კალაძე ჰყავს, უგამოცდილესი და ტიტულოვანი ფეხბურთელი, რომელიც “შტურმზე” უკეთეს გუნდში თამაშობს, ამიტომ პრეტენზია არც მაქვს.

- როგორ ფიქრობ, იმსახურებ გამოძახებას?

- ვერც ამას გეტყვით. აქაურმა ჟურნალისტმაც მკითხა ამის თაობაზე და მანდ ისე თარგმნეს, თითქოს გაკვირვებული ვარ ნაკრებში გამოუძახებლობით. მე ეს არ მითქვამს. ნაკრებში თამაში ჩემი ბავშვობის ოცნებაა და ფეხბურთს სწორედ ამიტომ ვთამაშობ. ბუნებრივია, მინდა, რომ ნაკრებში ვითამაშო, მთავარი ესაა, ჯერი კი ბატონ თემურზეა. ერთი ვიცი, რომ არ დავიჩაგრები!

მაგდა კლდიაშვილი

● საკონტროლო მატჩი

ეროვნული ნაკრები

ზესტი ჩემპიონთან

დევდარიანი მომავალს არჩევს

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა, რომელიც ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპისთვის ემზადება, საკონტროლო მატჩი “ზესტაფონთან” ჩაატარა და 2:4 დამარცხდა. ბუნებრივია, საქართველოს ჩემპიონთა შემადგენლობაში არ უთამაშიათ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში გამოძახებულ ფეხბურთელებს, ამას გარდა, ზესტაფონელებს 19-წლამდელებში გამოძახებული რამდენიმე თავისიანიც დაუპირისპირდა.

“ზესტაფონმა” ამ შემადგენლობით ითამაშა: **მამალაძე (46. მეშველიანი), ალადაშვილი (51. ბენაშვილი), გ. ონიანი, საჯაია, თ. ღონღლაძე (46. ელიავა), გაჩეჩილაძე (51. გორგიაშვილი), ბაბუნაშვილი (34. აფციაური), ძარია (22. ჭანკოტაძე), ფიფია (51. სარდალიშვილი), დვალი (38. ს. ლომია}, წინამძღვრიშვილი (51. ღირდალაძე).**

საქართველოს 19-წლამდელთა რიგებში კი გაცილებით მეტი ფეხბურთელი გამოჩნდა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი დევდარიანმა**, რომელსაც ევროპირველობის საკვალიფიკაციო ციკლში წასაყვანი 18 ფეხბურთელი ჯერ არ შეურჩევია, “ზესტაფონს” გაფართოებული კონტინგენტი დაუპირისპირა: **დავით ლეგაშვილი** („სასკო“), **გიორგი ბერია** („მერანი“, მარტვილი), **გიორგი პაპავა** („დინამო“ თბილისი), **თედო კაკულია** („დინამო“ თბილისი), **ცოტნე ხარაბაძე** („ტორპედო“, ქუთაისი), **ლაშა პარუნაშვილი** („დინამო“ თბილისი), **ალექსანდრე რეხვიაშვილი** („დინამო“ თბილისი), **ბუბა რუხაძე** („სპარტაკი“, ცხინვალი), **გიორგი ქვილითაია** („სასკო“), **ლევან ტყეშელაშვილი** („დინამო“ თბილისი), **თორნიკე გრიგალაშვილი** („ზესტაფონი“), **ნიკა სანდოხაძე** („დინამო“ თბილისი), **გიორგი კალანდია** („ვიტ ჯორჯია“), **ნოდარ კიკნაველიძე** („ზესტაფონი“), **ვალერი კილასონია** („სპარტაკი“, ცხინვალი), **გურამ სამუშია** („ბაია“, ზუგდიდი), **ონისე ჩინჩალაძე** („ტორპედო“, ქუთაისი), **კახაბერ კაკაშვილი** („სპარტაკი“, ცხინვალი), **დავით გელაშვილი** („სპარტაკი“, ცხინვალი), **არჩილ ტვილდიანი, ოთარ დოლიძე** (ორივე — „დინამო“ თბილისი), **მალხაზ გაგოშიძე** („ზესტაფონი“), **უჩა ბურძენაძე** („სპარტაკი“, ცხინვალი), **ავთანდილ ენდელაძე** („ბაია“, ზუგდიდი).

რაც შეეხება შეხვედრის მიმდინარეობას, მე-4 წუთზე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები **ვალერი კილასონიამ** დააწინაურა, ერთ წუთში კი **გოგი ფიფიამ** წონასწორობა აღადგინა. მანვე 36-ე და 50-ე წუთებზეც გაიტანა და ჰეთ-თრიქი გაიფორმა, 58-ე წუთზე კი თავი **საბა ლომიამ** გამოიჩინა. ჭაბუკები დიდი ანგარიშით მარცხს არ შეურიგდნენ და 67-ე წუთზე მატჩის საბოლოო ანგარიში **დავით გელაშვილმა** დააფიქსირა.

შეხვედრა “ზესტაფონის” საწვრთნელ ბაზაზე გაიმართა და მას 200-მდე გულშემატკივარი დაესწრო.

ლევან ჯანეზაშვილი

ფოტო: www.fczestafoni.ge

● საკონტროლო მატჩი

ვიტელები და სტუდენტები: სასარგებლო ლექცია



“ვიტ ჯორჯია” სანაკრებო პაუზით ისარგებლა და საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა. ვეტერინართა მეტოქე სტუ იყო, უმაღლესლიგელებმა 2:! გაიმარჯვეს. ანგარიში 52-ე წუთზე **გიგა ჯუღელმა** გახსნა, 70-ე წუთზე წონასწორობა **გოგატიშვილმა** პენალტით აღადგინა, გამარჯვების გოლი კი 89-ეზე **დავით მაისაშვილის** პასით **ლევან კუხალეიშვილმა** გაიტანა.

“ვიტ ჯორჯია” პირველ ტაიმში: **ძაძამია - ხურცილავა, ადამაძე, კასრაძე, ღანიაშვილი - გურამ გურეშიძე, ვასაძე - კორიფაძე, ჯანელიძე, ზაქრაძე - ჩიმაკაძე.**

მეორე ტაიმში: **სვანაძე - ხუჭუა, ხუმარაშვილი, გოგიაშვილი, ოთარიშვილი - მაისაშვილი, ჯაყელი - ვაშაკიძე (80. კუხალეიშვილი), გიორგი გურეშიძე, ჯუღელი - სიხარულიძე.**

ლევან ჯანეზაშვილი

რეკლამის მენეჯერის
ვაკანსია „ლელოში“
E-mail:hr@kvirispalitra.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები

ვითამაშოთ: ღირსებისა და... კოზიაშვილისთვის!

როცა სომხების და ესტონელების შეგშურდება...

...ორი დღეც და 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი დასრულდება; შეგახსენებთ, ფინალურ ტურნირზე 16 გუნდი იასპარეზებს და მასპინძლების (პოლონეთი, უკრაინა) გარდა ევრო-2012-ზე წასვლა განაღდებული აქვთ გერმანიას, იტალიას, ჰოლანდიას, ინგლისსა და ესპანეთს; თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, რუსეთიც უპრობლემოდ გაემგზავრება უკრაინა-პოლონეთში: დიკ ადვოკაატის გუნდს ბოლო ტურში ანდორასთან საშინაო შეხვედრაში ფრეც ჰყოფნის! დანარჩენ სამ ჯგუფში კი ყველაფერს ბოლო ტური გაარკვევს, თანაც, ორგან სწორედ კონკურენტები ხვდებიან ერთმანეთს: საფრანგეთი-ბოსნია და დანია-პორტუგალია, აი F ჯგუფში კი გამარჯვებულის ვინაობა... თბილისში უნდა გაირკვეს: საბერძნეთის ნაკრებს ფრეც ჰყოფნის უკრაინა-პოლონეთის საგზურის მოსაპოვებლად! ანუ, ხორვატიამ როგორი ანგარიშითაც არ უნდა დაამარცხოს ლატვია, სასურველი ქულის მოპოვების შემთხვევაში ჩვენ ჯგუფში პირველ ადგილს მაინც ბერძნები დაიკავებენ (ხორვატებს ურთიერთშეხვედრებში ჯობიან). ჯგუფში გამარჯვებულების გარდა არანაკლები მნიშვნელობა აქვს მეორეადგილოსანთა ვინაობის გარკვევასაც: რვა გუნდი პლეი ოფში დაწყვილდება და ევრო-2012-ის ოთხ საგზურს გაითამაშებს, ხოლო საუკეთესო მეორეადგილოსანი ავტომატურად მოხვდება ფინალურ ეტაპზე. დღესდღეობით ისეთი სიტუაციაა, რომ საუკეთესო მეორეადგილოსნობის ყველაზე კარგი შანსი შვედეთის ნაკრებს აქვს, სხვა ჯგუფებიდან კი პლეი ოფში მოხვედრა ჩერნოგორიამ გაინაღდა და ზემოთდასახელებული წყვილებიდან (საფრანგეთი-ბოსნია, დანია-პორტუგალია) უარესი შედეგის მქონე გუნდებმა. ჩვენს ჯგუფშიც გაკრვეულია პლეი ოფის საგზურის მფლობელის ვინაობა: ოღონდ, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ საქართველოს ნაკრების „გადასანყვეტი“ გახდეს, თუ რომელი ნაკრები დაიკავებს პირველ ადგილს და რომელი - მეორეს! აი, სხვაგან კი მართლაც დაძაბული სიტუაციაა და ჩვენთვის განსაკუთრებულად საინტერესო თუ მნიშვნელოვანი (უფრო ზუსტად, გასათვალისწინებელი) B და C ჯგუფებია: ბოლო ტურის წინ პლეი ოფში გასვლის რეალური შანსი აქვთ სომხეთისა და ესტონეთის ნაკრებებს! ისინი სულაც საკუთარ თავზე არიან დამოკიდებულნი — სტუმრად უმძიმესი მატჩი ელოდებათ ჯოვანი ტრაპატონის ხელმძღვანელობით მოასპარეზე ირლანდიასთან და გამარჯვების შემთხვევაში ახალგაზრდა მწვრთნელის, ვარდან მინასიანის მართლაც სიმპათიური გუნდი პლეი ოფში ითამაშებს! აი, ესტონელებმა კი შესარჩევი ციკლი უკვე დაამთავრეს და სლოვენია-სერბეთის შედეგს დაელოდებიან; სლოვენიელთათვის ამ მატჩს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, სერბებს კი მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება ესაჭიროებათ, თორემ ფრის შემთხვევაშიც პლეი ოფში... ესტონეთის ნაკრები გავა! ისე, ვინ წარმოიდგენდა, რომ ესტონელები შესარჩევ ციკლს 5 მოგებით, მეტოქის კარში გატანილი 15 ბურთითა და 16 ქულით დაამთავრებდნენ? აღარაფერს ვამბობთ ჩვენს მეზობლებზე, მართლაც არნახული პროგრესით რომ შეუძლიათ იამაყონ: ჯერ შესარჩევი ეტაპი არ დამთავრებულა და სომხეთს 5 მოგება, 21 გოლი და 17 ქულა აქვს! არადა, ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინათ ჩვენც იმას ვბჭობდით, ბოლო ტურის წინ 18 ქულა გვექნებოდა თუ 19, მაგრამ ხორვატებთან მოგების შემდეგ ჩატარებულ ოთხ მატჩში საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ და მხოლოდ 1 (ერთი!) ქულა მოაგროვა...

2007 წელი. საქართველო-შოტლანდია 2:0

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ვამაყობდით და ვხარობდით

ნახევარი წლის წინ კი არა, ცოტა უფრო ადრე სულაც საამაყოდ გვქონდა საქმე: საქართველოს ნაკრებმა შარშანდელი წელიწადი ხომ წაუგებლად დაასრულა! ჰო, ვამაყობდით და ვხარობდით: საქართველოს ნაკრებმა მართლაც კოშმარულ 15-მატჩიანი მოუგებელ სერიას ხომ ამჯერად უკვე შთამბეჭდავი და წარმატებულ-წაუგებელი სერია მოაყოლა! თუმცა ამ ციფრების და სერიების იქითაც ბევრი რამ იყო, შეგნებულად თუ შეუგნებლად თვალს რომ ვხუჭავდით; მერე რა, რომ ჩვენი ნაკრები ნებისმიერ მატჩში და ნებისმიერ მეტოქესთან, როგორც წესი, „მეორე ნომრად“ თამაშობდა - მთავარი ხომ ჩვენთვის სასურველი შედეგის მიღწევა იყო და ზედმეტად ფრთხილ ტაქტიკასაც ვითომ ვერ ვამჩნევდით. ანდა, რატომ უნდა „შეგვემჩნია“ თუ გაგვეკრიტიკებინა — როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოგების „გემოც“ გავიხსენეთ, წაუგებლად ასპარეზობაც, მეტოქეებს ჩვენ კარში გოლების გატანა უჭირდათ და ამასობაში სატურნირო ცხრილშიც ნელ-ნელა წინ მივინევდით. კიდევ ვიმეორებთ: საქართველოს ნაკრების თამაშში ბევრი რამ არ მოგვწონდა, მაგრამ დაუნახაობაც ცუდი თვისებაა და არც ის გვინდოდა, ვინმეს „ჩასაფრებად“ მიეჩნია ამა თუ იმ საკითხზე სხვებისგან განსხვავებული ჩვენი პოზიცია. როგორ ფიქრობთ, ჟურნალისტებს არ უხარიათ საქართველოს ნაკრების წარმატება? თუმცა ჩვენთან ხომ რატომღაც „უცნაური წესია“ დამკვიდრებული: ნებისმიერი განსხვავებული აზრი (კრიტიკაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი) და მაშინათვე „მტრის ხატი“ იქმნება; ან, იქნებ ჩვენთვის იყო უცხო ის რეალობა, საქართველოს ნაკრები კი არა, მთლიანად ქართული ფეხბურთი მაღალი კლასის მოთამაშეთა დეფიციტს რომ განიცდიდა? კი, გვყავს სამი-ოთხი ისეთი ფეხბურთელი, უდიდესი საერთაშორისო გამოცდილება რომ აქვს (აი, „ვიღაცებმა“ ზედმეტად დაბერებულად რომ მიიჩნიეს), პლუს ერთი-ორი პერსპექტიული ახალგაზრდა და... მორჩა! აღარაფერს ვამბობთ იმ ძველისძველ და მართლაც ქრონიკულ პრობლემებზე: უცხოეთში მოთამაშე ჩვენი ფეხბურთელების უმრავლესობა სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობას განიცდის (ჩვენს მართლაც დამსახურებულ ვეტერანებს — **კახა კალაძეს, ლევან კობიაშვილს, ალექსანდრე იაშვილს, ზურაბ ხიზანიშვილს** ეს არ ეხებათ!), ხოლო ჩვენი ჩემპიონატის დონე, სამწუხაროდ, წლიდან წლამდე უკან და უკან მიდის. ან, რომელ დონეზეა ლაპარაკი, როცა ქვეყანაში ერთი-ორი ხეირიანი სტადიონიც არა გვაქვს?

1997 წელი. საქართველო-იტალია 0:0

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

... 26 მარტს, ხორვატიასთან მოგებული მატჩის მერე მართლაც იმის ფიქრში ვიყავით, ბოლო ტურის წინ რამდენი ქულა უნდა გვქონოდა; სამწუხაროდ, ყველაფერი სწორედ ამ თამაშის მეორე დღიდან დაიწყო: ნაკრებიდან **გოგიტა გოგუას** მოკვეთა, ზედიზედ ორი მარცხი ისრაელთან და იგივე ხორვატიასთან, რასაც უკვე... ღია კრიტიკაც მოჰყვა! ჰო, მანამდე ხომ ყველა თვალს ვხუჭავდით, აი, ზედიზედ იმ ორმა წაგებამ კი ქართული მედიის სამართლიანი რეაქცია გამოიწვია; ოღონდ, საქართველოს ნაკრების თავკაცს **თემურ ქეცბაიას** (2010 წელს სრულიად სამართლიანად და დამსახურებულად რომ ვაღიარეთ „წლის მწვრთნელად“), იმაზე კი არ ვაკრიტიკებდით — ისრაელთან დბ ხორვატიასთან სტუმრად ჩატარებული ორ შეხვედრიდან რატომ ორივე არ მოიგეო, არამედ ჩვენი ნაკრების თამაშის სტილის გამო...

აი, ეს კი გვეხერხება – კარის გაჯახუნება!

...ხვალ სომხები უმნიშვნელოვანეს შეხვედრას ჩაატარებენ და როგორც არ უნდა დასრულდეს დუბლინური მატჩი, ჩვენი მეზობლები შესარჩევ ეტაპს, მესამე ადგილს ქვემოთ არ დაამთავრებენ; 16 ქულიანი (!) ესტონეთიც ანალოგიურ სიტუაციაშია — საუკეთესო შემთხვევაში მეორე ადგილზე გავა, უარესში — მესამეზე! აი, ჩვენ კი, როგორც ადრე არაერთხელ მომხდარა, „კარის გაჯახუნებაღა“ დაგვრჩენია და მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება აგვაცილებს ჯგუფში ბოლოსწინა ადგილს! არა, მართლაც უცნაურად მოხდა ყველაფერი: ექვსიოდე თვის წინ თუ იმას ვფიქრობდით, საბერძნეთთან ბოლო მატჩი ჩვენთვის გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო, ახლა ისღა დაგვრჩენია, მხოლოდ ღირსებისთვის ვიბრძოლოთ. გასაგებია, რომ თბილისურ მატჩს მეტოქისათვისაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს და... ხორვატებისათვისაც, მაგრამ, გულახდილად ვთქვათ: ქართველი ქომაგისათვის აბსოლუტურად სულ ერთია, ჯგუფში პირველ ადგილს **ფერნანდუ სანტუშის** საბერძნეთის ნაკრები დაიკავებს თუ **სლავენ ბილიჩის** ხორვატია; რა თქმა უნდა, მართლაც უაღრესად ძნელი იქნება „არანორმალურად“ მოტივირებულ ბერძნებთან წარმატების მიღწევა, მაგრამ ჩვენი ხუთმატჩიანი მოუგებელი სერიაც ხომ უნდა დასრულდეს? თანაც, მოტივაციის ნაკლებობას ქართველებიც არ უნდა ვუჩიოდეთ: 2001 წლის შემდეგ ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ ციკლს ხომ მუდამ ბოლო ან ბოლოსწინა ადგილზე ვამთავრებდით. 10-ქულიან ნიშნულსაც ვერაფრით ავცდით — ერთადერთი და მართლაც „ნათელი“ გამონაკლისი პირველ შესარჩევ ციკლში გვქონდა, 15 ქულით III ადგილი რომ დავიკავეთ. სხვათა შორის, იმის მერე, ჯგუფური ეტაპი ბურთების დადებითი ბალანსით აღარ დაგვიმთავრებია, რომ აღარაფერი ვთქვათ ხუთ მოგებაზეც. თუმცა, ამის მიუხედავად, **ალექსანდრე ჩივაძის** დროინდელ იმ ნაკრებს... კრიტიკა არ აკლდა: ჯგუფიდან რატომ ვერ გახვედითო! ახლა კი, ჯგუფიდან გასვლას ან პლეი ოფში მოხვედრას ვინ ჩივის, როგორმე ბოლოსწინა ადგილის თავის არიდებაზე უნდა ვიფიქროთ ისეთ მეტოქესთან მატჩში, რომელთანაც მართლაც საშინელი ბალანსი გაგვაჩნია (ამ თემაზე დაწვრილებით ხვალ ვისაუბრებთ); ბოლოსდაბოლოს, კონკრეტული ფეხბურთელისათვის არის ხვალინდელი დღე განსაკუთრებული და იმედი დავიტოვოთ, რომ **ლევან კობიაშვილის** მეასე მატჩს (ეს ხომ, საერთოდ, ცალკე თემაა) თანაგუნდელებისგანაც „შესაფერისი“ თამაში მოჰყვება. ისე, რაც გვეხერხება, „კარის გაჯახუნება“ და უაღრესად მოტივირებულ მეტოქეთა გამწარება: ჩვენთვის სადებიუტო ციკლში ბულგარელებს 2:1 მოვუგეთ და მეტოქეს ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების შანსი მოვუსპეთ; 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი იყო და თბილისში იტალიასთან 0:0 რომ ვითამაშეთ, მაშინაც იგივე მოხდა — „სკუადრა აძურას“ რუსეთთან ორმატჩიანმა დაპირისპირებამ მოუწია; 2005 წლის შემოდგომაზე თბილისში უკრაინელები რომ გვესტუმრნენ, გამარჯვების შემთხვევაში ვადაზე ადრე ინაღდებდნენ პირველ ადგილს, მაგრამ **გოგა გახოკიძის** ბოლო წუთზე შესრულებული ეფექტური საჯარიმო დარტყმით **ოლეგ ბლოხინის** გუნდი საქართველოდან მხოლოდ ქულით წავიდა. ყველაზე „ხმაურიანი გაჯახუნება“ კი, 2007 წლის ოქტომბერში გვქონდა, როცა ბოლოსწინა ტურში ჯგუფის იმდროინდელ ლიდერ შოტლანდიას 2:0 მოვუგეთ და ამ მარცხის შემდეგ **ალექს მაკლიშის** გუნდი პლეი ოფშიც ვეღარ მოხვდა!

გია ტუხაშვილი

ვარსკვლავის გასაჭირი

კაპელო რუნის ჭვინში და კიდევ ძმები და ბიძაშვილი

ინგლისის ნაკრების 25 წლის ვარსკვლავმა, **უეინ რუნიმ** ჩერნოგორიასთან მიღებული წითელი ბარათისთვის მწვრთნელ **ფაბიო კაპელოს** ბოდიში მოუხადა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელმა შეხვედრის 73-ე წუთზე **მიოდრაგ ძუდოვიჩს** ფეხებში მისცხო, რისთვისაც სამართლიანად გააგდეს.

„რა გითხრათ, თამაშამდე ის მშვიდად იყო, მოედანზე კი სისულელე ჩაიდინა და გააძევეს. ეს არის და ეს - თქვა მატჩის შემდეგ კაპელომ - ვერც კი დავიცავ. მე რა შემიძლია? როდესაც ფეხბურთელი თამაშობს, მის ტვინში ვერ შევძვრები. მე შემიძლია მას მატჩამდე ველაპარაკო, შეხვედრის მსვლელობისას თუ რაიმეს შევნიშნავ, შევცვალო, სხვადასხვა გადაწყვეტილება მივიღო, მაგრამ მყისიერ რეაქციას ვერ გავაკონტროლებ. ინციდენტი პირდაპირ ჩემ წინ მოხდა, რუნიმ მონინააღმდეგეს ფეხი მიარტყა და იმ წუთასვე მივხვდი, რომ მოედნიდან გააძევებდნენ“.

ჩერნოგორიაში მიღებული წითელი ბარათის გამო ინგლისელი ვარსკვლავი გაისად ზაფხულში, ევრო 2012-ზე, პირველ ორ თამაშს გამოტოვებს - ავტომატურ ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას უეფა აუცილებლად შეუცვლის ორმატჩიანით.

კაპელომ განაგრძო: *„რუნი მართლა ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია და ჩვენ ახლა მის გარეშე თამაშის ვარიანტებზე მოგვიწევს ფიქრი. ვნახოთ, მანამდე ამხანაგური თამაშები გვექნება, უეინი კი, იმედია, ამ ინციდენტის შემდეგ ჭკუას ისწავლის. მეორე მხრივ კი, როდესაც ფეხბურთელი ასე იქცევა, მიზეზი მოედანზე უნდა ვეძებოთ. პირადი პრობლემების გამო ასე არ იქცევიან“.*

ვითომ მართალია კაპელო, ამას რომ ამბობს? განა პირადი პრობლემები ადამიანს გულს არ უჭამს, რამაც მერე, შესაძლოა მოედანზე ამოხეთქოს? მით უფრო, რომ რუნი სერიოზული სირთულეების წინაშე დგას, რომელთა შესახებ ორიოდ დღის წინ გიამბეთ, დღეს კი ახალი დეტალების დამატებით გაგიმეორებთ.

გაჩნდა ეჭვი, რომ 2010 წლის 14 დეკემბერს, შოტლანდიის პრემიერლიგაში, „მოზერუელისა“ და „ჰართსის“ შეხვედრაში ერთი გაძევების ამბავი ჩააწყვეს, რასაც გამოძიება და დაპატიმრებები მოჰყვა. ეჭვმიტანილები ძირითადად გლაზგოსა და ლივერპულში აიყვანეს. თავდაპირველი ინფორმაციით, ლივერპულელ დაკავებულთა შორის რუნის მამა და ბიძაც აღმოჩნდნენ, თუმცა შემდეგ გაირკვა, რომ რუნების ოჯახი ამ კანონდარღვევაში შესაძლოა უფრო მასშტაბურადაც მონაწილეობდა. ასეთი ინფორმაცია კუდად ერთადერთი ფეხბურთელის, 26 წლის **სტივ ჯენინგსის** აყვანას მოჰყვა. გაზეთმა „სანმა“ გამოქექა, რომ ჯენინგსს „ფეისბუქის“ მეგობართა შორის რუნის ძმები, 23 წლის **გრემი** და 20 წლის **ჯონი**, აგრეთვე მათი 26 წლის ბიძაშვილი, **ტომას რუნი** ჰყავს, თუმცა ჯერჯერობით, გარიგებულ შეხვედრასთან მათი კავშირი დამტკიცებული არ არის. შესაძლოა საქმე უბრალოდ მეგობრობასთანაც გვაქვს, რადგან უეინი და დაბადება-აღზრდით მერსისაიდელი ჯენინგსი „ევერტონის“ ბავშვთა სკოლაში ერთად დადიოდნენ და იმედისმომცემ ფეხბურთელებად ითვლებოდნენ.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჯენინგსი ერთადერთი ფეხბურთელია საქმესთან დაკავშირებულ ცხრა დაკავებულს შორის. უეინ რუნის მამის, 48 წლის უეინ უფროსის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი კლიენტი კატეგორიულად უარყოფს ყოველგვარ ბრალდებას, რუნების ერთმა ნათესავმა კი ბიძა, 54 წლის **რიჩი** დაიცვა, წარმოდგენაც კი არ აქვს, ლაპარაკი რაზეაო.

დავაზუსტოთ: „მოზერუელისა“ და „ჰართსის“ ზემოხსენებული შეხვედრის წინ ტოტალიზატორმა „ბლუ სქუერმა“ 10-1-ზე ფსონი დადო, რომ ამ მატჩში ვიღაცას გააძევებდნენ. ამის გამოქვეყნება იყო და ლივერპულში ხალხმა ფულის დადება დაიწყო — ვინ 500 ფუნტს ჩავიდა და ვინ 5 ათასს. ბევრმა შეშინებულმა ტოტალიზატორმა ფსონების მიღება შეწყვიტა კიდეც. და აი, ამ შეხვედრის 83-ე წუთზე, როგორც მოგახსენეთ, ლივერპულელმა ჯენინგსმა ჰენალტის გამო მსაჯთან კამათი დაიწყო, მას მხარზე ხელი დაადო და წითელი ბარათითაც დაისაჯა.

რუნის მავანმა მეგობარმა ტაბლოიდებს უთხრა: *„მამისა და ბიძის დაკავების ამბავი უეინისთვის შოკისმომგვრელი იყო. მან არაფერი იცოდა და რად უნდა ლაპარაკი, რომ ამ საქმესთან საერთოც კი არაფერი აქვს. უეინი თავის ოჯახს ეთაყვანება. სწორედ ოჯახის წევრებს მიუძღვით ლომის წვლილი მის ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში და მათთვის მოცხებული ნებისმიერი ჩირქი, მისთვის მტკივნეულია“.*

დაბოლოს, უეინ რუნის ცოლს, **კოლინსს** „ტვიტერში“ მოუხდა განრისხებული და აგრესიული ქომაგების მოგრეიება. ზოგი მეუღლეს პირდაპირ, უშვერი სიტყვებით ულანძღავდა, ზოგი კი დასცინოდა, დარწმუნებული ვარ, ოჯახში წინასწარ იცოდით, რომ უეინს ჩერნოგორიასთან შეხვედრაში მოედნიდან გააგდებდნენო.

ავტობიოგრაფია



ერთ-ერთი ავტობიოგრაფია რეინა არსენალში მიდიოდა

„ლივერპულის“ ესპანელი მეკარე, 29 წლის **პეპე რეინა**, თურმე, „ენფილდ როუდიდან“ სამჯერ აპირებდა წასვლას. ერთხელ, ეს იმ პერიოდში ხდებოდა, როდესაც მერსისაიდელთა კლუბი ამერიკელმა მეპატრონეებმა, **ტომ ჰიკსმა** და **ჯორჯ ჯილეტმა** კინაღამ გააკოტრეს და დაშალეს.

2010 წელს, რეინა „არსენალში“ გადადიოდა, მაგრამ „ლივერპულში“ ყველა ღონე იხმარეს , ეს ტრანსფერი რომ ჩაშლილიყო. საქმე ის გახლავთ, რომ კლუბი ჰიკსისა და ჯილეტის ვალების ჭაობში იძირებოდა და აშკარა იყო, ასე დიდხანს ვეღარ გაგრძელდებოდა. ადრე თუ გვიან „წითლებს“ ახალი მეპატრონე გამოუჩნდებოდა, მაგრამ გაყიდვის წინ გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელის გაქცევა ანტირეკლამა იქნებოდა.

ავტობიოგრაფიულ წიგნში, „პეპე — ჩემი ავტობიოგრაფია“, რეინა იგონებს, რომ „არსენალი“ მასში 20 მილიონ ფუნტს იხდიდა, რაც მეკარისთვის დიდძალი თანხაა. მას პირადად **არსენ ვენგერთანღა** ჰქონდა სალაპარაკო და საქმეც გაიჩარხებოდა, მაგრამ...

ესპანელი გოლკიპერი „ლივერპულის“ გასახდელში მომხდარ საინტერესო ამბებს მრავლად ჰყვება. კერძოდ, ის ამბობს, რომ ჰიკსისა და ჯილეტის უთავბოლო მმართველობის პერიოდში უთანხმოება იყო ფეხბურთელებს შორისაც. პირადად მას, მაგალითად, მიაჩნდა, რომ ადგილობრივ გმირებს, **სტივენ ჯერარდსა** და **ჯეიმი კარაგერს** ამერიკელ მეპატრონეთა წინააღმდეგ ამხედრებული გულშემატკივრების მხარდაჭერა უფრო ღიად და აქტიურად მართებდათ.

„ერთ-ერთი მათგანი, ვინც ყველაზე ხმამაღლა გამოდიოდა, მე ვიყავი. ამას იმიტომ ვაკეთებდი, რომ მწამდა, ფანებს უნდა სცოდნოდათ, ფეხბურთელებს შორის მხარდამჭერები რომ ჰყავდათ. მინდოდა კლუბს ისეთი მეპატრონე გამოსჩენოდა, რომელიც მის საქმეებს წინ წაიყვანდა. მწამდა, რომ ჰიკსსა და ჯილეტზე რეალური ზეგავლენის მოხდენა სტივის და კარას შეეძლოთ. ისინი ჩვენი გუნდის ყველაზე მნიშვნელოვანი ფეხბურთელები იყვნენ და ფანებისთვის მხარი რომ დაეჭირათ, ალბათ, ბევრი რამ მაშინვე შეიცვლებოდა, მაგრამ ისინი სხვანაირად ხედავდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ ყველა ღონე უნდა ეხმარათ რათა ყველაფერი ექსცესების გარეშე, ნორმალურად გაგრძელებულიყო“.

კიდევ ერთხელ რეინა „ლივერპულიდან“ მაშინ გარბოდა, როდესაც, **რაფა ბენიტესი როი ჰოჯსონმა** შეცვალა. ის, თურმე, ჰოჯსონის დანიშვნის წინააღმდეგი ყოფილა და, როდესაც ახალი თავკაცის ხელმძღვანელობით გუნდი შავ დღეში ჩავარდა, ესპანელმა კიდევ ერთხელ სცადა „ენფილდიდან“ გაქცევა. ეს იანვრის სატრანსფერო ბაზრობის დროს მოხდა, მაგრამ გადაათქმევინეს. ვინ გადაათქმევინა? გაგიკვირდებათ და... ცოლმა.

მესამე შემთხვევა კი ჩამოთვლილ ორზე ადრე, ბენიტესის დროს მოხდა: ესპანელმა მწვრთნელმა რეინა ესპანურ „ვალენსიაში“ არ გაუშვა. დაარწმუნა, რომ ჯობდა, „ლივერპულში“ დარჩენილიყო.

ინგლისის ნაკრები

ბენჭის სიხარული

მაშინ, როდესაც ნაკრების მიერ ჩერნოგორიაში ნათამაშებმა 2:2-მა ინგლისელი გულშემატკივარი და მასმედია ცუდ გუნებაზე დააყენა, „ასტონ ვილას“ 27 წლის თავდამსხმელი **დარენ ბენტი** გახარებულია და მიიჩნევს, რომ ეროვნულმა გუნდმა დიდ შედეგს მიაღწია. კაცმა რომ თქვას, თუკი ინგლისელთათვის შესარჩევი ეტაპის დაძლევა და ევრო 2012-ის ფინალურ ეტაპზე გასვლა დიდი მიღწევაა, მაშინ ალბიონზე მართლაც ჰქონიათ საქმე საზეიმოდ. სხვა საქმეა, რომ ჩერნოგორიაში სტუმრებმა ორგოლიანი უპირატესობა გაუშვეს ხელიდან და სურათი **უეინ რუნის** გაძევებამაც ჩაამუქა.

თუმცა ბენტი, სავარაუდოდ, პირადმა წარმატებამაც გაახარა - 31-ე წუთზე ინგლისელთა მეორე გოლი ხომ სწორედ მან შეაგდო.

„ჩვენმა ნაკრებმა დიდ წარმატებას მიაღწია. შეხვედრის მსვლელობისას რამდენიმე მონაკვეთში გაგვიჭირდა, მაგრამ სირთულეებს თავი კარგად გავართვით და ახლა გაისად, ფინალურ ეტაპზე წარმატებით გამოსვლისთვის უნდა მოვემზადოთ.

ტრიბუნებზე მტრული გარემო იყო, სტადიონი პატარა გახლდათ, შედარებით მცირე ზომის იყო მოედანიც და ამ ყველაფერმა მდგომარეობა, რასაკვირველია, გაართულა, *თუმცა რაც გვინდოდა, მაინც მივიღეთ. ცუდია, რომ სამი ქულა ვერ მოვიპოვეთ, მაგრამ მიზანი მიღწეულია“.*

ბენტმა თავისი ყოფილი თანაკლუბელის, „ასტონ ვილადან“ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასული **ეშლი იანგის** შექებაც არ დაიზარა. 26 წლის იანგმა, ჯერ ერთი, ანგარიში გახსნა და მეორეც, ბენტს საგოლე პასი მიაწოდა.

„ჩემი გოლი დიდწილად ეშლის დამსახურებაა — თქვა ფორვარდმა — მთელი მატჩის განმავლობაში, როდესაც მე მეტოქის საჯარიმოში შევდიოდი, მისი პასი მისწრებდა. ვფიქრობ, გოლის მომენტში მას, წამით კარში დარტყმაც კი უნდოდა, მაგრამ ბოლოს მაინც ბურთის ჩემთვის გადმოწოდება ამჯობინა“.

იანგი კი თავისი გოლისთვის მადლობას „არსენალის“ გარემბარს, 22 წლის **თეო უოლკოტს** უძღვნის. მანჩესტერელმა თქვა:

„თეომ მთელი შეხვედრა დიდებულად ითამაშა, მე კი, არც მეტი არც ნაკლები, საუცხოო პასი მომაწოდა“.

მანჩესტერ სიტი

ტევესის ოთხშაბათი

ოთხშაბათს, არგენტინელი თავდამსხმელი, 27 წლის **კარლოს ტევესი** მანჩესტერში ბრუნდება, მას საკუთარი კლუბის მიერ დაწესებული დისკვალიფიკაციის ვადა გასდის. მაგრამ მანჩესტერში დაბრუნება მოედანზე დაბრუნებას არ ნიშნავს — ტევესი „სიტის“ შეფების საბოლოო განაჩენს ელოდება. მოგეხსენებათ, არგენტინელმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის ბოლო ტურში, მიუნხენში, „ბაიერნთან“ 2:0 წაგებულ შეხვედრაში, მწვრთნელ **რობერტო მანჩინის** მოედანზე შესვლაზე უარი უთხრა. ოთხშაბათს, ისტლენდელთა შეფები ტევესს ეტყვიან, რა ვერდიქტი გამოუტანეს.

გაზეთები წერენ, რომ ფეხბურთელი გასული ორი კვირის განმავლობაში ვარჯიშობდა, ანუ მოედანზე დაბრუნებისთვის ფიზიკურად მზად არის, მაგრამ იმავე მასმედიის აზრით, მანჩინი მას პირველ გუნდში აღარ მიიღებს. კლუბის მეპატრონეები შესაძლოა უკიდურეს ნაბიჯზეც კი წავიდნენ და ტევესს კონტრაქტი ახლავე გაუბათილონ, თუმცა, შეიძლება იანვრამდე დაიტოვონ და მერე იაფად გაყიდონ.

ჩელსი

ცხოვრება რომანის გარეშე

„ჩელსი“ აღარ მალავს, რომ უეფას ახალი წეს-კანონებით ცხოვრებისთვის ემზადება. კერძოდ, დასავლეთლონდონელები მილიარდერი მეპატრონის, **რომან აბრამოვიჩის** ფინანსური დახმარების გარეშე არსებობის გეგმას ადგენენ.

„ლურჯების“ თავმჯდომარე, **ბრუს ბაკი** ადასტურებს, რომ გასულ წელიწადს კლუბმა ზარალი ნახა - 70 მილიონი ფუნტი მინუსში ნაუვიდა. უეფამ კი ფინანსური „ფეარ პლეის“ წესები მოიგონა, რომელთა მიხედვითაც ყველა გუნდმა „მდიდარი ძიას“ ნაჩუქარი ფულის გარეშე, თავად უნდა გაიტანოს თავი, წინააღმდეგ შემთხვევაში 2014 წლის ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში ვერ მოხვდება.

„ბატონი აბრამოვიჩის ჯიბეზე დაუსრულებლად რომ ვერ ვიქნებით ჩამოკიდებული, „ფინანსური ფეარ პლეის“ დაკანონებამდეც ვიცოდით, — უთხრა ჟურნალისტებს ბაკმა, — *ამიტომ, ახლა ისეთი გეგმის შემუშავებას ვცდილობთ, რომლის დახმარებითაც კლუბი მყარად დადგება ფეხზე. ახლამა „ფეარ პლეიმ“ უბრალოდ, შეიძლება დაგვაჩქაროს, ეს არის და ეს.*

დააკვირდით რესურსებს: მხოლოდ ახალგაზრდული აკადემია წელინადში 5 მილიონი ფუნტი გვიჯდება, მაგრამ ამ აკადემიაში, წელინადში ან წელინად-ნახევარში ერთხელ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი რომ აღი ზარდოს, უ ზარმაზარი სატრანსფერო თანხა დაგვე ზოგება. სატრანსფერო ხარჯების შემცირების გარდა, სპონსორების მოზიდვა უნდა გავაძლიეროთ. გავზარდოთ ყოველი მატჩისგან მიღებული შემოსავალი და სხვა“.

გვერდი მოამზადა

ილია ბაბუნაშვილმა

უსახოური ფეხბურთი

● იტალიის ნაკრები

პრანდელი: ბირთვი უკვე შეერჩეულია

სერბეთი-იტალია 1:1

სერბეთი (4-4-2): იორგაჩევიჩი - ივანოვიჩი, სუბოტიჩი, რაიკოვიჩი, კოლაროვი - ფეისა (15. პეტროვიჩი), სტანკოვიჩი (86. ივანოვიჩი), კრასიჩი (76. ჟიგიჩი), ტომიჩი - ნინკოვიჩი, პანტელიჩი.

იტალია (4-4-2): ბუფონი - მაჯო, ბარძალი, ბონუჩი, კიელინი - პირლო, დე როსი, მონტოლივო (82. აკვილანი), მარკიზიო (70. ნოჩერინო) - კასანო (67. ჯოვინკო), როსი.

გოლები: 0:1 მარკიზიო (1), 1:1 ივანოვიჩი (25).

უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, **რომ ჩეზარე პრანდელის იტალიის ნაკრები გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ის გუნდი, რომელსაც მარჩელო ლიპი მთელი ორი წელი აკეთებდა და მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე სრული კრახი განიცადა. მიუხედავად იმისა, რომ „სკუადრა აძურამ“ წინა ტურში მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის საგზური, იტალიელებმა თავგამოდებით ითამაშეს და სერბებს ჰაერივით საჭირო ორი ქულა აწაპნეს.**

მარკიზიოს საგოლე დარტყმა

ისევ კასანო-როსი

პრანდელიმ თავდასხმის წინა ხაზში **ანტონიო კასანოსა** და **ჯუზეპე როსის** ტანდემი გაამწესა, რასაც იტალიელი გულშემატკივრები უკვე მიეჩვიენ კიდეც. ტექნიკური თავდამსხმელები კარგად ინარჩუნებენ ბურთს და შეტევას კრეატიულს ხდიან. მიუხედავად იმისა, რომ არც როსისა და განსაკუთრებით არც კასანოსთვის, ეს საუკეთესო შეხვედრა არ იყო, მათ მაინც ბევრი პრობლემა შეუქმნეს მეტოქე მცველებს და რიგ ეპიზოდებში დაჩაგრეს კიდეც. დარჩა შთაბეჭდილება, რომ სატურნირო მოტივაციის პირობებში, იტალიელები უფრო კონცენტრირებულნი იქნებოდნენ დამაგვირგვინებელ ფაზაში და სერბებს აუცილებლად დაამარცხებდნენ. ბოლო ფაზაში კი ხშირად კასანო და როსი სცოდავდნენ, ფანტაზისტები, რომლებსაც ხშირად ზედმეტად ეფექტურად უნდოდათ გოლის გატანა, ან კარში დარტყმას ისევ გადაცემას ამჯობინებდნენ. თუმცა ეს ვერაფრით ჩაითვლება ნაკლად და თანაც იმ შეხვედრაში, რომელიც იტალიელთათვის პრაქტიკულად არაფერს წყვეტდა. მატჩის შემდეგ საინტერესო კომენტარი გააკეთა ჯუზეპე როსიმ:

„ჩემი პირადი აზრით, იტალიის ნაკრები ასეთ სანახაობრივ ფეხბურთს ბოლო წლებში არ თამაშობდა. ეს მხოლოდ სერბეთთან პაექრობაზე არ ითქმის, უკანასკნელი პაექრობები აღმაფრენით ჩავატარეთ და სასურველ შედეგსაც მივაღწიეთ. „აძურაში“ თამაში უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს და ვფიქრობ, რომ ჩვენ დიდი მომავალი გვაქვს. რაც შეეხება კასანოს მხარდამხარ ასპარეზობას, ამაზე კარგს თავდამსხმელი უბრალოდ ვერ ინატრებს, ანტონიო თითქოს ზურგით ხედავს და ყველაფერი იცის, სად აპირებ წასვლას და სად უნდა მოგცეს პასი“.

გოლი

სერბეთში ჩასვლამდე **კლაუდიო მარკიზიომ** „გაძეტა დელო სპორტს“ მოკლე ინტერვიუ მისცა და განაცხადა, რომ მისთვის ყველაზე დიდი ოცნება ეროვნული ნაკრების მაისურით გოლის გატანა იყო. დიახ, კლაუდიოს არ ჰქონდა სანაკრებო გოლი გატანილი და მიზანს სწორედ ბალკანელებთან შეხვედრაში მიაღწია. შეხვედრის დაწყებიდან მხოლოდ ერთი წუთი იყო გასული, როდესაც იტალიელებმა რამდენიმესვლიანი კომბინაცია გაითამაშეს, რომლის ბოლო აკორდიც ჯუზეპე როსის შესანიშნავი პასი და კლაუდიო მარკიზიოს კიპერთან პირისპირ დარჩენა გახლდათ - „იუვენტინომ“ შანსი ხელიდან არ გაუშვა და დააწინაურა სტუმრები. მატჩის შემდეგ მარკიზიო კმაყოფილი იყო:

„ეს იყო საოცარი განცდა, რომელიც მინდა, რომ კიდევ ძალიან ბევრჯერ განმეორდეს. თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან მოტივირებულ, საკმაოდ ძლიერ მეტოქეს ქულა ავართვით, ამასთან, ჩემი პირველი სანაკრებო გოლი უკვიტანე კარიერაში. ვფიქრობ, რომ სწორი კურსით მივდივართ და შრომა აუცილებლად დაგვიფასდება. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ნაკრები ყველა რგოლში თანაბრად კარგად არის დაკომპლექტებული და ეს აუცილებლად გამოიღებს იმ შედეგს, რომელსაც ჩვენი გულშემატკივრები ელოდებიან“.

ოსვალდო მოტას კვალზე

დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა **პაბლო ოსვალდოს** იტალიის ნაკრებში გამოჩენას და ამის შესახებ მომდევნო ნომერში უფრო ვრცლად ვისაუბრებთ. მართალია, „რომას“ თავდამსხმელს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ პრესის ყურადღება მაინც დაიმსახურა და შემდეგი განაცხადა:

„ჩემი წინაპრები იტალიელები იყვნენ და მეც თავს იტალიელად ვთვლი. ამიტომ ეროვნული ჰიმნიც ვიმღერე და ის ემოციებიც განვიცადე, რაც ეროვნულ ნაკრებში თამაშს თან ახლავს. არ მესმის იმ ხალხის, ვინც წინააღმდეგია ჩემი „აძურაში“ ყოფნის, მსურს, რომ ეროვნულ გუნდს წარმატება მოვუტანო და კარგი იქნება, თუ ამის საშუალება ზედმეტი აჟიოტაჟის გარეშე მომეცემა“.

კმაყოფილი პრანდელი

შესავლის გარეშე სიტყვა პირდაპირ „აძურას“ მწვრთნელს გადავცეთ: *„შეგირდებმა თითქმის ყველა დავალება უშეცდომოდ შეასრულეს და ნორმალურ შედეგსაც მივაღწიეთ. მართალია, ევროპის ჩემპიონატის საგზური უკვე მოპოვებული გვქონდა, მაგრამ სერბეთთან თამაშის შედეგსაც დიდი მნიშვნელობა მივანიჭეთ და საპატიო ქულაც ავიღეთ. ბალკანელებს საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავთ, ყველა რგოლში კარგად დაბალანსებული და გამომდინარე აქედან, არც შედეგით და არც თამაშის ხარისხით, უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. დღეს უკვე შემიძლია ვთქვა, რომ ის ბირთვი უკვე გამოიკვეთა, რომელსაც ევროფორუმზე დავეყრდნობი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ დებიუტანტები არ გვეყოლება, მაგრამ ძირეულ ცვლილებებს აღარ უნდა ველოდოთ - ერთში დარწმუნებული ვარ, იტალიის ნაკრები კონტინენტის პირველობაზე თავს არ შეირცხვენს“.*

ლაშა ნიკლაური

● მეკარე



როჟერიო სენი: რეკორდსმენი მეკარე

საფეხბურთო გუნდში ერთ-ერთი მთავარი ფიგურა მეკარეა, რომელსაც უპირველესად კარის დაცვა აბარია, მაგრამ არიან ისეთი მეკარეებიც, რომელთაც უშუალო ფუნქციების შესრულებასთან ერთად კარგად ეხერხებათ... გოლების გატანა. მათ შორის კი ყველაზე წარმატებული კი ბრაზილიელი მეკარე **როჟერიო სენია**, რომელიც უნიკალური მიღწევის ავტორი გახდა. აქამდე მეკარეს არასოდეს გაუტანია კარიერაში 100 გოლი! როჟერიო სენი მსოფლიოს რეკორდსმენია.

ეს საოცარი ამბავი ასე დაიწყო: "სან-პაულოს" საფეხბურთო სკოლაში 17 წლის ახალგაზრდა მეკარე ვარჯიშებზე ყოველთვის, ყველაზე ადრე მიდიოდა და ცარიელ კარებში საჯარიმო დარტყმებს ასრულებდა. ეს ბიჭი პატობრანკოელი როჟერიო სენი იყო. როჟერიოს მონდომება სან-პაულოს მეკარეების მწვრთნელმა **ხოაკიმ დე მორაეშმა** შეამჩნია და ყველანაირად ხელს უწყობდა.

სენიმ პირველი გოლი 1997 წელს პაულისტას ჩემპიონატში (სან პაულუს შტატის პირველობა) გაიტანა. *„იმ დღემ ჩემი საფეხბურთო ცხოვრება შეცვალა. ტელევიზიაში მხოლოდ ჩემს საჯარიმოებზე საუბრობდნენ, კამათობდნენ, ისმოდა ერთადერთი კითხვა: უნდა ურტყამდეს თუ არა მეკარე ჯარიმებს?“* - იხსენებს სენი. ის დღე მართლაც მნიშვნელოვანი იყო, სწორედ ამ თამაშის შემდეგ დაიკავა როჟერიომ გუნდის ძირითადში ადგილი და მას შემდეგ არავისთვის დაუთმია.

2005 წელს "სან პაულუმ" ლიბერტადორესის თასი მოიგო. სენიმ ამ თამაშში დუბლი შეასრულა და ფეხბურთის ისტორიაში პირველად, ერთ თამაშში ორივე გოლი თამაშიდან გაიტანა. განსაკუთრებულად შეიძლება ჩაითვალოს 2006 წლის 5 მაისში „პალმეირასთან“ თამაშის დროს გატანილი 63-ე გოლი, რომლის საშუალებით მან **ჩილავერტის** რეკორდი დაამხო და მსოფლიო რეკორდსმენი გახდა. ამის შემდეგ ის კვლავ განაგრძობს კოლეგების დამწუხრებას, მან არამარტო შეინარჩუნა რეკორდსმენის ტიტული, არამედ კიდევ უამრავი გოლი გაიტანა. 2009 წლის გაზაფხულზე სენიმ ტრავმა მიიღო, მაგრამ უკვე 25 ოქტომბერს „სანტოსთან“ მატჩში მორიგი შედეგრი შექმნა და გუნდს მოაგებინა. 2011 წელი სენისთვის იმით არის აღსანიშნავი, რომ მან 23 მარტს „კორინთიანსთან“ თამაშში პაულისტას ლიგაზე საიუბილეო გოლი გაიტანა. ეს დაუვიწყარი მომენტია. *„როდესაც მეკარე ხარ, მინდორზე გოლის გასატანად არ გადიხარ. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მინდოდა: გავიტანე ჯარიმით და ჩემი გოლი გადამწყვეტი გამოდგა“* - განაცხადა სენიმ.

ალბათ გაგიკვირდებათ, თუ რატომ არ უთამაშია სენის არასდროს ევროპაში. სენი ამბობს: მე მიყვარს ფეხბურთის თამაში, უფრო მეტიც, მე ფეხბურთის თამაში სან-პაულუში მიყვარს. სენიმ საკლუბო დონეზე უამრავი ტიტული მოიგო: სამჯერ ბრაზილიის ჩემპიონატი, ოთხჯერ შტატის, ორჯერ ლიბერტადორესის, ერთხელაც საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატი. როჟერიო სენი ნასვლას 2014 წლამდე არ აპირებს და ერთხელაც, როცა სენი წასვლას გადაწყვეტს, აღარასოდეს დაბრუნდება.

ლიკა ამირაშვილი

● მოსაზრება

მაძარი: ფავორიტი იუვეა

„ნაპოლის“ მთავარმა მწვრთნელმა **ვალტერ მაძარიმ** „კორიერე დელო სპორტს“ ინტერვიუ მისცა და ბევრ საინტერესო საკითხზე ისაუბრა. როდესაც მას სერია A-ს მთავარი ფავორიტის დასახელება სთხოვეს, ერთობ მოულოდნელი განცხადება გააკეთა და მილანურ გრანდებზე ზემოთ ტურინის „იუვენტუსი“ დააყენა:

„ერთ-ერთ ინტერვიუში ჯიჯი ბუფონმა თქვა, რომ „ნაპოლის“ სამ ფრონტზე ასპარეზობა ძალიან გაუჭირდება, რაშიც რთულია, რომ მას არ დაეთანხმო. ნამდვილად გაგვიჭირდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ წარმატების მიღწევის შანსი არ გვაქვს. ვგრძნობ, საკმარისი გამოცდილება დავაგროვე საიმისოდ, რომ ნებისმიერ სირთულეს გავუმკლავდე და ყველაზე მძიმე მდგომარეობიდან გამოვძვრე. საბედნიეროდ, ამაში შეგირდებიც ბოლომდე მიწყობენ ხელს. ამით იმის თქმა მინდა, რომ სკუდეტოსთვის ბრძოლას ვაპირებთ და მიზნის მისაღწევად თავს არ დავზოგავთ.

რაც შეეხება მთავარ ფავორიტს, ასეთად „იუვენტუსი“ მიმაჩნია, გუნდი, რომელიც სატრანსფერო პერიოდში გვარიანად გაძლიერდა და ძალიან კარგ ფეხბურთს თამაშობს. ანტონიო კონტეს ზემოტივირებული ფეხბურთელები ჰყავს, ეს კი წარმატების ერთ-ერთი მთავარი საწინდარია“.

ვალტერ მაძარიმ მის სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა და შემდეგი განაცხადა: *„ჯერჯერობით, „ნაპოლიდან“ წასვლას არ ვაპირებ, რადგან აქ ყველაფერი მომწონს და მაკმაყოფილებს. რამდენიმე წლის შემდეგ კი ალბათ უცხოეთში წავალ და სხვა ქვეყანაში გამოვცდი საკუთარ შესაძლებლობებს. ეს დიდი გამოწვევა იქნება ჩემთვის, რომელსაც მოვა დრო და სიამოვნებით მივიღებ. რომელ ქვეყანაში მსურს მუშაობა? - მაგალითად ინგლისში, საიდანაც გასულ ზაფხულს არაერთი შეთავაზება მივიღე. იმედი მაქვს, როდესაც ჩემი და „ნაპოლის“ თანამშრომლობა დასრულდება, ინგლისში გადაბარგების შესაძლებლობა კვლავაც მომეცემა“.*

ვალტერ მაძარი

ლაშა ნიკლაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანიის ნაკრები

მარიო გომესი, სამი ხედირა და თომას მიულერი და თურქეთის ნაკრების დამარცხება ზეიმობენ

ცხრიდან ცხრა და მეათეც!

გერმანიამ თურქეთი გაამწარა და დაამშვიდა

ბუნდესბუნდს ევროპის ჩემპიონატის საგზური თურქეთთან მატჩამდეც განაღდებული ჰქონდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, გერმანელები ბოლო ორ მატჩში საჩუქრების ჩამორიგებას არ აპირებდნენ. **იოახიმ ლიოვმა** და მისმა შეგირდებმა დანაპირები შეასრულეს და სტამბოლში ევრო 2012-ის საგზურისთვის მებრძოლ თურქეთს 3:1 მოუგეს. ამით დამტკიცდა, რომ გერმანიის ნაკრები მაშინაც მაქსიმალურად მოტივირებულია, როცა ეს არ არის საჭირო. ახლა თურქეთის ნაკრების ბედი გერმანელთა ხელშია და ლიოვიც და ბუნდესგუნდის ფეხბურთელებიც თურქებს დაპირდნენ, რომ ბელგიასაც დაამარცხებენ. ბოლო ტურში თურქეთი აზერბაიჯანს მასპინძლობს და ეჭვი არავის ეპარება, რომ მოუგებს. მაგრამ თუ მეორე ადგილზე მყოფმა ბელგიამ გერმანიიდან სამი ქულის წაღება შეძლო, თურქები ევროპის ჩემპიონატს დაემშვიდობებიან, თუმცა ეს ალბათ არ მოხდება, რადგან გერმანია დიუსელდორფში, ბელგიასთანაც მაქსიმალური კონცენტრაციით ითამაშებს – ლიოვს და მის რაზმს მეათე მატჩშიც მხოლოდ გამარჯვება და შესარჩევი ციკლის სსპროცენტიანი შედეგით (10 მოგება) დამთავრება უნდა.

„ბელგიას ძალიან კარგი გუნდი ჰყავს, უამრავი ახალგაზრდა ტალანტით, მაგრამ რაც არ უნდა მოვინდომო, ვერ წარმოვიდგენ, რომ ბელგიის ნაკრები გერმანიაში მოიგებს,“ - განაცხადა თურქეთის ნაკრების თავკაცმა **გუუს ჰიდინკმა** ბუნდესგუნდთან განცდილი მარცხის შემდეგ. თურქების თავკაცი ლიოვმაც დაიმედა, ბოლო შეხვედრასაც სერიოზულად მივუდგებითო: *„ადრეც ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ჩვენი მიზანი ჯგუფში ათივე თამაშის მოგებაა. ბელგიას ვერაფერს ვაჩუქებთ.“*



იოგიმ კროოსი და გიუნდოგანი დაიმატა

ლიოვი არც საკადრო ექსპერიმენტებს აპირებს და ბელგიასთან მატჩისთვის მხოლოდ ორი ფეხბურთელი, ბაიერნელი **ტონი კროოსი** და დორტმუნდელი **ილქაი გიუნდოგანი** დაიმატა. აღსანიშნავია, რომ ლიოვს კროოსის გამოძახება თურქეთთან მატჩისთვისაც სურდა, მაგრამ იძულებული გახდა, მასზე უარი ეთქვა, რადგან ტონის გრიპი ჰქონდა. გიუნდოგანის გამოძახება კი ბუნდესმწვრთნელმა გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების თავკაც **რაინერ ადრიონს** ორი კვირის წინ შეუთანხმა.

„იოახიმ ლიოვმა ჯერ კიდე „აუგსბურგთან“ თამაშის წინ დამირეკა და შემატყობინა, რომ ბელგიასთან შეხვედრისთვის ჩემი გამოძახება სურდა. მას მერე მთელი ღამე გერმანიის ეროვნული გუნდის ფორმა მესიზმრება,“ - ეს 20 წლის გიუნდოგანის სიტყვებია, რომელიც, შესაბამისად, 21-წლამდელთა ბუნდესნაკრებს სან მარინოსთან შეხვედრაში დააკლდება.

„ილქაი ლუის ჰოლტბისთან ერთად გაფართოებულ სიაშია და მეც და ლიოვსაც გვინდა, რომ ნაკრებს ნელ-ნელა შეეჩვიოს. გიუნდოგანმა „ნიურნბერგიდან“ დორტმუნდის „ბორუსიაში“ გადასვლით წინ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა და ფაქტია, რომ ნელ-ნელა პირველ ნაკრებსაც უნდა შევაჩვიოთ. დარწმუნებული ვარ, რომ ილქაი იოგის იმედებს გაუმართლებს, მან ბუნდესგუნდში გამოძახება ნამდვილად დაიმსახურა,“ - ამბობს ადრიონი.

სამაგიეროდ, დიუსელდორფში ბელგიასთან შეხვედრისთვის კითხვის ნიშნის ქვეშაა გერმანიის ნაკრების ორი წამყვანი ფეხბურთელის ასპარეზობა: ლიოვმა თქვა, **მესუთ იოზილი** ალბათ ითამაშებს, აი, **მიროსლავ კლოზე** კი სავარაუდოდ ვერაო. ამასთან, იოგიმ გადაწყვიტა, **მარიო გიოტცე** დასვენოს – ამ უკანასკნელმა გერმანიის ნაკრები უკვე დატოვა და დორტმუნდში დაბრუნდა. რაც შეეხება იოზილს: მან გუშინ გუნდთან ერთად ივარჯიშა და უარყო გავრცელებული ხმები იმის შესახებ, თითქოს ლიოვს სპეციალურად სთხოვა, რომ თურქეთთან შეხვედრაში (გასაგები მიზეზის გამო) მოედანზე არ გაეყვანა.

„ვინც მიცნობს, ისიც იცის, რომ ასეთ რამეს არ გავაკეთებდი. გერმანიის ნაკრებში თამაში ჩემთვის ძალიან საამაყოა და სტამბოლის პუბლიკის ნამდვილად არ შემშინებია,“ - უთხრა მესუთმა „კიკერს“.

● ჰამბურგი

ფინკმა, არაო!

ჰამბურგის ჯოჯოხეთი გრძელდება

ჰუუბ სტევენსისა და კიდევ რამდენიმე კანდიდატის შემდეგ, „ჰამბურგის“ გაწვრთნა „ბაზელის“ თავკაცმა **ტორსტენ ფინკმაც** იუარა. ჩვენი გერმანელი და შვეიცარიელი კოლეგების ცნობით, ფინკი ჩრდილოგერმანული კლუბის სპორტულ დირექტორ **ფრანკ არნესენს** შაბათს შეხვდა და მცირეხნიანი მოლაპარაკების შემდეგ უარით გაისტუმრა.

ტორსტენ ფინკმა ჰამბურგელებს უარი შეუთვალა

„ბილდის“ ცნობით, არნესენთან შეხვედრამდე ფინკმა „ბაზელის“ ვიცე-პრეზიდენტ **ბერნჰარდ ჰოისლერთან** გამართა მოლაპარაკება და სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ ტორსტენი „ბაზელში“ დარჩებოდა. ეს ცნობა მოგვიანებით თავად ჰოისლერმაც დაადასტურა. 43 წლის ფინკს შვეიცარიულ კლუბთან კონტრაქტი 2013 წლამდე აქვს გაფორმებული.

ამრიგად, „ჰამბურგის“ ჯოჯოხეთი გრძელდება: არნესენი ახალ დამრიგებელს უკვე ქაოტურად ეძებს. გერმანიის საფეხბურთო ლიგამ სამშაბათს გადაწყვიტა, რომ სამწვრთნელო ლიცენზიის არქონის გამო, დროებითი დამრიგებელი **როდოლფო ესტებან კარდოსო** „ჰამბურგის“ პირველ გუნდში დიდხანს ვერ იმუშავებს, რაც იმას ნიშნავს, რომ არნესენმა მომავალ კვირაში ახალი მწვრთნელი აუცილებლად უნდა წარადგინოს.

● მოსალოდნელი ტრანსფერი

მატს ჰუმელსი (მარჯვნივ) შეიძლება იუვენტუსში გადავიდეს

იუვეს ჰუმელსი მოსწონს

კონტეს კიელინი მარცხნივ ურჩევნია და დაცვის ცენტრში ახალი კაცი სჭირდება

„იუვენტუსმა“ სეზონი კარგად დაიწყო. ერთი კვირის წინ კი ტურინელებმა სულაც იტალიის მოქმედი ჩემპიონი „მილანი“ დაამარცხეს და პირველ ადგილზე პოზიციები გაიმყარეს. მიუხედავად ამისა, „ბებერი ქალბატონის“ მთავარი მწვრთნელი **ანტონიო კონტე** თავისი შეგირდების თამაშით ბოლომდე კმაყოფილი მაინც არაა და ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გუნდის კიდევ უფრო გაძლიერებაზე ფიქრობს.

კონტე არ მალავს, რომ მისი აზრით გაძლიერებას პირველ რიგში „იუვეს“ დაცვის ხაზი საჭიროებს. „მილანთან“ შეხვედრაში კონტემ **ჯორჯო კიელინი** დაცვის მარცხენა ფლანგზე ათამაშა, რითაც ფაქტობრივად დაადასტურა, რომ ურჩევნია, ეს უკანასკნელი ყოველთვის მარცხენა მცველად გამოიყენოს. შესაბამისად, დაცვის ცენტრისთვის მას მხოლოდ ორი ფეხბურთელი, **ანრეა ბარძალი** და **ლეონარდო ბონუჩი** რჩება, რაც იმას ნიშნავს, რომ ზამთარში ტურინელებს ახალი ცენტრალური მცველი დასჭირდებათ.

დღემდე, „იუვენტუსში“ გადასვლის კანდიდატად „სან პაულუს“ უკანახაზელი **ლუის როდოლფო** განიხილებოდა და იტალიური პრესის მტკიცებით, ტურინელები მზად იყვნენ, 25 წლის ბრაზილიელში 9 მილიონი ევრო გადაეხადათ. ახლა კი, „გაძეტა დელო სპორტი“ იუწყება, რომ „იუვენტუსის“ სასურველ მცველთა სიაში პირველი დორტმუნდის „ბორუსიას“ და გერმანიის ნაკრების 22 წლის მცველი **მატს ჰუმელსი** წერია. ახალგაზრდა და ნიჭიერ უკანახაზელს, რომელსაც „ბორუსიასთან“ კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული, ტურინელები რამდენჯერმე დააკვირდნენ და ჩვენი იტალიელი კოლეგების ცნობით, სკაუტებმა კონტე დაარწმუნეს, რომ ჰუმელსის ყიდვა ღირს. „გაძეტას“ ინფორმაციით, „იუვეს“ ერთ-ერთი მენეჯერი **ფაბიო პარატიჩი** პარასკევს სტამბულში იმყოფებოდა, რათა თურქეთისა და გერმანიის ნაკრების მატჩში ჰუმელსს კიდევ ერთხელ დაკვირვებოდა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, რადგან ბუნდესგუნდის თავკაცმა **იოახიმ ლიოვმა** მატსი არ ათამაშა.

● დორტმუნდის ბორუსია

სტადიონი ფორმაზე

სპეციალურად დიდი დერბისთვის

სპეციალურად შალკესთან მატჩისთვის შექმნილი ფორმა კევინ გროსკროიტცმა და მიტჩელ ლანგერაკმა წარადგინეს

ბუნდესლიგის მთავარ მშვენებამდე, რურის დიდ დერბიმდე თვენახევარი დარჩა, მაგრამ დორტმუნდის „ბორუსია“ „შალკესთან“ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის უკვე ემზადება. რურის 138-ე დერბისთვის დორტმუნდელებმა საკმაოდ საინტერესო რამ მოიფიქრეს: ახალი ფორმა, რომელიც სპეციალურად ამ მატჩისთვის შეიკერება.

26 ნოემბერს დაგეგმილ დერბიში „ბორუსია“ მოსისხლე მტერ „შალკეს“ სპონსორ Kappa-სგან შეკერილი სპეციალური ფორმით ეთამაშება, რომელიც იმით იქნება განსაკუთრებული, რომ „ბორუსიას“ ფეხბურთელებს მკერდზე თავიანთი სტადიონის სილუეტი ექნებათ დახატული.

სპეციალურად დერბისთვის შექმნილი ფორმა ხუთშაბათს ნახევარმცველმა **კევინ გროსკროიტცმა** და სათადარიგო მეკარე **მიტჩელ ლანგერაკმა** წარმოადგინეს და „ბორუსიას“ მაღაზიებში მისი გაყიდვა უკვე დაწყებულია – ცხადია, ეს არა მარტო დერბისთვის მოფიქრებული კრეატიული იდეა, არამედ მარკეტინგული სვლაცაა, რადგან სავარაუდოა, რომ ათიათასობით ეგზემპლარი გაიყიდება, რაც გერმანიის ჩემპიონისთვის დამატებით შემოსავალს ნიშნავს.

„ორი კვირის წინ „დორტმუნდის“ გაჩემპიონების დროს გადაღებულ შესანიშნავ ფოტოებს ვათვალიერებდი და ეს იდეა სწორედ მაშინ დამებადა. ჩვენს სტადიონზე ყოველთვის ისეთი ფანტასტიკური საფეხბურთო ატმოსფეროა, იმდენად ბრწყინვალე ფანები გვყავს, რომ მივხვდი, ეს უნდა გაგვეკეთებინა. ამ ფორმას კლუბი ფანებს უძღვნის,“ - ეს Kappa-ს მარკეტინგის მენეჯერის, **ტობიას ბლიკის** სიტყვებია. აქვე იმასაც გეტყვით, რომ „ბორუსიას“ Kappa-სთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და მომავალი სეზონიდან დორტმუნდელებს „პუმა“ შემოსავს.

● შვეიცარიის ნაკრები

ოტმარ ჰიტცფელდი

ჰიტცფელდი არ გადადგება

მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საგზური ვერ მოიპოვა, გუნდის მთავარი მწვრთნელი **ოტმარ ჰიტცფელდი** თანამდებობის თავისი ნებით დატოვებას კატეგორიულად გამორიცხავს. *„შვეიცარიის საფეხბურთო კავშირი აბსოლუტურ ნდობას მიცხადებს. კონტრაქტი ნამდვილად არ გამოფორმებია იმის გამო, რომ ახლა გავწყვიტო. შვეიცარიის ნაკრებში მუშაობა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს და მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ჩემპიონატის საგზური ვერ მოვიპოვეთ, გადადგომას არ ვაპირებ,“* - უთხრა ჰიტცფელდმა გერმანულ ტელეარხ ZDF-ს.

შეგახსენებთ, რომ „გენერალმა“ შვეიცარიის საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტი ცოტა ხნის წინ 2014 წლამდე გაგრძელა. მის გუნდს უელსში განცდილი მარცხის (0:2) შემდეგ ევრო 2012-ზე მოხვედრის შანსი აღარ აქვს. ოტმარის აზრით, ამ წარუმატებლობის მიზეზი თამაშობათა ცვლის მტკივნეული პროცესია.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

უცხოური ფეხბურთი

ევრო 2012 შესარჩევი ეტაპი

რუსეთი ყველაზე ახლოსაა

ქართველთა თამაში სხვა ჯგუფებშიც აინტერესებთ

A ჯგუფი

გერმანია (27 ქ), *ბელგია* (15), *თურქეთი* (14), ავსტრია (11), აზერბაიჯანი (7), ყაზახეთი (3).

ყაზახეთი-ავსტრია
გერმანია-ბელგია
თურქეთი-აზერბაიჯანი

გერმანიის ნაკრები უკვე გასულია ევროპის ჩემპიონატზე. პლეი ოფის საგზურის მოპოვება შეუძლიათ მხოლოდ ბელგიასა და თურქეთს.

ბელგია მოპოვებს პლეი ოფის საგზურს, თუ:
1. მოუგებს გერმანიას.
2. ფრედ ითამაშებს გერმანიასთან და თურქეთი ვერ მოუგებს აზერბაიჯანს.
3. აზერბაიჯანი მოუგებს თურქეთს.

თურქეთი მოიპოვებს პლეი ოფის საგზურს, თუ:
1. მოუგებს აზერბაიჯანს და ბელგია ვერ მოუგებს გერმანიას.
2. ფრედ ითამაშებს აზერბაიჯანთან და გერმანია მოუგებს ბელგიას.

B ჯგუფი

რუსეთი (20), *ირლანდია* (18), *სომხეთი* (17), სლოვაკეთი (14), მაკედონია (7), ანდორა (0).

რუსეთი-ანდორა
ირლანდია-სომხეთი
მაკედონია-სლოვაკეთი

რუსეთი გავა ევროპის ჩემპიონატზე, თუ:
1. არ წააგებს ანდორასთან.
2. ირლანდია ვერ მოუგებს სომხეთს.
3. E ჯგუფში შვედეთი ვერ მოუგებს ჰოლანდიას და H ჯგუფში დანია ფრეს არ ითამაშებს პორტუგალიასთან.

ირლანდია გავა ევროპის ჩემპიონატზე, თუ:
1. მოუგებს სომხეთს და რუსეთი წააგებს ანდორასთან.

ირლანდია მოიპოვებს პლეი ოფის საგზურს, თუ:
1. არ წააგებს სომხეთთან.

სომხეთი მოიპოვებს პლეი ოფის საგზურს, თუ:
1. მოუგებს ირლანდიას.

C ჯგუფი

იტალია (23), *ესტონეთი* (16), *სერბეთი* (15), სლოვენია (11), ჩრდ. ირლანდია (9), ფარერები (4).

იტალია-ჩრდ. ირლანდია
სლოვენია-სერბეთი

იტალია უკვე გასულია, პლეი ოფის საგზურს კი ორი მოცილე ჰყავს ესტონეთი და სერბეთი. ამასთან, ესტონელებს შესარჩევ ციკლში დასრულებული აქვთ ასპარეზობა.

ესტონეთი მოიპოვებს პლეი ოფის საგზურს, თუ:
1. სერბეთი ვერ მოუგებს სლოვენიას.

სერბეთი მოიპოვებს პლეი ოფის საგზურს, თუ:
1. მოუგებს სლოვენიას.

D ჯგუფი

საფრანგეთი (20), *ბოსნია* (19), ბელარუსი (13), რუმინეთი (13), ალბანეთი (8), ლუქსემბურგი (4).

ალბანეთი-რუმინეთი
საფრანგეთი-ბოსნია

ამ ჯგუფში გამარჯვებისთვის საფრანგეთი და ბოსნია იბრძვიან, ორივეს გარანტირებული აქვს პლეი ოფის საგზური.

საფრანგეთი ითამაშებს ევროპის ჩემპიონატზე, თუ:
1. თუ არ წააგებს ბოსნიასთან.

ბოსნია ითამაშებს ევროპის ჩემპიონატზე, თუ:
1. თუ მოუგებს საფრანგეთს.

E ჯგუფი

ჰოლანდია (27), *შვედეთი* (21), *უნგრეთი* (18), ფინეთი (9), მოლდოვა (6), სან მარინო (0).

ჰოლანდია-ჰოლანდია
უნგრეთი-ფინეთი
მოლდოვა-სან მარინო

ჰოლანდიის ნაკრებს საგზური მოპოვებული აქვს. პლეი ოფისთვის კი შვედეთი და უნგრეთი იბრძვიან, თუმცა შვედებს იმის შანსიც აქვთ, რომ ეგრევე გავიდნენ ევროპის ჩემპიონატზე.

შვედეთი გახდება საუკეთესო მე-2 ადგილოსანი და საგზურს მოიპოვებს, თუ:
1. მოუგებს ჰოლანდიას.
2. ფრეს ითამაშებს ჰოლანდიასთან და ანდორა ვერ მოუგებს რუსეთს ან ირლანდია ვერ მოუგებს სომხეთს და F ჯგუფში საქართველო მოუგებს საბერძნეთს ან ხორვატია 4-ზე მეტი ბურთით არ მოუგებს ლატვიას და H ჯგუფში პორტუგალია მოუგებს დანიას ან დანია მოუგებს პორტუგალიას სამი ბურთით მაინც. კიდევ არის ვარიანტები, მოკლედ ჩახლართული სიტუაციაა.

F ჯგუფი

საბერძნეთი (21), *ხორვატია* (19), ისრაელი (13), ლატვია (11), საქართველო (10), მალტა (1).

საქართველო-საბერძნეთი
მალტა-ისრაელი
ხორვატია-ლატვია

საბერძნეთი ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს, თუ:
1. თუ არ წააგებს საქართველოსთან.
2. ხორვატია ვერ მოუგებს ლატვიას.

ხორვატია ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს, თუ:
1. მოუგებს ლატვიას და საქართველო მოუგებს საბერძნეთს.

G ჯგუფი

ინგლისი (18), *ჩერნოგორია* (12), შვეიცარია (8), უელსი (6), ბულგარეთი (5)

ბულგარეთი-უელსი
შვეიცარია-ჩერნოგორია

ამ ჯგუფში ყველაფერი გარკვეულია - ინგლისი ევრო 2012-ზე ითამაშებს, ხოლო ჩერნოგორია საგზურისთვის პლეი ოფში იბრძოლებს.

H ჯგუფი

პორტუგალია (16), *დანია* (16), *ნორვეგია* (13), ისლანდია (4), კვიპროსი (2).

ნორვეგია-კვიპროსი
დანია-პორტუგალია

დანია-პორტუგალია მთავარი თამაშია. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ორივე ნაკრებმა მოიპოვოს ევრო 2012-ის საგზური.

პორტუგალია ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს, თუ:
1. არ წააგებს დანიასთან.

დანია ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს, თუ:
1. მოუგებს პორტუგალიას.

ორივე ნაკრები გავა ევროპის ჩემპიონატზე, თუ:
1. ერთმანეთში ფრეს ითამაშებენ და შვედეთი ვერ მოუგებს ჰოლანდიას.
2. B ჯგუფში ანდორა ვერ მოუგებს რუსეთს ან ირლანდია ვერ მოუგებს სომხეთს და შვედეთი წააგებს ჰოლანდიასთან და ხორვატია ვერ მოუგებს ლატვიას ან საქართველო მოუგებს საბერძნეთს.
3. დანია მოუგებს პორტუგალიას და ნორვეგია გავარდება (ნორვეგია რომ არ გავარდეს საჭიროა დანიამ და ნორვეგიამ ჯამში 10 ან მეტი ბურთის სხვაობით მოიგონ ორ შეხვედრაში).

I ჯგუფი

ესპანეთი (21), *შოტლანდია* (11), *ჩეხეთი* (10), ლიტვა (5), ლიხტენშტაინი (4)

ესპანეთი-შოტლანდია
ლიტვა-ჩეხეთი

ესპანეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზეა, პლეი ოფის საგზურისთვის კი შოტლანდია და ჩეხეთი იბრძოლებენ.

შოტლანდია მოიპოვებს პლეი ოფის საგზურს, თუ:
1. მოუგებს ესპანეთს.
2. ფრეს ითამაშებს ესპანეთთან და ვერ მოიგებს ჩეხეთი.
3. ლიტვა მოუგებს ჩეხეთს.

ჩეხეთი მოიპოვებს პლეი ოფის საგზურს, თუ:
1. მოუგებს ლიტვას და შოტლანდია ვერ მოუგებს ესპანეთს.
2. ფრეს ითამაშებს ლიტვასთან და შოტლანდია წააგებს ესპანეთში.

შენიშვნა: მუქი შრიფტით - ნაკრები, რომელმაც მოიპოვა საგზური. დახრილი შტიფტით - ნაკრები, რომელიც ისევ იბრძვის.

მაშ ასე, კიდევ უფრო შემცირდა იმ ნაკრებთა რიცხვი, რომელთაც ევროპის ჩემპიონატზე თამაშის შანსი შერჩათ - ასეთი მხოლოდ 17 ნაკრებია. პოლონეთ-უკრაინის გაუცემელ საგზურთა რიცხვიც ერთით შემცირდა - ინგლისის ნაკრებმა გაინაღდა ევრო 2012-ზე გამგზავრება. დარჩა 9 საგზური, რომელთაგანაც ბოლო ტურში 5 გათამაშდება (4 ჯგუფის გამარჯვებული ჯერაც უცნობია + საუკეთესო მეორეადგილოსანი), ბოლო 4 საგზურის ბედს კი პლეი ოფები გადაწყვეტს.

მოდი, ვნახოთ, რა მდგომარეობაა 11 ოქტომბრის დასკვნითი ეტაპის შემდეგ ცხრავე შესარჩევ ჯგუფში.

დიკ ადვოკაატის რუსეთს ყველაზე კარგი შანსი აქვს



ლურჯი ფერით - გუნდები, რომელთაც გაინაღდეს ევროპის ჩემპიონატზე თამაში, ცისფერით - გუნდები, რომელთაც საგზურის მოპოვების შანსი კიდევ აქვთ, წითლით - გუნდები, რომლებიც ბრძოლას გამოეთიშნენ.

ბურთით ნაკრებში საუკეთესო დავიდ სილვა

ფურია როხა რეკორდზე მიდის

ალბიოლს ყბა თავისიანებმა გაუტეხეს

„ფურია როხას“ ბრწყინვალე შანსი აქვს უდანაკარგოდ დაასრულოს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ამისთვის სამშაბათს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონებმა შინ შოტლანდიის ნაკრებიც უნდა დაამარცხონ. პრაღაში კი ვერ მიხვდებოდით, რომელ ნაკრებს უფრო სჭირდებოდა მოგება, თითქოსდა უმოტივაციო ესპანეთის ნაკრებმა ყველა კომპონენტში დაჯაბნა მეტოქე, რომელსაც ჰაერივით სჭირდებოდა მოგება და 2:0 მოუგო.

მატჩზეც ვთქვათ მოკლედ - **ვისენტე დელ ბოსკე** კარში ისევ კაპიტან **იკერ კასილიასს** ენდო. დაცვის ფლანგებზე რეალელები, **სერხიო რამოსი** და **ალვარო არბელოა** ათამაშა, დაცვის ცენტრში კიდევ ერთ მადრიდელ **რაულ ალბიოლს** ბარსელონელი **ჟერარდ პიკე** შეუწყვილა. ნახევარდაცვაში კატალონიელები სჭარბობდნენ კასტილიელებს - **ჩავის** და **სერხიო ბუსკეტს ჩაბი ალონსო** ეხმარებოდა. „როხა“ 3 ლეგიონერით უტევდა - **დავიდ სილვა** და **ხუან მატა** ფლანგებიდან და **ფერნანდო ტორესი** ცენტრიდან. ორივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა, ჯერ ჩავიმ შესანიშნავი გამჭოლი გადაცემით მატა გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, შემდეგ დავიდ სილვამ საჯარიმოში ჩაბი ალონსოს დაუგორა და ბასკმაც იოლად აიღო **პეტრ ჩეხის** კარი. პირველი ტაიმიდან, როდესაც სტუმართა უპირატესობა აბსოლუტური იყო, კიდევ ჩავის საჯარიმო დარტყმას გამოვყოფთ, ბურთი ოდნავ გადაცდა ჩეხის კარს.

მეორე ტაიმში გამოვყოფთ შეცვლაზე შესული **ხავი მარტინესის** ორ სუპერმომენტს, რომ არა ჩეხი ანგარიში გაცილებით დიდი იქნებოდა. აღვნიშნავთ **ტომაშ ჰუბშმანის** მეტისმეტ უხეშობას ჩაბი ალონსოსთან ორთაბრძოლაში, მასპინძელმა უმალ წითელი ბარათი იხილა, რომელიც არც კი გაუპროტესტებია. ჩვენი აზრით, ესპანელთა შორის საუკეთესო დავიდ სილვა იყო, ყველაზე სუსტად კი ისევ ფერნანდო ტორესმა ითამაშა.

მატჩის შემდეგ 60 წლის დელ ბოსკემ ტორესი დაანყნარა - ფერნანდომ კარგად ითამაშა, მოწადინებული იყო, მაგრამ კარგი პასები არ მისდიოდაო. *„თამაშით კმაყოფილი ვარ. კარგად დავინყეთ და შემდეგ შედეგზე ვითამაშეთ.“.*

ცუდი ამბავი ესპანეთის ნაკრების ბანაკიდან კვირას გამოვიდა - ვარჯიშზე რაულ ალბიოლი დაშავდა და შოტლანდიასთან ვერ ითამაშებს. ვარჯიშისას „რეალის“ მცველი ჰაერში თანაგუნდელს ისე შეეჯახა, რომ ყბა გაუტყდა. „ფურია როხას“ ექიმი **ოსკარ სელადა** ალბიოლს ჰოსპიტალში გაყვა, სადაც რენტგენმა აჩვენა, რომ ყბის ძვალი მოტეხილია, თუმცა ის დაძრული არაა. ასეა თუ ისე, ალბიოლის თამაში გამოირიცხა და მან ბანაკი დატოვა. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ შოტლანდიასთან მატჩში დაცვის ცენტრში ბარსელონულ დუეტს ვიხილავთ - პიკეს **კარლეს პუიოლი** შეუწყვილდება.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მუნდიალი 2014. საკვალიფიკაციო ეტაპი. კონმებოლი

მესიმ შიმშილობა დაამთავრა, იგუაინმა აიშვა

ნეიმარი ბრაზილიის ლიდერი ხდება

ურუგვაი-ბოლივია 4:2

ურუგვაი: მუსლერა - ლუგანო, მ. პერეირა, გოდინი, კასერესი - ა. პერეირა (56. ფუსილე), დ. პერესი, არევალო - ფორლანი, სუარესი, კავანი (71. კ. როდრიგესი).

ბოლივია: არიასი - რალდესი, ლ. გუტიერესი, ვარგასი, რივერო - ფლორესი (83. ჩავესი), რობლესი, კარდოსო, მარტინესი - საუსედო (46. პენია), როხასი (61. ვაკა).

გოლები: 1:0 სუარესი (4), 1:1 კარდოსო (18), 2:1 ლუგანო (26), 3:1 კავანი (35), 4:1 ლუგანო (72), 4:2 მარტინესი (88-პენ)

ეკვადორი-ვენესუელა 2:0

ეკვადორი: ბანგუერა - კამპოსი, ერასო, სარიტამა, ვალენსია - ნობოა (77. არეიო), ვ. აიოვი, პარედესი, ბენიტესი (83. მენდესი) - სუარესი (69. ბოლანიოსი), ხ. აიოვი.

ვენესუელა: ვეგა - რეი, ველასკესი, გრანადოსი, ლუსენა - დი ჯორჯი, ფ. ფლორესი (58. ა. ფლორესი), სეიხასი, მალდონადო (73. ფელტშერი) - მესა, არისტეგიეტა.

გოლები: 1:0 ხ. აიოვი (15), 2:0 ბენიტესი (28)

გაძევება: რეი (78)

არგენტინა-ჩილე 4:1

არგენტინა: ანდუხარი - ბურდისო, საბალეტა, ოტამენდი, როხო - ბრანია, სოსა (80. სალვიო), დი მარია (86. გუტიერესი), ბანეგა (72. რინაუდო) - მესი, იგუაინი.

ჩილე: ბრავო - ხარა, ისლა, პონსე, ვალდივია - მ. ფერნანდესი (81. ხორკერა), ვიდალი, ბოსეჟური (54. მ. გონსალესი), კარმონა, პინილია (55. ვარგასი) - სუასო.

გოლები: 1:0 იგუაინი (8), 2:0 მესი (26), 3:0 იგუაინი (52), 3:1 ფერნანდესი (60), 4:1 იგუაინი (63)

პერუ-პარაგვაი 2:0

პერუ: ფერნანდესი - აკასიეტე, როდრიგესი, გისასოლა, ბალბინი - ვარგასი, კრუსადო (90. ლობატონი), იოტუნი, გერერო (91. ადვინკულა)- პისარო, ფარფანი.

პარაგვაი: დ. ბარეტო - და სილვა, ვერონი, მარეკოსი (25. სამუდიო), პირისი - ე. ბარეტო, რივეროსი, ესტიგარიბია, ე. პერესი (66. კარდოსო) - სანტა კრუსი, რამირესი (55. პიტონი).

გოლები: 1:0 გერერო (47), 2:0 გერერო (73)

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. არგენტინა	1	1	0	0	4-1	3
2. ურუგვაი	1	1	0	0	4-2	3
3. ეკვადორი	1	1	0	0	2-0	3
4. პერუ	1	1	0	0	2-0	3
5. კოლუმბია	0	0	0	0	0-0	0
6. ბოლივია	1	0	0	1	0-2	0
7. პარაგვაი	1	0	0	1	0-2	0
8. ვენესუელა	1	0	0	1	2-4	0
9. ჩილე	1	0	0	1	1-4	0

მოგდეული ტური

11 ოქტომბერი

ბოლივია-კოლუმბია
პარაგვაი-ურუგვაი
ჩილე-პერუ
ვენესუელა-არგენტინა

მუნდიალი 2014 სამხრეთ ამერიკაშიც დაიწყო - 9-გუნდიანი ქარავანი (რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატის მომავალი მასპინძელი ბრაზილია აკლია) ოთხი საუკეთესო ნაკრების გამორკვევას შეუდგა, თუმცა არც ის დაგვავიწყდეს, რომ მუნდიალზე მოხვედრის შანსი მეხუთე გუნდსაც აქვს, თუკი პლეი ოფში იმარჯვებს. მოკლედ, 9 გუნდზე ნახევარი - 4,5 საგზური მოდის, როცა ევროპის 53-მა ნაკრებმა 13 საგზურისთვის უნდა იბრძოლოს!

I ტურში ოთხივე მასპინძელმა მოიგო (კოლუმბია ისვენებდა), თანაც ოთხივემ ალალად და იოლად. მსოფლიოს ჩემპიონატის კონმებოლური ნაწილის პირველი გოლი ურუგვაელმა **ლუის სუარესმა** გაიტანა ბოლივიელებთან მატჩის მე-4 წუთზე. „კოპა ამერიკას“ გამარჯვებულმა ტურის ყველაზე სანახაობრივ მატჩში, მონტევიდეოში საკმაოდ ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებში 4:2 მოიგო. „სელესტე“ ფიფას რეიტინგში მე-4 ადგილზეა, ბოლივია კი მას 77 საფეხურით ჩამორჩება. დაახლოებით, ასეთი სხვაობა იყო ამ ორი გუნდის თამაშშიც. სუარესის გარდა გოლი **ედინსონ კავანიმაც** გაიტანა, აი, 30 წლის კაპიტანმა **დიეგო ლუგანომ** კი დუბლი შეასრულა. „პარი სენ ჟერმენის“ მცველმა კარიერაში პირველად გაიტანა ორი გოლი ნაკრებში.

ალეხანდრო საბელიას ოფიციალური დებიუტი არგენტინის ნაკრების მთავარი მნვრთნელის პოსტზე კი ძალზე წარმატებული გამოდგა - „რეალის“ ორმა ვარსკლავმა, **ანხელ დი მარიამ** და **გონსალო იგუაინმა** მოედანზე ურთიერთგაგების შესაშური უნარი გამოავლინეს, რის წყალობითაც არგენტინამ 4:1 გაანადგურა **ალექსის სანჩესის** გარეშე მოთამაშე ჩილე. ფორმაშია **ლეო მესიც**, არგენტინელთა კაპიტანმა ბოლო 16 სანაკრებო მატჩში პირველი გოლი (!) გაიტანა. „ლა პულგას“ 2 წლისა და 7 თვის საგოლე „შიმშილობა“ შეწყდა.

გონსალო იგუაინი (მარჯვნივ) დღის გმირია

ურუგვაიმ ბოლივიას 4 გაუტანა

„ლა რიოხას“ არასოდეს მოუგია ანდეების აღმოსავლეთში არგენტინისთვის და ეს არც ახლა მოხდა, ის კი არა, ჩილემ ზედიზედ მეხუთე შეხვედრა დათმო და ახლა სამშაბათის იმედიღა აქვს, როცა ჩილეს პერუ სტუმრობს. გონსალო იგუაინმა ამ შეხვედრაში ჰეთ თრიკი შეასრულა.

პერუს ნაკრების აღმავლობა გრძელდება, „კოპა ამერიკაზე“ მესამე ადგილზე გასულმა გუნდმა შესარჩევი ეტაპიც ბრწყინვალედ დაიწყო. **სერხიო მარკარიანის** ბიჭებმა **ფრანსისკო არსეს** პარაგვაი დაამარცხეს - 2:0. ორივე გოლი **პაულო გერეროს** ანგარიშზეა. „ალბიროხა“ უფრო დიდი ანგარიშითაც წაგებდა ლიმაში, რომ არა მეკარე **დიეგო პარეტოს** ბრწყინვალე თამაში.

ვენესუელის ნაკრები ერთთვიანი შეკრებით ემზადებოდა ეკვადორული ჰავისთვის (ეკვადორში ზღვის დონიდან მაღლა, ჟანგბადით არცთუ მდიდარ ჰაერში თამაშობენ) შესაჩვევად, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა - 26 წლის **ლუის ანტონიო ვალენსიამ** მარჯვენა ფრთაზე ინავარდა და სტუმრებს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავის შესვლების საწინააღმდეგო წამალი არ აღმოაჩნდათ. მისი ჩაწოდებებით **ხაიმე აიოვიმ** და **კრისტიან ბენიტესმა** იხეირეს. ეს იყო ერთგვარი შურისძიება „კოპა ამერიკაზე“ დამარცხებისთვის.

ტურის ფეხბურთელი

გონსალო იგუაინი (არგენტინა)

23 წლის ფორვარდმა არცთუ სუსტ ჩილეს და მის კაპიტან **რაულ ბრავოს** სამი გოლი გაუტანა. ეს მის სანაკრებო კარიერაში პირველი ჰეთ თრიკია. გოლების გარდა „ელ პიპიტამ“ მესის საგოლე პასი გაუკეთა. *„ბედნიერი ვარ, მაგრამ მოდუნებას არ ვაპირებ. უნდა გავაგრძელო ასე თამაში, რომ ნაკრებში საბოლოოდ დავმკვიდრდე“*, - განაცხადა იგუაინმა.

ტურის სტატისტიკა

15 მატჩი დაუგროვდა „ჰამბურგისა“ და პერუს ნაკრების ფორვარდ პაულო გერეროს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლებში. გერერომ 2004 წლის შემდეგ პირველად გაიტანა გოლი (თანაც ორი) ასეთ ტურნირში.

ტურის ფრაზა

კლაუდიო ბორგი (ჩილე)

„ჩვენ მხოლოდ არგენტინასთან არ დავმარცხდით, არამედ ამით ჩილეს სპორტულმა მედიამაც მოგვიგო. ნეტა იცოდეთ, რამდენ ადამიანს გაუხარდა ეს მარცხი ქვეყანაში. ისინი ალბათ ახლა ძალიან ბედნიერები არიან“, - განაცხადა 1:4 მარცხის შემდეგ ჩილეს ნაკრების არგენტინელმა თავკაცმა.

ნეიმარის გოლით

ბუნებრივია, ბრაზილიის ნაკრები სანაკრებო პაუზას უქმად არ დაკარგავდა და „სელესაო“ სან ხოსეში კოსტა რიკის ნაკრებს ეთამაშა და **ნეიმარის** გოლით 1:0 მოუგო. 19 წლის ტალანტმა ნაკრებში მე-14 მატჩში მე-8 გოლი გაიტანა - **დანი ალვეშმა** მარჯვენა ფლანგიდან ჩაანოდა და ნეიმარმა დასწრებაზე ივარგა.

ბრაზილიის ნაკრები: *ჟულიო სეზარი (74. ჟეფერსონი) - ფაბიო (53. დანი ალვეში), დავიდ ლუიზი, ტიაგო სილვა, ადრიანო - ლუიზ გუსტავო (46. ერნანესი), ლუკასი (46. ოსკარი), რალფი - რონალდინიო, ნეიმარი (73. ჰალკი) - ფრედი (82. ჟონასი).*

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ქართული სპორტი

● ძიუდო. ბაქოს მსოფლიოს თასი

ერთი ოქრო ბაქოდან

ბაქოში დამთავრებულ ძიუდოისტთა მსოფლიოს თასზე ჩვენმა ნაკრებმა ერთი მედალი მოიპოვა და ისიც ოქროსი, რომელსაც 100 კილოგრამში **ლომერ ჟორჟოლიანი** დაეუფლა. მართალია, ჩვენი გუნდიდან სამმა - **პაატა მერებაშვილმა** (60), **გიორგი მკალავიშვილმა** (66) და **ადამ ოქრუაშვილმა** (+100) ბრინჯაოსთვის იჭიდავეს, მაგრამ წააგეს და მაინც მხოლოდ ერთი მედლის ამარა დავრჩით. ცუდია, დაბალი რანგის ტურნირში უფრო ნარმატებით რომ ვერ გამოვედით. მით უფრო - ახლა, როცა სალიცენზიო რეიტინგში ქულათა მარაგის შევსება ჰაერივით გვჭირდება. ბაქოში ადრინდელი მონაგარი საგრძნობლად მხოლოდ ჟორჟოლიანმა შეივსო - 100 ქულა შეიმატა, დანარჩენებს კი მეხუთე ადგილზე გასვლისთვის სულ რაღაც 20 ქულა ერგოთ. ამათგან ესეც რეალურად მარტო ოქრუაშვილს წაადგება, თორემ მერებაშვილი მსოფლიოს რეიტინგში 84-ეა, მკალავიშვილი კი აქამდე საერთოდ არ შედიოდა ხიაში, რადგან ამ რანგის შეჯიბრებაში პირველად იჭიდავა. ახლა ჟორჟოლიანს 620 ქულა აქვს და მე-13 ადგილზეა, ოქრუაშვილს კი, რომელიც აქამდეც შედიოდა სალიცენზიო 22-კაციან კვოტაში, 300 ქულა დაუგროვდა, თუმცა ჯერაც 26 ქულით ჩამორჩება **ზვიად ხანჯალიაშვილს**.

ტურნირის სისუსტის მიუხედავად, ასეთი შედეგი მოსალოდნელიც იყო ბაქოში წაყვანილი შემადგენლობიდან გამომდინარე - ზოგმა პირველად იჭიდავა ამ რანგის ტურნირში, ზოგი - სულაც ძიუდოში გამოვიდა პირველად, ზოგს კი აქამდე სათვალავში არც აგდებდნენ და არც ისე ინტენსიურად ემზადებოდნენ. მაგალითად, მართლაც რომ ნიჭიერი და ერთ დროს დიდი იმედების მომცემმა მერებაშვილმა 2009 წელს ახალგაზრდებში ორჯერ მოიგო ევროპის პირველობა - 20 და 23-წლიანებში, მაგრამ მას მერე მთელი სამი წელიწადი მწვრთნელთა უცნაურ ექსპერიმენტებს ეწირება და უკვე ლამის „დაკარგულ თაობაში" ჩაეწეროს. შარშან ხეირიანად გუნდთან ერთადაც ვერ ვარჯიშობდა, რადგან მუდმივად თბილისში ცხოვრებას ვერ ახერხებდა, ახლა კი სალიცენზიო ტურნირში წაიყვანეს... ასეთი უცნაური ექსპერიმენტებით ფედერაციასა და მწვრთნელს გუნდის უკმაყოფილო ლიდერებისთვის იმის მინიშნება თუ სურდა, თქვენს შემცველელებს იოლად ვიპოვითო, გუმანმა აშკარად უმტყუნათ. ბაქოს თასმა ახალი სახეებიდან მხოლოდ მკალავიშვილი გამოაჩინა, თუმცა მის გამოსვლას სერიოზულ შედეგად ვერ მივიჩნევთ. სამაგიეროდ, ამ ტურნირმა კიდევ ერთხელ ცხადად და ნათლად დაგვანახა ბარიერი პირველსა და მეორე შემადგენლობას შორის - სამწუხაროდ, ჩვენში სათადარიგო ფალავანთა მომზადება უზომოდ ჩამორჩება ლიდერებისას. ბაქოშიც თუ ვინმემ გამოიჩინა თავი, ძირითადად ნაკრების ძველმა წევრებმა.

ჟორჟოლიანმა საჩემპიონო გზაზე ოთხი შეხვედრა გამართა - პირველად მასპინძელი **რაფაელ შახვერდიევი** დაიპონა, მერე - ახალზელანდიელი **იასონ კოსტერი** და ნახევარფინალში გავიდა. პირველი სოლიდური მეტოქეც იქ შეხვდა - რუსთა ინგუში ფალავანი, რუსეთის ჩემპიონი და მსოფლიოს რამდენიმე თასის მომგები (მათ შორის - თბილისის წლევანდელი ტურნირისაც) **აშხაბ კოსტოევი**. ჟორჟოლიანი მას ცოტა ფრთხილად ეჭიდავა და გაფრთხილებებით მოუგო. სამაგიეროდ, ბევრად აქტიური იყო ფინალში ირანელ **ჯავად მაჰჯოუბთან**. აქ ჩვენებურმა პირველი ვაზარი სწორედ იმ გადავლებით მოიპოვა, რომელიც ბოლო ხანებში აკრძალულ-საკამათო გახდა, შეხვედრის მიწურულს კი იპონზეც დასცა. შეგახსენებთ, რომ ამ ირანელს მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატზე **ირაკლი ცირეკიძემაც** მოუგო.

მასპინძელ **ანდრეი ფატიევთან** წმინდა მოგების შემდეგ ოქრუაშვილი რუსთა ოს **სოსლან ბოსტანოვთან** ასევე სუფთად დამარცხდა. დამამშვიდებელში ბრიტანელ **კრის შერინგტონთან** მოგებას ისევ ოსთან, ამჯერად **ასლან კამბიევთან** მარცხი მიაყოლა. ბაქოში ზუსტად ასეთი სცენარით იჭიდავეს მერებაშვილმა და მკალავიშვილმაც - თითო მოგება წაგება ძირითადშიც და დამამშვიდებელშიც. მერებაშვილმა ტურნირი საუდის არაბეთის წარმომადგენელ **აისა მაირაშისთან** მოგებით დაიწყო, მეოთხედფინალში კი საეჭვო ვითარებაში წააგო ლატვიელ **ანდრეას მაჯერსთან**. სანუგეშოში ირანელ **ესან კაიატ ბაჰრამიანს** აჯობა, მაგრამ ბრინჯაოსთვის შეხვედრა დათმო რუს **ევგენი კუდიაკოვთან**. მკალავიშვილმა ძირითადში ბრიტანელი **ნათან ბარნსი** დააიპონა, დამაშვიდებელში კი უკრაინელ **ანატოლი ლასკუტას** მოუგო ვაზარით. ის პირველად მასპინძელთა ევროპის ვიცე-ჩემპიონ **ტარიან კარიმოვთან** დამარცხდა, სანუგეშოს ფინალი კი იტალიელ **ფრანჩესკო ფარალდოსთან** დათმო. ჩვენი გუნდის სხვა წევრებიდან **უშანგი კუზანაშვილი** (60), **ლევან ჩუბინიძე** (66), **ამბაკო ავალიანი** (73) და **შოთა ჯავახაძე** (81) პირველივე შეხვედრებში დამარცხდნენ, **თენგიზ პაპოშვილმა** (73) და **პაატა ღვინიაშვილმა** (81) კი თითო შეხვედრის მოგება შეძლეს.

ლომერ ჟორჟოლიანი (მარჯვნივ)

ირაკლი თავაძე

● აკაკი კიბორძალიძის სახელობის ტურნირი

ქუთაისურ ტატამზე თბილისმა გაიმარჯვა

ქუთაისის სპორტის სასახლეში გაიმართა აკაკი კიბორძალიძის სახელობის მეათე საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში ჭაბუკთა (1993-95) შორის. შეჯიბრება გუნდური სისტემით ჩატარდა და მასში თბილისის ქუთაისის, იმერეთის, მესხეთ-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ნაკრებებმა მიიღეს მონაწილეობა. თითოეული გუნდი ერთმანეთს 8 წონით კატეგორიაში ეჯიბრებოდა. პირველ ეტაპზე თბილისის ნაკრები ისვენებდა, ქუთაისმა მესხეთ-ჯავახეთის გუნდს იოლად 8:0 სძლია. ქვემო ქართლმა სამეგრელო-ზემო სვანეთს მოუგო 5:2, იმერეთის ნაკრებმა კი შიდა ქართლი 6:2 დაამარცხა. ნახევარფინალში თბილისმა 6:1 იმარჯვა იმერეთთან, ქუთაისმა კი ქვემო ქართლი დაამარცხა. მესამე ადგილისთვის ერთმანეთს იმერეთი და ქვემო ქართლი დაუპირისპირდნენ. თავიდან იმერლები 2:0 დაწინაურდნენ 55კგ-ში **გაგა გუბელია** და ანგარიში გათანაბრდა 1:1 შემდეგ თბილისელმა **პავლე ქავთარაძემ** (66) **ნუგზარ ქურასბედიანი** დაამარცხა, **თამაზ ონიანისა** და **თომა თავზარაშვილის** (73) ჭიდაობა კი ფრედ დასრულდა. 81კგ-ში თბილისელმა **თემურ ხაჩიძემ ჯაბა ჩეჩელაშვილს** მოუგო და დედაქალაქელები 3:1 დაწინაურდნენ. ფინალს ინტრიგა **ჯაბა კაპანაძემ** (90კგ.) დაუბრუნა, რომელმაც **გიორგი სეტიელი** იპონით დაამარცხა. სეტიელი მსაჯების გადაწყვეტილებას დიდხანს აპროტესტებდა, მაგრამ ამაოდ. გადამწყვეტი გამოდგა 100 კგ-ში **გიორგი ქავთარაძისა** (თბ) და **ელგუჯა ბიბილაშვილის** (ქუთ) ორთაბრძოლა, რომელიც საბოლოოდ ქავთარაძის გამარჯვებით დამთავრდა —5:0 და თბილისმა ჩემპიონობა გაინაღდა 4:2 ბოლო ორთაბრძოლა (+100) **როსტომ ხახალეიშვილისა** და **ამბროსი კონკროშვილს** შორის ფორმალობაღა იყო. ოლიმპიური ჩემპიონის **დავით ხახალეიშვილის**



ძემ მირზა გუჯეჯიანს მოუგო, 60კგ-ში კი **გოგა ლომთაძემ ბექა მათიაშვილი** დაამარცხა. ქვემოქართლელებს შანსი 66კგ-ში მოჭიდავე **ბექა ვიბლიანმა** შეუნარჩუნა, რომელმაც მანამდე შესანიშნავად მოასპარეზე **თორნიკე ტვილდიანს** იპონით მოუგო. შემდეგ წონებში ისევ იმერლებმა იყორაღეს - 73კგ-ში **უჩა მარგიანმა ლერი დადვანი** დაამარცხა, 81-ში კი **ცოტნე ზურაბიანმა მჭედლიშვილს** სძლია. ქვემოქართლელთაგან 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე **კორიფაძემ** ივარგა, რომელმაც **გიორგი ჯიბლაძეს** მოუგო. 100 და +100 კილოგრამებში ისევ იმერლებმა **კარლო ნემსიწვერიძემ** და **გუგა კიბორძალიძემ** გაიმარჯვეს. საბოლოოდ იმერლებმა 6:2 მოიგეს და ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ.

ფინალში ერთმანეთს ქუთაისი და თბილისი დაუპირისპირდნენ. პირველი ფინალური ორთაბრძოლა 55 კგ.წონით კატეგორიაში ქუთაისელი **ლერი ჭეიშვილის** გამარჯვებით დასრულდა, რომელმაც **ლევან თანიშვილს** სუფთად მოუგო. 60 კგ-ში თბილისელმა **გელა ქელეხაშვილმა გელა ლიპარტიანს** სძლია და ანგარიში გათანაბრდა 1:1 შემდეგ თბილისელმა **ვაჟა მეტოქეს** 10:0 სძლია, მაგრამ საბოლოო გამარჯვება თბილისს დარჩა 4:3 და ოქროს მედლებს დედაქალაქელები დაეუფლნენ.

დავით ხახალეიშვილი: „აკაკი კიბორძალიძის სახელობის ტურნირში კახეთისა და აჭარის გარდა თითქმის ყველა რეგიონმა მიიღო მონაწილეობა. შეჯიბრება ძალიან საინტერესოდ წარიმართა, რაც იმას ნიშნავს რომ ნიჭიერი და ჯანსაღი თაობა მოდის. ასეთი ტურნირებით ახალგაზრდებს ეძლევათ შანსი ჩამოყალიბდნენ და დიდი სპორტისკენ მიმავალ გზაზე გამოცდილება შეიძინონ. მომავალ წელს ქალაქის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით ტურნირი გაცილებით ფართო მასშტაბებს მიიღებს. გვინდა რამდენიმე ევროპული გუნდი მოვიწვიოთ და აკაკი კიბორძალიძის ტურნირი ევროპული შეჯიბრებების კალენდარში მოვახვედროთ. ამასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ვფიქრობ, რომ ყველაფერი წარმატებით დასრულდება".

დავით კოხრეიძე

ქუთაისიდან

● ჩოგბურთი

ტრავმა ლინცში

ანა ტატიშვილი

21 წლის **ანა ტატიშვილმა** (89) ლინცის საერთაშორისო ტურნირზე (220 ათასი დოლარი) მოსინჯა ძალები, თუმცა ავსტრიულ შეჯიბრებაში ყველაფერი ანას საწინააღმდეგოდ განვითარდა. საკვალიფიკაციო ბადეში ჩვენებური კანადელ **ალექსანდრა ვოზნიაკს** შეხვდა და მეორე სეტში ტრავმის გამო ბრძოლაზე უარი თქვა - 5:7, 1:2.

ქართველ ჩოგბურთელთა დიდი ნაწილი კი კვლავ ერევანში რჩება, სადაც ახლა 10-ათასიანი ტურნირი დაიწყო. შეგახსენებთ, რომ შაბათს **სოფიო შაფათავამ** და **თათია მიქაძემ** ერევნის 25-ათასიანი ტურნირის წყვილთა ბადე მოიგეს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● წყალბურთი

საშინელ შეხვედრა წააგეს

გასულ უქმეებზე წყალბურთელ ვაჟთა საკლუბო გუნდების ევროპის თასის გათამაშების მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპის ორთაბრძოლები გაიმართა სხვადასხვა ქალაქში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლიგამუსი", რომელმაც წარმატებით გადალახა თბილისში პირველი ბარიერი, ამჯერად ჰოლანდიაში გამოდიოდა. საქართველოს წყალბურთელებმა H ჯგუფის სასტარტო შეხვედრა ნიდერლანდების ჩემპიონ „შუურმანთან" დაძაბულ პაექრობაში ორი ბურთის სხვაობით დათმეს 9:11 (2:3, 2:3, 3:3, 2:2). მომდევნო ორი ორთაბრძოლა ლიგამუსელებმა უფრო დიდი ანგარიშებით წააგეს: ხორვატიის მე-3 პრიზიორ „მორნარ სპლიტთან" — 8:19 (2:5, 2:5, 0:4, 4:5), გერმანიის ვიცე-ჩემპიონ „დუისბურგთან" — 10:20 (3:4, 2:5, 3:6, 2:5). ჯგუფის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „მორნარ სპლიტი"-„დუისბურგი" 14:5 (4:3, 1:1, 5:0, 4:1), „შუურმანი"-„დუისბურგი" 10:9 (3:1, 1:3, 2:3, 4:2), „შუურმანი"-„მორნარ სპლიტი" 7:13 (3:4, 1:4, 1:4, 2:1). საბოლოოდ ევროპის თასის გათამაშების 16 საუკეთესოში ჯგუფის ფავორიტი „მორნარ სპლიტი" და გუნდის არსებობის ისტორიაში პირველად მასპინძლები — „შუურმანის" წყალბურთელები გავიდნენ.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
მორნარ სპლიტი	3	3	0	0	46-20	9
შუურმანი	3	2	0	1	28:31	6
დუისბურგი	3	1	0	2	34:34	3
ლიგამუსი	3	0	0	3	28:49	0

ვაჟა დანელია



ეროვნული ბიბლიოთეკა

● მძლეოსნობა

ალექსი ახვლედიანი: ოლიმპიადის სამი საგზურის მოპოვება არ უნდა გაგვიჭირდეს

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გასულ შაბათ-კვირას „სპორტის დედოფლის“ წარმომადგენლებმა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის თასის - გათამაშებაში იასპარეზეს. საპრიზო ადგილებისთვის 14 რაიონისა და ქალაქის სამასამდე ქალვაჟი იბრძოდა. შეჯიბრებაზე ნაცნობ სახეებთან ერთად ბევრი დებიუტანტიც ვიხილეთ. მათ შორის ზუგდიდელმა **მარი ჩაკაბერიამ** 100 მეტრზე რბენასა და ჩხოროწყუელმა **თემო ცირამუამ** 110 მეტრზე თარჯრბენში მესამე ადგილები დაიკავეს. საგულისხმოა, რომ ცირამუას ორგზის ოლიმპიელი **დავით ილარიანი** ავარჯიშებს.

მოასპარეზეთა შორის იყვნენ აზერბაიჯანელი და სომეხი სპორტსმენებიც, რომლებმაც რამდენჯერმე დაიკავეს კვარცხლბეკზე ადგილი, ბაქოელმა **ლაეშ აბდულაევამ** სულაც 2012 წლის ოლიმპიადის სალიცენზიო ნორმატივი შეასრულა და ლონდონის საგზური დაიბევა.

- სასიხარულოა, რომ ფედერაციის თასის გათამაშებამ საერთაშორისო სტატუსი მიიღო, - გვითხრა ფედერაციის პრეზიდენტმა **ალექსი ახვლედიანმა.** - მეზობელი ქვეყნებიდან უძლიერესი სპორტსმენების ჩამოსვლამ ეროვნულ სტადიონზე გამართული პაექრობები ერთიორად დაძაბა. მართალი გითხრათ, ჩვენი ათლეტებისაგან უფრო მეტს მოველოდით, თუმცა ზოგიერთის შედეგით კმაყოფილი ვარ. მაგალითად, ბოლესლავ სხირტლაძემ სიგრძეზე ხტომაში 7,77 მეტრი დაძლია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გაზაფხულზე ნაჩვენები შედეგები მან მთელი 70 სანტიმეტრით გააუმჯობესა, მომავალი წლის დასაწყისისთვის სალიცენზიო ნორმატივის (8,20 მ) შესრულებაც არ უნდა გაუჭირდეს. კარგად იასპარეზა სამხტომსა და სიგრძეზე ხტომაში ევროპის ახალგაზრდობის წლევანდელი ოლიმპიური ფესტივალის ვერცხლის პრიზიორმა ლაშა ღულელაურმა, რომელმაც ეს-ეს არის მოიშუშა ტრავმები. საოლიმპიადედ, ასევე, გვეიმედება მარიამ ქევხიშვილი, დავით ილარიანი, სალომე რიგიშვილი, ზურაბ გოგოჭური. შემოდგომა-ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში თუ ნორმალურად ივარჯიშებენ, არ არის გამორიცხული, მათ რიგებს სხვებიც შეემატონ.

ახალ წლამდე დარჩენილ პერიოდში ის სპორტსმენები, რომლებიც სალიცენზიო შეჯიბრებებისთვის მოემზადებიან, ორ საწვრთნელ შეკრებას გაივლიან უცხოეთში - ერთს საფრანგეთში, მეორეს - გერმანიაში, ლატვიაში ან ლიტვაში, სადაც უკეთეს პირობებს შემოგვთავაზებენ. იანვარში ჩვენს განახლებულ მანეჟში გვექნება ერთობლივი საწვრთნელი შეკრება სომხეთისა და აზერბაიჯანის უძლიერეს ათლეტებთან ერთად. ახლახან უკრაინიდან მოვიწვიეთ გამოცდილი მედიკოსები. ნაახალწლევს ისევ ჩამოვლენ, რათა ყველა სპორტსმენმა სერიოზული სამედიცინო შემოწმება გაიაროს და ამის საფუძველზე დაიგეგმოს მათი დატვირთვები. განზრახული გვაქვს უცხოეთიდან რამდენიმე გამოცდილი სპეციალისტის ჩამოყვანა, რათა ჩვენს მძლეოსნებსა და მწვრთნელებს სალიცენზიო ტურნირებისთვის მზადებაში დაეხმარონ.

გაზაფხულზე სტამბოლში ზამთრის მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება, ასევე, დაგეგმილია ახალგაზრდების ევროპისა და მსოფლიოს პირველობები, სალიცენზიო ტურნირები. მაქსიმალურად ვეცდებით, ყველა ტურნირში მივიღოთ მონაწილეობა და, სულ მცირე, ლონდონის 3 საგზური მოვიპოვოთ.

ერთიც მინდა დავძინო: ფედერაციის თასის გათამაშებაში ასპარეზობის უფლება დავრთეთ 12 წლის ზუგდიდელ მარი ჩაკაბერიას. პერსპექტიული მოზარდი ჩანს, რაც ამ შეჯიბრებაზეც დაადასტურა - 100 მეტრზე უფროსებთან პაექრობაში მე-3 ადგილი დაიკავა. ჩვენ წლეულსვე დავიწყეთ 2015 წლის თბილისის ოლიმპიური ფესტივალისთვის მზადება. შევარჩიეთ 1998-1999 წლებში დაბადებული პერსპექტიული გოგო-ბიჭები. მათ შორისაა ჩაკაბერიაც. ოქტომბრის ბოლომდე ამ ასაკის მოზარდებისთვის კიდევ ერთ შეჯიბრებას გავმართავთ და ვეცდებით, ახალი ტალანტები აღმოვაჩინოთ...

ვაჟა დანელია



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

კვარცხლბეკი

ქალები

100 მ. 1. სალომე სირაძე (ქუთაისი, 12,75), 2. სოფი ჩალაშვილი (თბილისი, 13,26), 3. მაკა ჩაკაბერია (ზუგდიდი, 13,77);

200 მ. 1. სალომე სილაძე (ქუთაისი, 26,63), 2. სოფი ჩალაშვილი (თბილისი, 27,74), 3. მარიამ ბედუკაძე (თბილისი, 27,90);

100 მ თ/რ. 1. მაიკო გოგოლაძე (თბილისი, 15,25), 2. თამარ ჯალალონია (ფოთი, 19,11), 3. მარი ძაგნიძე (ვანი, 20,30);

400 მ თ/რ. 1. თეა ფაცურია (ფოთი, 1.06,89), 2. თამარ ხაჟალია (ქუთაისი, 1.16,09), 3. გაიანე გაბრიელიანი (ახალციხე, 1.22,50);

400 მ. 1. თეა ფაცურია (ფოთი, 1.00,67), 2. მარიამ ბედუკაძე (თბილისი, 1.02,11), 3. სოფიკო ჩილინგარიშვილი (ახალციხე, 1.04,31);

800 მ. 1. გაიანე უსტიანი (ახალციხე, 2.17,21), 2. თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომი, 2.26,13), 3. დიანა ჯინისიანი (ახალციხე, 2.39,04);

1500 მ. 1. გაიანე უსტიანი (5.00,51), 2. დიანა ჯინისიანი (ორივე-ახალციხე, 5.19,78), 3. თამრიკო შამოევა (თბილისი, 5.51,48);

3000 მ. 1. გიული დეკანაძე (ვანი, 10.31,84);

3000 მ/წინაღობებით 1. ლაეშ აბდულაევა (ბაქო, 9.46,2);

5000 მ. 1. გიული დეკანაძე (ვანი, 18,39,16); **4X100.** 1. ქუთაისი (51,64), 2. თბილისი (51,74), 3. ზუგდიდი (55,47); **4X400.** 1. ახალციხე (4.31,53);

სიგრძე. 1. მაიკო გოგოლაძე (თბილისი, 5,83), 2. ლიკა ბიგვავა (ზუგდიდი (5,26), 3. ანი სირაძე (ქუთაისი, 5,19);

სამხტომი. 1. თამარ გელეიშვილი (11,96), 2. ანი სირაძე (ორივე-ქუთაისი, 10,91), 3. ნესტან ირემაძე (ჭიათურა, 9,15);

ბირთვი. 1. სალომე რიგიშვილი (თიანეთი, 11,73), 2. ნათია ნაჭყებია (ფოთი, 9,56), 3. ალბინა არუთუნიანი (აჭარა, 8,12);

ბადრო. 1. სალომე რიგიშვილი (თიანეთი, 47,13), 2. ალბინა არუთუნიანი (აჭარა, 25,38), 3. ნათია ნაჭყებია (ფოთი, 23,67);

ვაჟები

100 მ. 1. ნათიკ აბასოვი (ბაქო, 10,4), 2. ბაჩანა ხორავა (ჩხოროწყუ, 10,7), 3. ლუდვიგ ზილბერშტეინი (ახალციხე, 10,8);

200 მ. 1. ნიკა კარტავცევი (ოზურგეთი, 22,03), 2. ლუდვიგ ზილბერშტეინი (ახალციხე, 22,14), 3. ბაჩანა ხორავა (ჩხოროწყუ, 22,30);

110 მ თ/რ. 1. დავით ილარიანი (თბილისი, 14,42), 2. რაგიმ მამედოვი (ბაქო, 14,43), 3. თემო ცირამუა (ჩხოროწყუ, 16,59);

400 მ თ/რ 1. ხაკიმ იბრაგიმოვი (ბაქო, 54,43), 2. დენის ჟვანია (თბილისი, 54,46), 3. იბრაგიმ ახმედოვი (ბაქო, 57,72);

400 მ. 1. ნიკა კარტავცევი (ოზურგეთი, 48,03), 2. დენის ჟვანია (თბილისი, 49,16), 3. ხაკიმ იბრაგიმოვი (ბაქო, 49,28);

800 მ. 1. ანდრანიკ მატინიანი (ახალციხე, 1.55,08), 2. თემურ ბაიკეევი (თბილისი, 1.55,87), 3. არტურ პეტროსიანი (სომხეთი, 1.56,35);

1500 მ. 1. ანდრანიკ მატინიანი (ახალციხე, 3.57,32), 3. თემურ ბაიკეევი (3.58,13), 3. დავით ხარაზიშვილი (ორივე-თბილისი, 4.09,84);

3000 მ. 1. ანატოლი ალეინიკოვი (ლაგოდეხი, 9.12,91), 2. გიორგი ლომიძე (თბილისი, 9.13,92), 3. რუდიკ მინასიანი (ახალციხე, 10.11,40);

3000 მ/წინაღობებით. 1. სევაკ ეგიკიანი (სომხეთი, 9.35,8), 2. ჯეირან ხოფერია (ფოთი, 9.36,2), 3. ბექა გიორგაძე (ქუთაისი, 12.08,6);

4X100. 1. აზერბაიჯანი (42,86), 2. ზუგდიდი (45,15), 3. თბილისი (46,03);

4X400. 1. აზერბაიჯანი (3.20,58), 2. ახალციხე (3.33,58), 3. ქუთაისი (3.40,68);

სიგრძე. 1. ბოლესლავ სხირტლაძე (თბილისი, 7,77), 2. ლაშა ღულელაური (ახმეტა, 7,56), 3. გიორგი გურეშიძე (მარტვილი, 7,19);

სამხტომი. 1. ლაშა ღულელაური (ახმეტა, 15,20), 2. ავთო ღონღაძე (ქუთაისი, 13,14), 3. გიორგი რურუა (მარტვილი, 13,13);

სიმაღლე. 1. ზურაბ გოგოჭური (თბილისი, 2,05), 2. ავთო ღონღაძე (ქუთაისი, 1,85).

ბირთვი. 1. ზურაბ გიგაია (ზუგდიდი, 15,03), 2. გიორგი ბედოშვილი (თბილისი, 14,48), 3. ზაზა გიგაია (მარტვილი, 12,56);

ბადრო. 1. გიორგი ბედოშვილი (თბილისი, 47,13), 2. ილია მარტყოფლიშვილი (წნორი, 46,60), 3. ზურაბ გიგაია (ზუგდიდი, 44,93);

გუნდური. I ჯგუფი. 1. თბილისი (287), 2. ქუთაისი (237), 3. ახალციხე (193 ქულა); **II ჯგუფი.** 1. ოზურგეთი (104), 2. ახმეტა (81), 3. ხობი (74 ქულა).

● ჭადრაკი

იუბილარმა თავისი სახელობის ტურნირი მოიგო

ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონის **ნონა გაფრინდაშვილის** იუბილეს მიეძღვნა მოსკოვში ვეტერანთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი ვეტერანი მოჭადრაკე ქალები მონაწილეობდნენ. მოასპარეზეებს პარტიისთვის ეძლეოდათ 25-25 წუთი ყოველ სვლაზე 10-10 წამის დამატებით. 8 შესაძლებლიდან 6 ქულით პირველი ადგილი თვით იუბილარმა დაიკავა, 5 ქულით მეორე ადგილზე გავიდა ვეტერანებში ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონი, თბილისელი დიდოსტატი **თამარ ხმიადაშვილი,** 4,5 ქულით მესამე ადგილი უკრაინელ **მარტა ლიტინსკაიას** ხვდა. შეჯიბრების ორგანიზატორებმა იუბილარი და ტურნირის გამარჯვებული ნონა გაფრინდაშვილი ფულადი და სამახსოვრო პრიზებით დააჯილდოვეს.

„მოხარული ვარ, რომ ეს ტურნირი ნონა გაფრინდაშვილის იუბილეს მიეძღვნა, - თქვა ასპარეზობის საზეიმო დახურვისას პოლონელმა დიდოსტატმა **ხანა ერანსკა-ბარლომ,** რომელმაც შეჯიბრებაზე V-VI ადგილები გაიყო, - *ნონა შესანიშნავი პიროვნება და სპორტსმენია. ახალგაზრდობისას ხშირად შევხვედრივართ ერთმანეთს 64-უჯრიან დაფასთან საჭადრაკო ოლიმპიადებზე. პაექრობისას შეუდარებლად ძლიერი მებრძოლი ცხოვრებაში კეთილი და გულთბილი მეგობარია. მასთან თამაში საინტერესოა, თუმცა - ძალიან რთული. ის დღესაც თითოეულ ჩვენგანზე ძლიერია, ვერაფერს იტყვი“.*

ქალბატონ ხანას ნათქვამის დასტურად დავძენთ, რომ ნონა გაფრინდაშვილი თავისი რეიტინგით დღესაც მოქმედ მოჭადრაკეთა პირველ ასეულში შედის.

ვაჟა დანელია

ნაზი ქალებში, მეგბიუ ვაჟებში

ოსლოში დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელში ორი ჩვენებური დიდოსტატიც მონაწილეობდა. გასულ უქმეებზე საქართველოს ქალთა ნაკრების წევრმა **ნაზი პაიკიძემ** (რეიტინგი 2412) ესტონელი დიდოსტატი **კაიდო კულაოტსი** (2592) დაამარცხა, ხოლო ბოლო ტურში ჰოლანდიელ **სერგეი ტივიაკოვს** (2647) დაუზავდა, მოაგროვა. 6 ქულა და მესამე-მეცხრე ადგილები გაიყო, სამაგიეროდ, ქალებში იყო პირველი. ნაზის ნახევარი ქულით ჩამორჩა **ნინო ბაციაშვილი.** ბოლო ორ ტურში იგი მასპინძლებს - ტალაქსენსა და ურკედალს შეუთანხმდა ყაიმზე. 5,5 ქულა საკმარისი აღმოჩნდა ქალებში მე-2 ადგილის დასაკავებლად. 4,5 ქულით მესამეა ინგლისელი დიდოსტატი **იოვანკა ჰოუსკა.** ტურნირის მთავარი პრიზი 9 შესაძლებლიდან 8 ქულით ბრიტანელმა **მეტიუ სადლერმა** დაიმსახურა, მეორე ადგილი 6,5 ქულით ჰოლანდიელ **სიპკე ერნსტს** ერგო.

ვაჟა დანელია

● დებიუტანტი

მაკა ჩაკაბერია

მძლეოსნობა

დაიბადა 1999 წლის 22 ივნისს.

სწავლობს ზუგდიდის მე-4 საჯარო სკოლის მე-7 კლასში.

მძლეოსნობაში ორი წელიწადია ვარჯიშობს **ხვიჩა ბუკიას** ხელმძღვანელობით.

მიღწევები. 2011 წლის გაზაფხულზე 1998-1999 დაბადებულთა შორის სამეგრელოს რეგიონის პირველობა მოიგო 60 და 300 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში. ამავე სახეობებში პირველი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტურნირში - „ჩვენ ვეძებთ ოლიმპიელებს“. უფროსებში დებიუტი ჰქონდა 2011 წლის 8-9 ოქტომბერს საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის თასის გათამაშებაში, სადაც 100 მეტრზე მე-3, ხოლო 200 მეტრზე მე-4 ადგილები დაიკავა.

გატაცებულია ფიგურული სრიალით - ოთხი წელიწადი ვარჯიშობდა სპორტის ამ სახეობაში.

ჰობი. მუსიკა და კომპიუტერი.

მიზანი. 2015 წელს თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში ოქროს მედლების მოპოვება.

ვაჟა დანელია

ავტორის ფოტო

სპორტული რადიო
ჯა — კო
Ja — Ko
FM 96.3

საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 76 წლისა გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი კრივში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

სერგო ბერძენიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲘ



ᲨᲐᲠᲚᲔᲠᲣᲚᲔᲑᲛᲐ ᲑᲔᲚᲒᲘᲐ ᲓᲣᲑᲚᲘᲗ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ: 22 ᲬᲣᲗᲘ, 16 ᲥᲣᲚᲐ, 12 ᲛᲝᲮᲡᲜᲐ

„ᲨᲐᲠᲚᲔᲠᲣᲚᲔᲑᲛᲐ ევროლიგის შესარჩევ ტურნირში წარმატებული გამოსვლის შემდეგ ბელგიის ჩემპიონატი შესანიშნავად დაიწყეს - ლამაზი თამაშით „ლიეჟი“ სტუმრად 87:60 დაამარცხეს.

მატჩის საუკეთესო კალათბურთელი დემონდ მალე გახდა (18 ქულა ჩააგდო), ასევე ეფექტურად გაისარჯნენ თორნიკე შენგელია (16 ქულა, 12 მოხსნა და კრის ჰილი (13 ქულა), - წერია „შარლერუას“ ოფიციალურ საიტზე.

ქართველთათვის საინტერესო ეს მოკლე ინფორმაცია მცირე შევსებას მოითხოვს. თორნიკეს გუნდმა ბელგიის ჩემპიონატის პირველი ტური გამოტოვა, რადგან ევროლიგის შესარჩევ ეტაპზე თამაშობდა. მეორე ტურში კი „ლიეჟს“ ეწვია და პირველივე ტაიმის შემდეგ გაარკვია გამარჯვებულის ვინაობა - დიდ შესვენებაზე „შარლერუა“ ფანტასტიკური სხვაობით გავიდა: 57:17.

თორნიკე შენგელია, ტრადიციულად, სასტარტო ხუთეულში იყო და ორმაგი დუბლი 22 წუთში შეასრულა. გგონიათ მხოლოდ ქულებსა და მოხსნებში გამოირჩა (16 ქულა, 12 მოხსნა)? - მის ანგარიშზე 3 ჩაჭრაა, მეტოქეებს კი წესები 5-ჯერ დაარღვევინა. 19 წლის ქართველს... არა, თორნიკე უკვე 20 წლისაა - 5 ოქტომბერს შესრულდა. განვაგრძოთ: 20 წლის, 207 სმ სიმაღლის ქართველს ბელგიის ჩემპიონატის პირველ მატჩში არც სროლის სიზუსტე დაეწუნებოდა: 10-დან 5 ორქულიანი, 1-დან 1 სამიანი, 4-დან 3 საჯარიმო. მატჩის ერთ-ერთი ყველაზე სანახაობრივი ეპიზოდის მთავარი გმირიც თორნიკე იყო - ბურთი სამქულიანის რკალთან მიიღო, საჯარიმო გადასერა და ეფექტურად ჩატენა.

„შარლერუა“ ევროლიგას 19 ოქტომბერს იწყებს, მანამდე, 12 ოქტომბერს ბელგიის პირველობის მესამე ტურში „ანტვერპენს“ უმასპინძლებს.

გუშინ თორნიკეს „ლიეჟთან“ თამაშსა და ორმაგ დუბლზე ვკითხეთ.

- საინტერესო შეხვედრა გამოდგა: პირველი წუთები მასპინძლებმა 9:0 მოგვიგეს, რასაც სამქულიანების ხარჯზე მიაღწიეს. თუმცა მალე მოვეგეთ გონს და მდგომარეობა პირველივე ტაიმში გამოვასწორეთ, 40 ქულის სხვაობით დავწინაურდით. რაც შეეხება ჩემს თამაშს, ორმაგი დუბლი თანაგუნდელთა მხარდაჭერის შედეგად მოვაგროვე. თუმცა, ვერც იმას ვიტყვი, რადგან თამაში წამივიდა, დანარჩენები ჩემზე თამაშობდნენ - გუნდურად გავისარჯეთ, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო, - აღნიშნა შენგელიამ.

ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

● ᲓᲣᲓᲣ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ X ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲘ

ᲑᲔᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ NBA ᲒᲐᲒᲕᲐᲮᲡᲔᲜᲐ

6 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ

A ᯖᲒᲣᲤᲘ

ᲨᲡᲡ-ᲗᲡᲣ 96:69

32:19, 24:12, 23:19, 17:19

შსს: ლაფანაშვილი (2ქ), ნიკოლაძე, ლონდარიძე (12 ქ, 7მ), ლომოური (3ქ), თენიეშვილი (6ქ), ტუჯანი (6ქ), წივწივაძე (19ქ), იმნაძე (8ქ, 9მ), დვალიშვილი (17ქ, 11მ), კრეპსი (16ქ, 8მ), ბოქოლიშვილი (7ქ)

თსუ: დ. ბერიშვილი (6ქ), ფანჩულიძე (10ქ), კოხრეიძე, თავამაიშვილი, კორკოტაძე (4ქ), მარკოიშვილი (2ქ), ნინიაშვილი (13ქ) ჩიტაშვილი (11ქ), ხიზანიშვილი (5ქ), შერმადინი (15ქ, 7მ), ჩქარეული (3ქ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშილი, გ. მიქელაძე

კომისარი: მ. რატიშვილი

დუდუ დადიანის წლევანდელი მემორიალის პირველ ჯგუფში ყველაფერი გეგმაზომიერად წარიმართა: როგორც მოსალოდნელი იყო, ჯგუფის გამარჯვებული ბოლო ტურში გამოვლინდა - ერთმანეთის წინაშე თსუ და შსს წარდგნენ.

არც ამ მატჩში დაფიქსირებულა მოულოდნელობა: ძალოვნებმა „ახუტულ-ჩახუტული“ ანგარიშით გაიმარჯვეს - 96:69. პირველი ტაიმი მათი სრული უპირატესობით წარიმართა, 20 წუთში 56:31-ს იგებდნენ...

შსს-ელმა **ილია ლონდარიძემ** ტრადიცია დაარღვია, ორმაგი დუბლი ვერ შეასრულა (12 ქულა, 7 მოხსნა). სამაგიეროდ დაბლ-დაბლი გაიფორმა მისმა თანაგუნდელმა **აკაკი დვალიშვილმა** 17 ქულა, 11 მოხსნა. მატჩის ბომბარდირი კი **ბექა წივწივაძე** გახდა - 19 ქულა.

ᲡᲢᲣ-ᲓᲘᲜᲐᲛᲝ 93:80

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲠᲝ: 76:76

18:14, 22:30, 22:19, 14:13, 17:4

სტუ: ტეტელაშვილი (15ქ), თევზაძე, ჭოხონელიძე (4ქ), ალხანაიძე (6ქ), მაჩალაძე (17ქ, 17მ), კობიძე, დეკანოიძე (6ქ), ძიძიგური (8ქ, 7ბ), კორძაძე (4), ვ. ბერუაშვილი (24ქ, 10მ), ანთაძე (9ქ, 10მ)

დინამო: ს. ლეუავა (2ქ, 6ბ), სანაძე (24ქ, 9მ), მარხვაშვილი (22ქ), კეიდია (6ქ), აბულაძე (2ქ), თვაური (7ქ), მეხრიშვილი, როდუმტა (2ქ, 7მ), სუხიშვილი (15ქ, 8მ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, ი. ბერიშვილი

კომისარი: რ. ხომერიკი

სტუ და „დინამო“ თანაბარი ძალის გუნდები რომ არიან შაბათსაც დავრწმუნდით - მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლენად 40 წუთი საკმარისი არ აღმოჩნდა: ძირითადი დროის დასრულებამდე 7 წამით ადრე ტექნიკოსმა **ვასილ ბერუაშვილმა** ანგარიში გაათანაბრა და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა. დამატებითი დრო სტუ-მ უკეთესად ჩაატარა და სეზონის პირველი გამარჯვება ჩაიწერა: 93:80.

შეხვედრის შემდეგ პირზე ყველას ერთი გვარი ეკერა: ვასილ ბერუაშვილი ორ დინამოელს გადააფრინდა და იმდენად ეფექტურად ჩატენა, კაცს მივიწყებული (ლოკაუტის გამო) NBA გაახსენდებოდა.

ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲯᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ

ᲒᲣᲜᲓᲘ	Თ	Მ	Წ	Ქ
1. ᲨᲡᲡ	3	3	0	6
2. ᲗᲡᲣ	3	2	1	5
3. ᲡᲢᲣ	3	1	2	4
4. ᲓᲘᲜᲐᲛᲝ	3	0	3	3

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ-ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ 71:61

19:11, 21:12, 15:18, 16:20

ქუთაისი: ფაშაევი (4ქ), ბაბუნაშვილი (3ქ), დიდია (16ქ), ცეკვავა (19ქ, 5ბ), დ. ბარბაქაძე (11ქ), ლომინაშვილი, გ. ბარბაქაძე (5ქ), კუჭავა, კოლუაშვილი, მათიაშვილი (13ქ, 20მ, 5დ)

სამედიცინო: ბაქრაძე (7ქ, 6ბ), ტომარაძე (21ქ), ჩიკვილაძე (8ქ), კვეტენაძე, ყველაშვილი (2ქ, 7მ), ბექაური (6ქ), პირველაშვილი (6ქ), გაბისონია (4ქ), აბაიშვილი, ჭოჭუა (7ქ), შვანგირაძე

მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, ი. ბერიშვილი

კომისარი: მ. რატიშვილი

შედარებით თანაბარ ბრძოლას ველოდით „ქუთაისისა“‘ და „სამედიცინოს“ დაპირისპირებაში, მაგრამ პირველმა ტაიმმა თავიდან ბოლომდე იმერელთა დომინირებით ჩაიარა - მეორე პერიოდისთვის მათმა უპირატესობამ 20 ქულას მიაღწია, მაგრამ როცა ყველას მატჩის ბედი გადაწყვეტილი ეგონა, „სამედიცინომ“ თამაში გამოასწორა და საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა. ეს იყო და ეს, „მედიკოსებმა“ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს და ფინალის საგზური „ქუთაისს“ დაუთმეს, რომლის გამარჯვებაში ლომის წილი ლომგულის მოსახელე რიჩარდმა (**მათიაშვილმა**) შეიტანა: 13 ქულა, 20 მოხსნა, 5 დაფარება.

ფინალი დღეს 18 საათზე დაიწყება და მემორიალის ახალი გამარჯვებული გამოვლინდება. შსს-სა და „ქუთაისს“ ეს შეჯიბრება აქამდე არ მოუგიათ.

ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲯᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ

ᲒᲣᲜᲓᲘ	Თ	Მ	Წ	Ქ
1. ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘ	2	2	0	4
2. ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ	2	1	1	3
3. ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ	2	0	2	2

ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

● ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲚᲘ�გᲐ

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲚᲘᲗᲐ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲨᲘ ᲡᲢᲣ-Ს ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ აკადემიის სპორტულ დარბაზში დასრულდა საქართველოს კალათბურთის საუნივერსიტეტო ლიგის გათამაშება. 9 ოქტომბერს გამართულ ფინალში სტუ-მ ილიას უნივერსიტეტი დიდი ანგარიშით 117:82 დაამარცხა.

გამარჯვებულები საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა - **ნიკოლოზ ამაშუკელმა** და სტუდენტური ლიგის მხარდამჭერის, კომპანია „რომპეტროლის“ მარკეტინგის მენეჯერმა - **თემურ წითლიძემ** დააჯილდოეს. ფინალურ შეხვედრას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე - **გიორგი გალდავაც** ესწრებოდა.

ტურნირი ორგანიზებული იყო საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის, კომპანია „რომპეტროლის“, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მიერ. ბრინჯაოს მედლებისათვის შეხვედრაში სამედიცინო უნივერსიტეტმა იმარჯვა, რომელმაც თსუ დაამარცხა.

სტუდენტური ლიგა კალათბურთში 2011 წლის 7 ივნისს დაიწყო. ტურნირში 8 უმაღლესი სასწავლებლის გუნდი მონაწილეობდა, რომლებმაც 4 საუკეთესო გუნდი ორწრიანი დაძაბული მატჩების შემდეგ გამოავლინეს.

საუნივერსიტეტო ლიგის გამარჯვებული გუნდის ბაზაზე შეიქმნება სტუდენტური ნაკრები, რომელიც 2012 წელს გასამართ საერთაშორისო სტუდენტურ ასპარეზობებში მიიღებს მონაწილეობას.

ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲞᲠᲔᲡᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ

ᲓᲣᲓᲣ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲘ

6-10 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ

A ᯖᲒᲣᲤᲘ		B ᯖᲒᲣᲤᲘ
ᲗᲡᲣ		ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ
ᲨᲡᲡ		ᲗᲡᲡᲣ
ᲡᲢᲣ		ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ
ᲓᲘᲜᲐᲛᲝ		

6 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲨᲡᲡ	VS	ᲓᲘᲜᲐᲛᲝ	11:00
ᲗᲡᲡᲣ		ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ	13:00
ᲗᲡᲣ		ᲡᲢᲣ	15:00

7 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲓᲘᲜᲐᲛᲝ	VS	ᲗᲡᲣ	11:00
ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ		ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ	13:00
ᲡᲢᲣ		ᲨᲡᲡ	15:00

8 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲡᲢᲣ	VS	ᲓᲘᲜᲐᲛᲝ	11:00
ᲨᲡᲡ		ᲗᲡᲣ	13:00
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ		ᲗᲡᲡᲣ	15:00

10 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ A1 - B1 18:00

● ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

ᲤᲘᲑᲐ ᲬᲘᲚᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲰᲧᲠᲘᲡ

ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲐᲨᲘ გასამართი ევრობასკეტი 2013-ის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრების მეტოქეები 4 დეკემბერს გაირკვევა. ამ დღეს გერმანიის ქალაქ მიუნხენში გაიმართება როგორც ევრობასკეტის შესარჩევის, ასევე ახალგაზრდული და ქალთა ჩემპიონატების წილისყრა.

ფიბა-ევროპამ ყველა ევროპულ ქვეყანას გაუგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია - ევრობასკეტი 2013-ის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობის გაგაცხადი ოქტომბრის ბოლომდე უნდა წარმოადგინოთო. შესაბამისად პირველ ნოემბერს უკვე გვეცოდინება საქართველოს ნაკრებთან ერთად კიდევ რამდენი გუნდი ჩაერთვება შესარჩევში. წინასწარ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ 30-ზე ნაკლები ნაკრები არ შეიკრიბება და თითო ჯგუფში 5 გუნდი განთავსდება.

კიდევ ერთი სიახლე: დამტკიცდა შესარჩევი ტურნირის გამართვის თარიღებიც. შეჯიბრება 15 აგვისტოს დაიწყება და 11 სექტემბერს დასრულდება. მატჩები სავარაუდოდ ისე განაწილდება, როგორც 2010 წელს იყო - ოთხ დღეში ერთი თამაში ჩატარდება.

4 დეკემბრის წილისყრა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეტოქეთა ვინაობასაც გამოარკვევს. ჩვენმა 20-წლამდელებმა ამ ზაფხულს ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის საგზური მოიპოვეს. ჭაბუკთა და კადეტთა ნაკრებები B დივიზიონში ითამაშებენ.

ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

● საქართველოს ჩემპიონატი

დიდი რაგბისა და გამარჯვების დღე ქუთაისში

აია-ყოჩები 73:13

აია: (15-9) ძნელაძე, ხამაშურიძე, გოშაძე, კუხიანიძე (ზვიადაძე 67), გიორგაძე, შარვაშიძე (სინაურიძე 49), გოგია (აბრამიძე 69). (1-8) ლომიძე, გურეშიძე, ნაქაძე (ჩხიკვაძე 58), მეტრეველი (ციტეიშვილი 41), ძაგნიძე (მატკავა 52), რევიშვილი, დგებუაძე, თხელიძე.

II ალ: მეტრეველი (2), ძნელაძე (2), გოშაძე (2), გოგია(2), ხამაშურიძე, თხელიძე, ცირეკიძე. 9გ ხამაშურიძე (9)

ყოჩები: (15-9) კვარაცხელია, ხარშილაძე, პ.მაისურაძე, მახარაშვილი, მინაშვილი, გაბუნია, ხელაძე, (1-8) ბეჟიაშვილი, გოგიძე, შენგელია, წიკლაური, არჩუაშვილი, ცხვედიანი, ცაგარეიშვილი, ელიავეი.

ლ: ბეჟიაშვილი. გ: კვარაცხელია. 2ს: გაბუნია.

მსაჯი: ნ.რობიტაშვილი

„აიას", რომელიც ბოლო ორი სეზონის განმავლობაში საშინაო შეხვედრებს ფოთში ატარებდა, ამიერიდან სტადიონის პრობლემა აღარ ექნება და შეხვედრებს ქუთაისის ცენტრში მდებარე „დინამოს" განახლებულ სტადიონზე ჩაატარებს. შაბათს, „აიამ" ხელშეკრულებულ არენაზე პირველი მატჩი გამართა და 1500 გულშემატკივრის თვალწინ აუტსაიდერი „ყოჩები" დიდი ანგარიშით 73:13 დაამარცხა.

სტუმარი გუნდის დაგვიანების გამო შეხვედრა 20 წუთით გვიან დაიწყო. სამაგიეროდ, გულშემატკივრებს ლელოების სანახავად არ დასჭირვებიათ დიდი ლოდინი, „აიამ" თავიდანვე მოიპოვა უპირატესობა და ლელოც სწრაფად გაიტანა. მარჯვენა ფრთაზე განვითარებული სწრაფი შეტევა ყოფილმა „ყოჩმა" **ერეკლე მეტრეველმა** დააგვირგვინა, **ბესიკ ხამაშურიძემ** კი, რომელმაც სათადარიგოთა შორის მყოფი **გაგა სინაურიძისგან** დამრტყმელობა გადაიბირა, მახვილი კუთხიდან გარდასახვა ზუსტად შეასრულა და სტუმართა განადგურებას სათავე ასე დაედო - 7:0

მეტრეველმა ყოფილი გუნდი მოგვიანებით მეორედაც დაამწუხრა, პირველი ტაიმის შემდეგ კი მწვრთნელებმა დასვენების საშუალება მისცეს. იქამდე, დიდხანს მეორე ლელოსაც არ დაუგვიანია, ამჯერად მასპინძლებმა მარცხენა ფრთაზე შეუტიეს და **ზურაბ ძნელაძემ** ჩათვლის ხაზი გადაკვეთა. ხამაშურიძემ გარდასახვა კვლავ ზუსტად დაარტტა - 14:0.

მალევე **გიგი გაბუნიამ** საჯარიმოთი ანგარიში შეამცირა - 3:14. მაგრამ მალე ლელოების წვიმა წამოვიდა. ქუთათურებმა მეტოქე ყველა კომპონენტში დაჯაბნეს. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ხელით კარგი თამაშით. ვარჯიშებზე დამუშავებულ რამდენიმე კომბინაციას და სწრაფ შეტევებს თბილისელებმა ალღო ვერ აუღეს. ამას **ლევან მგელაძის** გუნდის შეცდომებიც დაემატა, „ყოჩები" ხშირად კარგავდა ბურთს, რასაც „აია" კარგად იყენებდა.

უკანახაზელებმა **ბაკურ გოშაძემ** და **ლევან გოგიამ** მორიგი ლელოები გაიტანეს, ხამაშურიძემ კი ისევ ზუსტად გარდასახა - 35:3. მალე ქუთაისელთა მოთამაშე მნვრთნელმა თავადაც იხეირა. „ანტილოპამ" მეექვსე ლელოს ზუსტი გარდასახვაც მიაყოლა - 42:3.

ტაიმის ბოლოს სტუმრებმა მეორე საჯარიმო მოიპოვეს და გაბუნიამ უზადოდ დაარტყა — 6:42.

შესვენების შემდეგაც „აია" სარაგბო სპექტაკლს განაგრძობდა. ძალიან ლამაზი კომბინაცია **ლევან გოგიამ** თავისი მეორე ლელოთი დაადგურგვინა.

მომდევნო ლელოები **ლევან თხელიძისა** და შეცვლაზე შემოსული **გიორგი ცირეკიძის** ანგარიშზეა. შემდეგ კი მარცხენაფლანგელმა **ბაკურ გოშაძემ** მაყურებელს მცირეოდენი სანახაობა შესთავაზა: მეტოქის ხაზის გაჭრით ჩათვლის მოედანში შეაღწია, მაგრამ ბურთის დამიწება არ იჩქარა, მდევრები არბენინა, ცრუმოძრაობების კასკადით კარს უკან მივიდა და იქ დაამიწა. ხამაშურიძემ გარდასახა - 66:6.

მასპინძელთაგან ბოლო ლელო უკანახაზელმა **ზურა ძნელაძემ** გაიტანა, ხამაშურიძემ კი ზუსტი გარდასახა - 73:6.

დარჩენილ დროში მოდუნებულ „აიას" სტუმრებმა მოლით შეუტიეს და **არჩილ ბეჟიაშვილმა** ჩათვლის ხაზი გადაკვეთა, **ლუკა კვარაცხელიამ** კი გარდასახა და თამაშიც იქვე მორჩა - 73:13.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

რა ამბავია ამდენი შეცდომა?!

ხარები-ლელო 17:14

ხარები: (15-9) **ნიკლაური, ბებიაშვილი, ჯიმშელაძე, ღამბაშიძე გ. ბებიაშვილი, ჭაავა, ხუციშვილი, (1-8) მაჭარაშვილი, აღაშვილი, მოქია, ბალიაშვილი, უჩავა, ღამბარაშვილი, გოგიაშვილი, მარტაშვილი.**

ლ: ღამბაშიძე. 4ს:ხუციშვილი

ლელო: (15-9) **ყიასაშვილი, მჭედლიშვილი, ანდღულაძე, ხუციშვილი, თოდუა, ხმალაძე, კაჭარავა, (1-8) პატარაია, კვერნაძე, სუჯაშვილი, ხიპაშვილი, დაუშვილი, დაუშვილი, აბალაძე, ბ.კოლელიშვილი.**

ლ: ბ.კოლელიშვილი. 3ს: **მჭედლიშვილი, ყიასაშვილი**

მსაჯი: მ. ჩერგოლეიშვილი

სათაურში მოყვანილ ფრაზას ხშირად გაიგონებდით ლელოს სათადარიგოთა სკამიდან. თბილისელებმა მარცხი მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დაბრალონ. მათ მიერ გაცუდებული ჯარიმებით, ბურთის წინ გავარდნით და არაზუსტი გადაცემებით კარგად ისარგებლეს რუსთაველებმა და დაძაბულ მატჩში გაიმარჯვეს.

პირველმა წუთებმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა. ორივე გუნდი ცდილობდა სანახაობრივად ეთამაშა. რუსთაველი **ხუციშვილის** ჯარიმას **ბაჩო კოლელიშვილის** ლელო მოჰყვა, თუმცა **ირაკლი ყიასაშვილმა** ვერ გარდასახა, 3:5.

„ლელო" ტერიტორიულ უპირატესობას დაეუფლა და რამდენიმე სახიფათო იერიშიც განახორციელა, თუმცა ბოლო წამს ბურთი სულ წინ უვარდებოდა. ამასობაში ხუციშვილმა ორი საჯარიმო დარტყმით (ერთი სულაც ცენტრიდან გაიტანა) 9:5 დააწინაურა „ხარები". თბილისელები კარგა ხანს ვერ ახერხებდნენ სათამაშო უპირატესობის ანგარიშში ასახვას, მხოლოდ ტაიმის ბოლოსკენ შეძლეს ყიასაშვილის და **უჩა მჭედლიშვილის** ზუსტი საჯარიმოებით ტაიმის მოგება - 9:11.

მეორე ნახევარი რუსთაველთა აქტიურობით დაიწყო. ხუციშვილმა ლელოელთა კიდევ ერთი შეცდომით ისარგებლა და „ხარები" კვლავ წინ გავიდნენ. თბილისელები განაგრძობდნენ შეცდომების კასკადს, თუმცა ტაიმის შუაწელში, მჭედლიშვლის საჯარიმოთი მაინც მოახერხეს ანგარიშში კვლავ დაწინაურება - 12:14

სტუმრები გააქტიურდნენ და რამდენიმე რეალური სალელოვე მომენტი ქარს გაატანეს. თამაშის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე რუსთაველი **მაჭარაშვილის** ლამაზი გარღვევით, „ხარებმა" რამდენიმეფაზიანი შეტევა განახორციელეს და **ღამბაშიძის** ლელოთი წინ კიდევ ერთხელ გავიდნენ - 17:14. „ლელომ" ერთი კიდევ გაიბრძოლა, მაგრამ რუსთაველი გულშემატკივრის ყიჟინით შეგულიანებულ „ხარებს" ვეღარ აჯობა.

მანუჩარ მანჯავიძე
რუსთავიდან
ავტორის ფოტო

ლოკომოტივმა პლეი ოფი გაინაღდა

აკადემია-ლოკომოტივი 6:13

აკადემია: (15-9) ი. დავითაშვილი, გოგილაძე, ჭუაძე, ნასიძე, გოგოლაშვილი, ქოპილაშვილი, შ. დავითაშვილი. (1-8) ზაქაშვილი, მაღლაკელიძე, ღამბაშიძე, ნებულიშვილი, მოსეშვილი (ჩაჩუა 45), ნიბლაძე, ნ. ჩხიკვაძე, გაჩეჩილაძე

2ს: ნიბლაძე

სინგბინი: შ.დავითაშვილი, ქოპილაშვილი

ლოკომოტივი: (15-9) კობერიძე, ჭურღულია, გოგეშვილი (ტრაპაიძე 56), ქავთარაძე (შიოშვილი 61), ჟამუტაშვილი, კავთიძე, ღვინჯილია. (1-8) ელოშვილი, ზარიძე, ვეფხვაძე, კახიანი (ნადირაძე 14), გუნიავა, გენებაშვილი, ჩიტიძე, ბერიშვილი

სინგბინი: ღვინჯილია

ლ: ჩიტიძე. ს,გ,ა: კავთიძე

მსაჯი: გ.ამირხანაშვილი

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი თბილისის „ლოკომოტივი", რომელიც ნლეულს რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ დატოვა, პლეი ოფში მოსახვედრად ბოლო ტურებმადე იბრძოდა და მედლებისთვის ბრძოლის გაგრძელების უფლება ბოლოსწინა ტურში „აკადემიასთან" გამარჯვებით მოიპოვა - 13:6.

პლეი ოფში გასვლის შანსი „აკადემიასაც" აქვს და, ამდენად, წინდაწინვე ცნობილი იყო, რომ მეტოქეს უშეღავათო ბრძოლას გაუმართავდა. თუმცა მატჩის საწყისი წუთებით თუ ვიმსჯელებთ, ამის თქმა, ძალიან გაგვიჭირდება.

რკინიგზელებმა მატჩის მესამე წუთზე ხანგრძლივი, მრავალფაზიანი იერიში წამოიწყეს. მორკინალებმა და უკანახზელებმაც ერთნაირად შესანიშნავად იმუშავეს და ბოლოს, აკადემიელთა 22-მეტრიან ზონაში შესვლის შემდეგ წარმოქმნილი რაკიდან ბურთი მესამეხაზელმა **დავით ჩიტიძემ** აიტაცა და ჩათვლის მოედანში შეაღწია. მგეზავმა **გურამ კავთიძემ** გარდასახვა ზუსტად დაარტყა.

ძნელი სათქმელია, რატომ, მაგრამ ფაქტია, რომ „ლოკომოტივმა" ამის შემდეგ ზეწოლის გაძლიერების ნაცვლად თამაშის ტემპი დააგდო, რაც მეტოქემ კარგად გამოიყენა და ტაიმის დასკვნით ხუთ წუთში „აკადემიის" მესამეხაზელმა **დავით ნიბლაძემ** ორი საჯარიმოთი ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა - 6:7. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

მეორე ნახევრის საწყისი 20 წუთი ისევ „აკადემიამ" იაქტიურა. ნიბლაძეს ორჯერ მიეცა საშუალება საჯარიმოთი ანგარიშში დაეწინაურებინა თავისი გუნდი, მაგრამ ორივეჯერ არაზუსტად დაარტყა.

„ლოკომოტივმა" დასკვნით 20 წუთში ისევ შეძლო ინიციატივის ხელში აღება, ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას დაეუფლა. რკინიგზელთა მგეზავმა გურამ კავთიძემ ჯერ არეკნით საჯარიმოთი და მერე დიდოსტატურად დარტყმული არეკნით რკინიგზელებს დამსხურებული გამარჯვება მოუტანა - 13:6.

მატჩის დასრულების შემდეგ, როგრც წესი და ტრადიციაა, გუნდებმა ერთმანეთს დერეფანი მოუწყვეს და მოედნიდან ისე გააცილეს. თუმცა მანამდე, რამდენიმე წუთით გაწევ-გამოწევა, ჩოჩქოლი და უწმაწური სიტყვების კორიანტელი იდგა.

XIII ტური

არმაზი-არმია 9:24, ხარები-ლელო 17:14

საპერნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. აია	13	12	0	1	+221	24
2. არმია	13	9	1	3	+126	19
3. ლოკომოტივი	13	7	0	6	+24	14
4. ლელო	13	6	0	7	+14	12
5. არმაზი	13	5	1	7	-34	11
6. აკადემია	13	4	3	6	-29	11
7. ხარები	13	5	0	8	-106	10
8. ყოჩები	13	1	1	11	-216	3

XIV ტური

არმია-აია, ყოჩები-ხარები, ლელო-აკადემია, ლოკომოტივი-არმაზი

ბესიკ ჯანგავაძე

● მსოფლიოს ჩემპიონატი

დე ფილიერსი მიდის, ჯონო რჩება

ახალ ზელანდიაში მიმდინარე მსოფლიოს თასის გათამაშება დასასრულს უახლოვდება. „ვებ ელისის" თასისთვის ბრძოლას ოთხი გუნდი განაგრძობს, საფრანგეთი, უელსი, ავსტრალია და ახალი ზელანდია.

ყველანაირი პროგნოზების მიუხედავად, რაც უნდა საკვირველი იყოს, მეოთხედფინალურ წყვილებში უფრო საინტერესო შეხვედრები ევროპელებს შორის გაიმართა. უელსისა და ირლანდიის ნაკრებების დაპირისპირება, ახალ ზელანდიაში დღემდე გამართულ მატჩებს შორის, თამამად შეიძლება საუკეთესოდ დასახელდეს.

უელსელებმა მატჩი თავიდან ბოლომდე შესანიშნავად ჩაატარეს და ისტორიაში მეორედ გააღწიეს მსოფლიოს თასის ნახევარფინალში. პირველად ეს 1987 წელს ისევ ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაში მოხდა.

უელსის ნაკრების მეტოქე ნახევარფინალში საფრანგეთის ნაკრები იქნება, რომელმაც ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტ ინგლისის ნაკრებს ყველაფერში აჯობდა დამსახურებულად გაიმარჯვა - 19:12. მატჩის შემდეგ, ყველას ის უფრო აინტერესებდა, დარჩება თუ არა თანამდებობაზე „პომების" თავკაცი **მარტინ ჯონსონი.**

როგორც გაირკვა, მისი წინააღმდეგი არავინაა. ინგლისის რაგბის კავშირსა და მორაგბეებს ერთნაირად სურთ მომდევნო ოთხ წელინადს „პომებს" ისევ ჯონომ უხელმძღვანელოს.

ჯონსონისგან განსხვავებით, სავარუადოდ, თანამდებობას დატოვებს სამხრეთ აფრიკის თავკაცი **პიტერ დე ფილიერსი.** ამის თაობაზე „ბოკეს" აბეზარმა თავკაცმა ავსტრალიის ნაკრებთან წაგებული მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე განაცხადა. სამხრეთაფრიკელები „ვოლაბებს" თითქმის ყველაფერში ჯობნიდნენ, საკმაოდ დიდ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას ფლობდენენ, მაგრამ მაინც დამარცხდნენ - 9:11.

ლოგიკურად დასრულდა ახალი ზელანდიისა და არგენტინის ნაკრებების მეოთხედფინალური დაპირისპირება. „პუმები" მასპინძელთა ძალიან ძლიერ გუნდს 60 წუთის განმავლობაში უძალიანდებოდნენ, თუმცა „ოლ ბლექსმა" მაინც თავისი გაიტანა და 33:10 მოიგო.

მეოთხედფინალი

უელსი-ირლანდია 22:10

უელსი: 3ლ - შ.ვილიამსი, ფილიპსი, დევისი. 2გ - პრისტლენდი. ს - ჰალპფენი.

ირლანდია: ლ - ირლზი. გ,ს: ოგარა.

ინგლისი-საფრანგეთი 12:19

ინგლისი: 2ლ.- ფოდენი, კუეტო. გ: ვილკინსონი

საფრანგეთი: 2ლ - კლერი, მედარი. 2ს - იაშვილი. გ - ტრინ-დუკი.

ახალი ზელანდია-არგენტინა 33:10

ახალი ზელანდია: 2ლ - რიდი, თორნი. გ - კრადენი. 7ს: ვიპუ.

არგენტინა: ლ - ფარიასი. გ - კონტეპომი, ს - ბოში.

ავსტრალია-სამხრეთ აფრიკა 11:9

ავსტრალია: ლ - ჰორვილი. 2ს - ოკონორი.

სამხრეთ აფრიკა: 2ს,ა - მ.სტეინი.

ნახევარფინალი

ახალი ზელანდია-ავსტრალია
საფრანგეთი-უელსი

ბესიკ ჯანგავაძე

msy.gov.ge

ჩოგბურთი

კაროს ოთხი ემუქრება

კაროლინ ვოზნიაცკი

პეკინის უმაღლესი კატეგორიის ტურნირის მეოთხედფინალში ნაგების შემდეგ მსოფლიოს პირველი ჩოგანი, დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი** ისევ დადგა რეიტინგში პირველი პოზიციის დაკარგვის საფრთხის წინაშე. ჩინეთის დედაქალაქში ვოზნიაცკიმ ათასიდან მხოლოდ 250 სარეიტინგო ქულა დაიცვა, რითაც საშუალება მისცა რუს **მარია შარაპოვას,** შეემცირებინა ქულათა სხვაობა. თუ გასული კვირის დასაწყისში ამ ჩოგბურთელებს შორის განსხვავება 2305 ქულა იყო, დღეიდან შარაპოვას ჩამორჩენა მხოლოდ 1635 ქულას შეადგენს. ამასთან, ორივე ჩოგბურთელი წლის ბოლომდე ერთ ტურნირს ითამაშებს - სტამბოლში WTA-ის წლის შემაჯამებელ ჩემპიონატს. მისი გამარჯვებული ხუთივე მატჩის მოგების შემთხვევაში 1500 ქულას მიიღებს.

ვოზნიაცკი სტამბოლის ტურნირის შარშანდელი ფინალისტია და თურქეთში 890 ქულის დაცვა უწევს. იმისთვის, რომ დანიელს გაასწროს, შარაპოვა, როგორც მინიმუმ, ფინალში უნდა გავიდეს, თან ჯგუფში ერთზე მეტი მატჩი არ უნდა წააგოს. ბუნებრივია, ვოზნიაცკის წაფორხილებასაც უნდა დაელოდოს. თუ კაროლინი მინიმუმ შარშანდელ შედეგს გაიმეორებს, წლის ბოლომდე შეინარჩუნებს პირველ ადგილს კლასიფიკაციაში.

შარაპოვას გარდა, ვოზნიაცკისთვის ლიდერობის ჩამორთმევის შანსი აქვს კიდევ სამ ჩოგბურთელს - ბელარუს **ვიქტორია აზარენკას**, ჩეხ **პეტრა კვიტოვასა** და ჩინელ **ნა ლის**, თუმცა მათი შანსები მიზერულია.

მაგალითად, კვიტოვამ უნდა მოიგოს ლინცის ტურნირი და იმის იმედად იყოს, რომ ვოზნიაცკი სტამბოლში ჯგუფურ ეტაპზე სამივე შეხვედრას წააგებს. აზარენკას სჭირდება ლუქსემბურგის ტურნირზე გამარჯვება და კაროლინის უარი წლის შემაჯამებელ ტურნირში თამაშზე.

რაც შეეხება ნა ლის, ჩინელმა უნდა მოიგოს მოსკოვისა და სტამბოლის ტურნირები, ხოლო ვოზნიაცკიმ ყველა მატჩი უნდა წააგოს თურქეთში.

მიურეი შეუჩერებელი ბანდა

ტოკიოს ტურნირზე წელს მეხუთედ მოხდა ისე, რომ ნახევარფინალში პირველ ოთხ ნომრად განთესილმა ჩოგბურთელებმა გააღწიეს. ამ კვარტეტიდან ორს - **რაფაელ ნადალსა** და **ენდი მიურეის** განაღდებული აქვთ წლის შემაჯამებელ ტურნირში თამაში, **დავიდ ფერერი** ძალიან ახლოსაა ამ მიზანთან, ამერიკელ **მერდი ფიშს** კი კიდევ დიდი ბრძოლა მოუწევს ამ ამოცანის შესასრულებლად.

ფიში ნახევარფინალში ნადალს ხვდებოდა, რომელსაც მანამდე ჩატარებულ შვიდ მატჩში მხოლოდ ერთხელ ჰყავდა დამარცხებული ესპანელი. ამჯერად ამერიკელს შანსი არ ჰქონდა კარიერაში რაფას მეორედ დასამარცხებლად. პირველ სეტში ჩოგბურთელები დიდი ხანი ინარჩუნებდნენ საკუთარ მოწოდებებს. მერდი თითქმის არაფერში ჩამორჩებოდა მეტოქეს, მაგრამ, როცა საქმე სეტის კულმინაციამდე მივიდა, ამერიკელი ანერვიულდა, ესპანელმა კი აქტიურობას მოუმატა და პარტია მას დარჩა. მეორე სეტის სტარტზე ტურნირის პირველმა ნომერმა ბრეიკი გააკეთა, მეტი დამაჯერებლობა იგრძნო და თამაში ფიშის განადგურებით დასრულდა - 7:5, 6:1.

არც მეორე ნახევარფინალში ყოფილა სერიოზული ბრძოლა. დავიდ ფერერი სეზონის მეორე ნახევარში გაცილებით ცუდად გამოიყურება, ვიდრე პირველში, მიურეი კი პირიქით, შესანიშნავ ფორმაშია და ბოლო 18 მატჩში 17 მოიგო. ბრიტანელმა ძალიან მალე დაამტკიცა თავისი უპირატესობა. ბრიტანელი ტრადიციულად კარგად მოქმედებდა დაცვაში, მაგრამ, როგორც კი შესაძლებლობა ჰქონდა, შეტევაში კარგად გადადიოდა. საბოლოოდ, მან მეტოქეს ინიციატივის მოპოვების ერთი შანსიც არ მისცა - 6:2, 6:3.

ფინალი გუშინ გაიმართა. ნადალი და მიურეი მეთვრამეტედ ხვდებოდნენ ერთმანეთს და ესპანელს უდიდესი უპირატესობა ჰქონდა - 13:4. აღსანიშნავია, რომ ეს ჩოგბურთელები პირველად არკვევდნენ ურთიერთობას აზიაში.

გადამწყვეტი სეტი უცნაურად წარიმართა და კიდევ ერთხელ გამოაჩინა ნადალის ფსიქოლოგიური პრობლემები. პირველ სეტში ესპანელმა ერთადერთი ბრეიკის წყალობით მოიგო - 6:3. მეორე სეტში მეტოქეებს ოთხ-ოთხი ბრეიკ-პოინტი ჰქონდათ, თუმცა მიურეიმ აქედან ორი შანსი გამოიყენა, ნადალმა - არც ერთი. ენდის მეორე სეტში კრიტიკული მომენტი მეხუთე გეიმში ჰქონდა, როცა 3:1-ზე ჩაწოდებისას სამმაგი ბრეიკ-პოინტი მისცა ნადალს, მაგრამ ზედიზედ სამი ეისით შეინარჩუნა საკუთარი მოწოდება.

რაც შეეხება მესამე სეტს, ის მხოლოდ 29 (!) წუთი გაგრძელდა და მიურეიმ „მშრალი“ ანგარიშით მოიგო - 6:0.

ბრიტანელისთვის ეს იყო მეხუთე ფინალი ამ სეზონში. ტოკიოს გარდა მან წელს ლონდონში, ცინცინატისა და ბანგკოკში გაიმარჯვა. ენდიმ ერთადერთი ფინალი ავსტრალიის ღია პირველობაზე წააგო **ნოვაკ ჯოკოვიჩის** წინააღმდეგ. ნადალმა კი სეზონში მეათე ფინალი ითამაშა და მეშვიდედ დამარცხდა. სხვათა შორის მიურეი წელს მეორე მოთამაშეა, ვინც ნადალს ფინალში მოუგო - მანამდე ესპანელს მხოლოდ ჯოკოვიჩი უგებდა.

მიურეიმ ბოლო ორ კვირაში მეორე ტიტული მოიგო. ის პირველი ჩოგბურთელია **პიტ სამპრასის** შემდეგ (1993-94), რომელმაც ტოკიოში ზედიზედ ორჯერ გაიმარჯვა.

ტოკიოს ფინალისტები

Japan Open

ტოკიო (იაპონია). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 1 100 000 დოლარი

1/2 ფინალი

რაფაელ ნადალი (ესპ, 1)-მარდი ფიში (აშშ, 4) 7:5, 6:1; **ენდი მიურეი (ბრიტ, 2)**-დავიდ ფერერი (ესპ, 3) 6:2, 6:3.

ფინალი

ენდი მიურეი (ბრიტ, 2)-რაფაელ ნადალი (ესპ, 1) 3:6, 6:2, 6:0.

China Open

პეკინი (ჩინეთი). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 2 100 000 დოლარი

1/2 ფინალი

ტომას ბერდიხი (ჩეხ, 3)-ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 1) 6:4, 4:6, 6:1; **მარინ ჩილიჩი (ხორ)**-ივან ლუბიჩიჩი (ხორ) 6:4, 6:3.

საჭირო გამარჯვებები

ანდრეა პეტკოვიჩი

პეკინის ქალთა ტურნირზე მომხდარი სენსაციების გამო ნახევარფინალისტთა უცნაური ოთხეული მივიღეთ: **ანდრეა პეტკოვიჩი-მონიკა ნიკულესკუ** და **აგნიეშკა რადვანსკა-ფლავია პენეტა.** სწორედ ასეთი იყო ნახევარფინალური წყვილები და საბოლოოდ, გადამწყვეტ მატჩში მონაწილეობის უფლება მიიღეს იმ ჩოგბურთელებმა, რომელსაც წინსვლა ყველაზე მეტად სჭირდებოდათ. როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, რადვანსკა და პეტკოვიჩი WTA-ის წლის შემაჯამებელ ტურნირში მოსახვედრად იბრძვიან. ახლა ფინალში მათ შორის გამარჯვებული საჩემპიონო ბრძოლაში **მარიონ ბარტოლის** გაასწრებს და მერვე ადგილზე გადავა.

არც ერთ ნახევარფინალში განსაკუთრებული ბრძოლა არ ყოფილა. პეკინში მთავარი სენსაციის ავტორმა მონიკა ნიკულესკუმ ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია პეტკოვიჩს. გერმანელმა შესანიშნავი შემტევი ჩოგბურთი აჩვენა და 61 წუთში მხოლოდ ორი გეიმი მისცა მეტოქეს - 6:2, 6:0. პეტკოვიჩისთვის ეს არის მეხუთე ფინალი კარიერაში, მაგრამ ასეთი დონის ტურნირზე პირველად მოიპოვა გადამწყვეტ მატჩში მონაწილეობის უფლება.

გერმანელის მეტოქე რადვანსკასა და პენეტას მატჩში ირკვეოდა. იტალიელმა უფრო ადრე ბრძოლას გამოთიშა მსოფლიოს პირველი ჩოგანი კაროლინ ვოზნიაცკი. მაგრამ თუ დანიელი ბოლო დროს არც ისე კარგად გამოიყურება, აგნიეშკა პირიქით, ფორმის პიკზე იმყოფება. გასულ კვირას მან ტოკიოს ტურნირი მოიგო, ახლა კი ზედიზედ მეორე ტიტულს უმიზნებს.

ამ მატჩში უფრო დაძაბული ბრძოლა გამოვიდა, თუმცა მაინც იგრძნობოდა მთელი მატჩის განმავლობაში რადვანსკას უპირატესობა. პოლონელი თავის საფირმო სტაბილურ თამაშს აჩვენებდა უკანა ხაზზე. პირველ სეტში მისი უკეთესი მომზადება აშკარა იყო, მეორეში პენეტამ ოდნავ გამოასწორა სიტუაცია, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში ზედიზედ რამდენიმე შეცდომა დაუშვა - 2:6, 4:6.

1/2 ფინალი

ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 9)-მონიკა ნიკულესკუ (რუმ) 6:2, 6:0; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 11)**-ფლავია პენეტა (იტა) 6:2, 6:4.

ნოლე კოსოვოს არ აღიარებს

ნოვაკ ჯოკოვიჩი

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** ინტერვიუ მისცა გერმანულ გამოცემა „შპიგელს“. ჟურნალისტმა ჩოგბურთელს გაახსენა 2008 წელს ავსტრალიის ღია პირველობაზე გამარჯვების შემდეგ ნათქვამი სიტყვები. მაშინ ჯოკოვიჩმა მხარი დაუჭირა დემონსტრანტებს, რომლებიც არ აღიარებდნენ კოსოვოს დამოუკიდებლობას.

ნოვაკმა ასეთი ფრაზა წარმოთქვა: *„ჩვენ მზად ვართ დავიცვათ ის, რაც სამართლებრივად გვეკუთვნის. კოსოვო - სერბეთია“.*

ცნობისთვის, ჯოკოვიჩის მამა წარმოშობით კოსოვოდანაა.

სამი წლის შემდეგ მსოფლიოს პირველმა ნომერმა დაადასტურა თავისი სიტყვები: *„ეს არის ჩემი ოჯახის სამშობლო. კოსოვო სერბულ კულტურას ეკუთვნის. ჩვენ სამართლიანობა გვსურს, მაგრამ ვერ ვაღწევთ მას“.*

გვერდი მოამზადა

გია თვალაგეიშვილმა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

8 ოქტომბერი

ბაფალო-ანაჰაიმი 4:1

2:0, 2:1, 0:0

გოლები: 1:0 ვანეკი-1 (ადამი-1, პომინვილი-1), 2:0 ლეინო-1 (სეკერა-1, ბოიესი-1), 2:1 გენინი-1 (მასენაუერი-1), 3:1 პომინვილი-1 (ვანეკი-1, ადამი-2), 4:1 ვანეკი-2 (ერჰოფი-1, პომინვილი-2).

ლოს ანჯელ.-რეინჯერსი 3:2 (ოვ)

1:1, 0:0, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 კოპიტარი-1 (ჯასტინ ჯილიამსი-1), 1:1 კელეჰანი-1 (ანისიმოვი-1, ფედოტენკო-1), 1:2 გაბორიკი-1 (დუბინსკი-1, ბ. რიჩარდსი-1), 2:2 მ. რიჩარდსი-1 (რიჩარდსონი-1, დ. ბრაუნი-1), 3:2 ჯ. ჯონსონი-1 (მ. რიჩარდსი-1, კოპიტარი-1).

კოლამბუსი-ნეშვილი 2:3

0:0, 1:2, 1:1

გოლები: 0:1 რ. სატერი-1 (ს. კოსტიცინი-1, ლეგუანდი-1), 1:1 პროსპალი-1 (ჯ. კარტერი-1, ნეში-1), 1:2 კ. სმიტი-1 (შ. უებერი-1, რ. სატერი-1), 2:2 ჰალიშჩუკი-1 (კ. ო'რაილი-1), 2:3 ნეში-1 (პროსპალი-1, ჯ. კარტერი-2).

დეტროიტი-ოტავა 5:3

1:0, 3:0, 1:3

გოლები: 1:0 ბერტუეი-1 (ჰელმი-1, კინდლი-1), 2:0 ლიდსტრიომი-1, 3:0 ემერტონი-1 (დ. მილერი-1), 4:0 ჰუდლერი-1 (დაციუკი-1, ჯ. ერიქსონი-1), 5:0 დ. მილერი-2, ემერტონი-1), 5:1 მ. მიხალეკი-1 (სეცა-1, ფილატოვი-1), 5:2 მ. მიხალეკი-2 (სეცა-2, ე. კარლსონი-1), 5:3 კუბა-1 (ალფრედსონი-1, ზიბანეჯადი-1).

კაროლინა-ტამპა ბეი 1:5

1:0, 0:2, 0:3

გოლები: 1:0 სკინერი-1 (გლისონი-1, ტ. რუუტუ-1), 1:1 სან ლუი-1 (სტემკოსი-1), 1:2 ლევაკალიე-1 (სტემკოსი-2, სან ლუი-1), 1:3 დაუნი-1 (მ-ა. ბერჟერონი-1, შენონი-1), 1:4 პოლი-1 (ნ. ტომპსონი-1, ბ. ჯონსი-1), 1:5 მელოუნი-1 (პურსელი-1, ბრიუერი-1).

დალასი-ჩიკაგო 2:1

0:0, 2:0, 0:1

გოლები: 1:0 გოლიგოსკი-1 (რიბეირო-1), 2:0 ბენი-1 (სურეი-1, დელეი-1), 2:1 ლედი-1 (პ. კეინი-1, პირი-1).

9 ოქტომბერი

ანაჰაიმი-რეინჯერსი 2:1 (ბ)

1:0, 0:0, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 კოლიანო-1 (გორდონი-1, სმიტ-პელი-1), 1:1 ბ. რიჩარდსი-1 (მაკონაში-1).

ბულიტები გაიტანეს: რაიანი (ანაჰაიმი).

ლოს ანჯელესი-ბაფალო 2:4

0:0, 1:3, 1:1

გოლები: ადამი-1 (პომინვილი-3, ვანეკი-2), 0:2 ადამი-2 (ვანეკი-3), 0:3 გოსტადი-1 (ვერბა-1, გრანიანი-1), 1:3 კოპიტარი-2 (ჯ. ჯონსონი-1, დაუტი-1), 1:4 სტეფორდი-1 (ვერბე-2, როი-1), 2:4 კოპიტარი-3 (ჯასტინ უილიამსი-2, საიმონ განიე-1).

ბოსტონი-ტამპა ბეი 4:1

0:0, 2:1, 2:0

გოლები: 1:0 პეველრი-1 (მარჩანდი-1, ბოიჩუკი-1), 1:1 სან ლუი-2 (მელოუნი-1, ლეკავალიე-1), 2:1 პეი-1 (მაკუეიდი-1, სეგინი-2), 3:1 კრეისი-1 (ლუჩიჩი-1, სეგინი-3), 4:1 პეველრი-2 (ბ. ბერჟერონი-1, მარჩანდი-2).

ფორონტო-ტამპა 6:5

2:0, 2:0, 2:5

გოლები: 1:0 გრაბოვსკი-1 (კულემინი-1, ფანოფი-2), 2:0 კესელი-1 (ლუპული-2, გუნარსონი-1), 3:0 ლუპული-1 (ლაილსი-1, კესელი-2), 4:0 კესელი-2 (ბოუკი-1, ლუპული-3), 4:1 გრინინგი-1 (გონჩარი-1, სპეცა-3), 5:1 ორი-1 (მ. ბრაუნი-2), 5:2 ალფრედსონი-1 (ფილიპსი-1, ზ. სმიტი-1), 5:3 სპეცა-1 (მ. მიხალეკი-1, ე. კარლსონი-2), 5:4 ალფრედსონი-2 (ე. კარლსონი-3), 6:4 კესელი-3 (ლომბარდი-1, შენი-1), 6:5 და კოსტა-1 (ე. კარლსონი-4).

ნიუ ჯერსი-ფილადელფია 0:3

0:1, 0:0, 0:2

გოლები: 0:1 ჟირუ-2 (ვან რიმსდიკი-1, მ. კარლი-1), 0:2 რიდი-1 (ჰარტნელი-1), 0:3 სიმონდსი-1 (მეზაროში-2, პროპგერი-2).

ვაშინგტონი-კაროლინა 4:3 (ოვ)

0:0, 2:1, 1:2, 1:0

გოლები: 0:1 ე. სტაალი-1 (ი. ოოკინენი-1, სკინერი-1), 1:1 სიმონინი-1 (ჯ. კარლსონი-1), 2:1 ჩიმერა-1 (ჯ. უორდი-1, ელზნერი-1), 2:2 ე. სტაალი-2 (სკინერი-2, პიტკანენი-1), 3:2 ლეიჩი-1 (ოვეჩკინი-1, ბექსტრიომი-1), 3:3 ი. ოოკინენი-1 (სკინერი-3, ე. სტაალი-1), 4:3 მაიკ გრინი-1 (ვიდემანი-1, ბექსტრიომი-2).

ატლანტერსი-ფლორიდა 0:2

0:2, 0:0, 0:0

გოლები: 0:1 ვეისი-1 (ბ. კემპბელი-1, ფლიშმანი-1), 0:2 გარისონი-1 (ბ. კემპბელი-2, ვერსტიგი-1).

სენტ ლუისი-ნეშვილი 2:4

1:1, 0:0, 1:3

გოლები: 1:0 ბერგლუნდი-1 (ოში-1, პოლაკი-1), 1:1 კ. სმიტი-2 (მ. უებერი-2, ლეგუანდი-2) , 1:2 ლეგუანდი-1 (კ. სმიტი-1, კ. უილსონი-1), 2:2 არნოტი-1 (ბეკსი-1, სტინი-1), 2:3 კლიანი-1 (ლეგუანდი-3, კ. სმიტი-2), 2:4 ლეგუანდი-2 (ს. კოსტიცინი-2, სპალინგი-1).

მინესოტა-კოლამბუსი 4:2

2:0, 2:1, 0:1

გოლები: 1:0 კულენი-1 (ბუშარი-1, ლატენდრესი-1), 2:0 სკანდელა-1 (სპარჯონი-1, ნ. ბექსტრიომი-1), 3:0 პიტლი-1 (ბუშარი-2, ფიდლიცკი-1), 3:1 დორსეტი-1 (ა. ჯონსონი-1, ჯ. კარტერი-3), 4:1 სეტოგუჩი-1 (პიტლი-1, მ. კოივუ-1), 4:2 მაიოროვი-1 (კლიტსომი-1, კალვერტი-1).

ჩიკაგო-დალასი 5:2

1:0, 2:1, 2:1

გოლები: 1:0 ბრუნეტი-1 (მარპი-1, პ. კეინი-2), 2:0 ბოლანდი-1 (კრუგერი-1, ო'დონელი-1), 3:0 ტეუეზი-1 (სიბრუკი-1, ბარიან ჰოსა-1), 3:1 ფიდლერი-1 (ბარიში-1, გოლიგოსკი-1), 4:1 მარპი-1 (მონტადორი-1), 4:2 ოტი-1 (სურეი-2, ბენი-1), 5:2 ბოლანდი-2 (ფროლიკი-1, ბიკელი-1).

კოლორადო-დეტროიტი 0:3

0:0, 0:1, 0:2

გოლები: 0:1 ფრანცენი-1 (ჰუდლერი-1), 0:2 ზეტერბერგი-1 (დაციუკი-2, ქლირი-1), 0:3 დაციუკი-1 (ქლირი-2, კონლინი-1).

კალგარი-პიტსბურგი 3:5

1:0, 0:4, 2:1

გოლები: 1:0 გლენკროსი-1 (ჯორდანო-1, ჰენანი-1), 1:1 ტაილერ კენედი-1 (დუპუი-2, ენგელანდი-1), 1:2 ნისკანენი-1 (ჯ. სტაალი-2), 1:3 კ. ადამსი-1 (ლეტესტუ-1, ნისკანენი-1), 1:4 მალკინი-1 (ნილი-1, ლეტანგი-3), 2:4 ბურკი-1 (ტანგეი-1, ჰორაკი-1), 3:4 ო. ოოკინენი-1 (ჰაგმანი-1), 3:5 ჯ. სტაალი-1 (მარტინი-1).

სან ხოსე-ფინიქსი 6:3

2:0, 4:1, 0:2

გოლები: 1:0 პაველსკი-1 (მარლო-1, ბერნსი-1), 2:0 ჰანძუში-1 (ტ. მიტჩელი-1, დემერსი-1), 3:0 ქლოუ-1 (კუტური-1, ვინგელსი-1), 4:0 დეუარდენი-1, 4:1 დოუნი-1 (ურბატა-1, იენდლი-1), 5:1 პაველსკი-2 (დემერსი-2), 6:1 დეუარდენი-2 (ვიჩჩესტერი-1), 6:2 ეკმან-ლარსონი-1 (ბოდკერი-1, ლენგკოუ-1), 6:3 დოუნი-2 (იენდლი-2, რეი უიტნი-1).

● ოლიმპიზმი

ლონდონური პროგლემები

ლონდონის ოლიმპიადის გახსნის ცერემონია, რომელიც მომავალი წლის 27 ივლისს გაიმართება, შუაღამემდე უნდა დასრულდეს, რათა სპორტსმენებმა მოასწრონ ტრადიციულ აღლუმში მონაწილეობა და ამასთან, დასასვენებლად ნორმალურ დროს წავიდნენ. გარდა ამისა, მიღწეულ უნდა იყოს შეთანხმება იმის შესახებ, რომ სპორტსმენებმა უფლება მიიღონ დასრულებამდე დატოვონ გახსნის ცერემონია. ამის შესახებ შაბათს გამოაცხადა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარემ **დენის ოსვალდმა**.

ბოლო ოლიმპიადებზე სპორტსმენები ჩიოდნენ იმის გამო, რომ საათობით ფეხზე დგომა უწევდათ, სანამ აღლუმზე მათი რიგი მოვიდოდა. ბევრი ოლიმპიელი საერთოდ უარს ამბობს გახსნის ცერემონიაში მონაწილეობაზე, განსაკუთრებით მაშინ, თუ მომდევნო დღეს სტარტზე გასვლა უწევს.

„ეს თითოეული სპორტსმენის არჩევანია, მაგრამ ჩვენ გვინდა, რაც შეიძლება მეტმა ათლეტმა მიიღოს მონაწილეობა გახსნის ცერემონიაში. ამიტომაც ვითხოვთ, რომ ოლიმპიადის გახსნა ადგილობრივი დროით შუაღამემდე დასრულდეს“, - განაცხადა ოსვალდმა.

2012 წლის თამაშების გახსნის ცერემონია, რომელსაც ოსკაროსანი რეჟისორი **დენი ბოილი** დგამს, ადგილობრივი დროით საღამოს ცხრა საათზე დაიწყება. მისი ხანგრძლივობის დაგეგმვისას უნდა გაითვალისწინონ ის ფაქტიც, რომ ლონდონში საზოგადოებრივი ტრანსპორტი ღამის ორის ნახევრამდე მუშაობს და მაყურებელმა შინ წასვლაც უნდა მოასწრონ. ამ მხრივ, სპორტსმენებს მსგავსი პრობლემა არ უნდა შეექმნათ, რადგან ოლიმპიური პარკი ოლიმპიურ სოფელთან ძალიან ახლოს მდებარეობს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



● ამბები

ფორმულა 1

ბარიკელოს უილიამსიდან უვეგეკენ

ბრიტანულ საჯარიბო „უილიამსს“ დღემდე არ უწევნებია თავისი ბრაზილიელი პილოტისთვის **რუბენს ბარიკელოსთვის** 2012 წლის ბოლიდი - წერს ფინური გამოცემა Turun Sanomat.

როგორც ფინელი ჟურნალისტები წერენ, ამის შესახებ ინფორმაცია თავად ვეტერანმა პილოტმა გაავრცელა იაპონიის უქმეების დროს. შესაბამისად, მინიმალურია იმის შანსი, რომ ბრაზილიელმა 2012 წლის სეზონისთვის კონტრაქტი გააგრძელოს „უილიამსთან“.

გამოცემა აღნიშნავს, რომ სინგაპურის გრანპრის დასრულებისთანავე ბარიკელო ბრაზილიაში გაემგზავრა სპონსორებთან მოსალაპარაკებლად - მათ ბრიტანულ გუნდში ადგილის შენარჩუნებაში უნდა დაეხმარონ ვეტერანს.

ბრამპლინიდან ხტომა

კიდევ ერთი რუსული ბრაგედია

ტრამპლინიდან ხტომაში რუსეთის ნაკრების ლიდერი **პაველ კარელინი** 9 ოქტომბერს ნიჟეგოროდის ოლქში ავტოკატასტროფაში დაიღუპა. სპორტსმენი თავად მართავდა „მერსედესის“ კლასის ავტომობილს. დაზიანდა მანქანის მეორე მგზავრიც, რომელიც საავადმყოფოში იმყოფება.

კარელინი 21 წლის იყო. ის გახლდათ რუსეთის მრავალგზის ჩემპიონი, მსოფლიოს თასის ეტაპების პრიზიორი, ვანკუვერის 2010 წლის ოლიმპიადის მონაწილე.

ცოტა ხნის წინ კარელინს, რომელიც 2014 წელს სოჭის ოლიმპიადაზე რუსეთის მთავარი იმედი იყო, კონფლიქტი ჰქონდა ქვეყნის სათხილამურო სპორტის ფედერაციასთან - მან დატოვა ნაკრების რიგები იმის გამო, რომ მთავარ მწვრთნელად მისი სასურველი კანდიდატურა არ აირჩიეს. ეს საკითხი ოქტომბრის ბოლოს უნდა განხილულიყო.

● TV პროგრამა

10 ოქტომბერი, ორშაბათი

GMG-უესბურთი

10:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. სანტოსი-პალმეირასი.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. აუგსბურგი-ლევერკუზენი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ლაციო.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტულუზა-ბორდო.
18:00 სუპერკოლაჟი.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. ბლეკბერნი-არსენალი.
21:00 იტალია. მატჩის ისტორია
21:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
22:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
23:30 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-სეტაფე.
01:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ატალანტა.
12:00 ახალი ამბები.
12.15 კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. ბოსტონი-ფინიქსი.
14:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-შალკე.
16:55 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტოკიო. იაპონია. მიმოხილვა.
17:55 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. მონტე კარლო.
19:30 ახალი ამბები.
20:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ბოტაფოგო-ბაია.
22:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
22:30 ცურვა. მსოფლიოს თასი. დუბაი. საემირეები.
00:15 კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. ბოსტონი-ფინიქსი.

GMG-სპორტი 2

09:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პეკინი. ჩინეთი. მიმოხილვა.
10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. [illegible] ბაბხაი. ჩინეთი (LIVE).
18:00 ახალი ამბები.
18:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სპორტინგი-ბარსელონა.
20:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. [illegible] ბაბხაი. ჩინეთი.

HTB-პლუსი (სპორტი)

04:30 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. დეტროიტი-ჩიკაგო (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

10:00 ATP-ის ტური. მასტერსი. [illegible] ბაბხაი. ჩინეთი (LIVE).

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ევრო 2012

ლიხტენშტაინი-შოტლანდია	0:1

ევრო 2013

UNDER 21

უელსი-ჩერნოგორია	1:0
თურქეთი-უნგრეთი	2:1

ევრო 2012

UNDER 19

ბოსნია-ირლანდია	2:0
რუსეთი-ბულგარეთი	0:1
იტალია-შვედეთი	1:1
რუმინეთი-აზერბაიჯანი	3:0
ჩერნოგორია-გერმანია	0:2
ბელარუსი-ჩრ. ირლანდია	1:3

მსოფლიოს თასი 2014

კონკაკაფი

კაიმანი-სურინამი	0:1
ბერმუდა-ტრინიდადი	2:1
დომინიკა-პანამა	0:5
სტ. ლუჩია-კანადა	0:7
პუერტო რიკო-სტ. კიტსი	1:1
კურაკაო-ანტიგუა	0:1

ამხანაგური მაჯჩი

კოსტა რიკა-ბრაზილია	0:1
აშშ-ჰონდურასი	1:0

ინგლისი

I ლიგა

ბორნმუთი-როჩდეილი	1:1
ბერი-ექსეტერი	2:0
კარლაილი-ბრენტფორდი	2:2
ჩარლტონი-ტრანმერი	1:1
კოლჩესტერი-იეოვილი	2:2
ჰადერსფილდი-სტევენეიჯი	2:1
სკანთორფი-ლეიტონი	2:3
უენსდი-ჩესტერფილდი	3:1
უიკომბი-უოლსოლი	1:1
ნოტსი-ჰარტლპული	3:0

II ლიგა

ალდერშოტი-მაკლსფილდი	1:2
ბრედფორდი-ტორკი	1:0
ჩელტენჰემი-დაგენჰემი	2:1
ქრიუ-საუთენდი	1:3
ფილინგჰემი-პორტ ვეილი	1:1
მორეკამბი-უიმბლდონი	1:2
ნორთჰემპტონი-ქროული	0:1
ოქსფორდი-ბრ. როვერსი	3:0
პლიმუთი-აქრინგტონი	2:2
როტერჰემი-ბარტონი	0:1
შრიუსბერი-ბარნეტი	3:2
სუინდონი-ჰერეფორდი	3:3

კონფერენსი

ბეტი-დარლინგტონი	2:0
ბაროუ-ტელფორდი	2:1
ალფრეტონი-კეტერინგი	1:1
კიდერმინსტერი-ლუტონი	1:2
ფლიტვუდი-ფორესტ გრინი	0:0
ეგსფლიტი-გეიტშიდი	0:1
იორკი-ბრეინტრი	6:2
ტამუორტი-ლინკოლნი	4:0
ნიუპორტი-საუთპორტი	0:3
მენსფილდი-გრიმსბი	2:1
ჰეიესი-რექსჰემი	0:2

იტალია

სერია B

პესკარა-ჩიტადელა	1:0
პადოვა-ბრეშია	2:1
სამპდორია-სასუოლო	1:1
ალბინოლეფე-ლივორნო	0:4
ემპოლი-ვარეზე	1:2
გროსეტო-ვიჩენცა	1:1
გუბიო-ნოჩერინა	2:1
იუვე სტაბია-ასკოლი	2:1
მოდენა-კროტონე	1:1
ვერონა-ტორინო	1:3
რეჯინა-ბარი	3:1

სერია C1/A

კპრი-ტარანტო	0:2
კუმო-სპალი	0:2
ფოჯა-ვიარეჯო	1:1
ლუმეცანე-პიზა	1:1
მონცა-ტრიტიუმი	1:1
პავია-ფოლინო	3:0
პრო ვერჩელი-აველინო	4:1
სორენტო-რეჯანა	2:1
ტერნანა-პიტიანტო	2:0

სერია C1/B

ანდრია-ბრინდი	1:0
ბესანო-ბარლეტა	0:1
[illegible]	0:1
ლატინა-ტრანსპონტინა	0:2
ბერგამკრეზე-ფ[illegible]	1:0
[illegible]	3:1
სორაკუზა [illegible]	0:0
სუე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი

ახალი ჩემპიონი

ქალების NBA მინესოტამ მოიგო

ქალების ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში სეზონი დასრულდა. WNBA-ის არსებობის 12-წლიან ისტორიაში პირველად ჩემპიონი გახდა „მინესოტა რინქსი". ამ გუნდმა ფინალურ სერიაში „მშრალი" ანგარიშით - 3:0 დაამარცხა „ატლანტა დრიმი". სერიის მესამე მატჩში მინესოტელებმა სტუმრად 73:67 გაიმარჯვეს.

აღსანიშნავია, რომ ადრე „ლინქსი" მხოლოდ ორჯერ იყო გასული WNBA-ის პლეი ოფში, თანაც ორივეჯერ ნაადრევ ეტაპზე გამოეთიშა ბრძოლას. იმასაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომ ბოლოს „მინესოტამ" პლეი ოფში 2004 წელს ითამაშა.

ფინალური სერიის MVP გახდა „ლინქსის" 27 წლის კალათბურთელი **საიმონ ოგასტუსი**, რომელიც მანამდე რუსეთის „სპარტაკში" თამაშობდა.

ატლანტა-მინესოტა	67:73
20:17, 17:16, 8:19, 22:21	

ა: მაკაფტრი (22), დე სოუზა (11+15 მოხსნა), კასტრო-მარკესი (9).

მ: ოგასტასი (16), მური (15), ბრანსონი (13+9 მოხსნა), უიგინსი (10).

ბოლო შეხვედრაც ჩაიშალა

უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობა დღეს გაუქმებულად გამოაცხადებს რეგულარული ჩემპიონატის პირველ ორ კვირას.

როგორც უკვე ვწერდით, კვირას დაგეგმილი იყო დაპირისპირებულ მხარეებს შორის მორიგი შეხვედრა, მაგრამ სხდომა აღარ გაიმართება. კლუბების მფლობელები მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდებოდნენ მოლაპარაკებათა ახალ რაუნდს, თუ მოთამაშეთა პროფკავშირი თანხმობას განაცხადებდა მოგების თანაბრად განაწილებაზე. პროფკავშირმა კი ამაზე უარით უპასუხა და შესაბამისად, შეხვედრა ჩაიშალა.

სტერნი სეზონს ბოიკოტებს

შეგახსენებთ, რომ ასოციაციის კომისარმა **დევიდ სტერნმა** ბოლო უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ განაცხადა, რომ თუ მხარეები ორშაბათამდე ვერ მივლენ კომპრომისამდე, ლიგას მოუწევს რეგულარული ჩემპიონატის პირველი ორი კვირის გაუქმება.

● ამბები

საკვალიფიკაციის ვადა დაგვიანდა

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ დაადგინა, რომ ლონდონის ოლიმპიადის საკალათბურთო ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპი 2012 წლის 2-8 ივლისს გაიმართება. ჯერჯერობით უცნობია, რომელი ქვეყანა უმასპინძლებს ამ შეჯიბრებას - ეს საკითხი 2011 წლის 10-11 დეკემბერს FIBA-ის ცენტრალური საბჭოს სხდომაზე გაირკვევა. თავდაპირველად კვალიფიკაციის ორგანიზების სურვილი ლიტვამ გამოთქვა, მაგრამ მოგვიანებით ამ ქვეყნის კალათბურთის ფედერაციამ გამოცხადა, რომ არ გააჩნია საკმარისი თანხა ტურნირის მისაღებად.

შეგახსენებთ, რომ წინასაოლიმპიადო ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ: საბერძნეთი, ლიტვა, მაკედონია, რუსეთი, ანგოლა, ნიგერია, დომინიკის რესპუბლიკა, ვენესუელა, პუერტო რიკო, სამხრეთ კორეა, იორდანია და ახალი ზელანდია. ოლიმპიადაზე გაემგზავრება სამი საუკეთესო გუნდი.

დირკმა რეალი უარყო

„დალას მავერიქსის" სუპერვარსკვლავმა **დირკ ნოვიცკიმ** უარყო ბოლო დროს ესპანურ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს მან მოკლევადიანი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა მადრიდის „რეალთან". „დალასი" კაუტის პერიოდს ამ კლუბში გაატარებს. გერმანელი კალათბურთელი [illegible] მას არ ჰქონია მოლაპარაკება „სამეფო კლუბთან".

„ამასთან დაკავშირებით არავისთან არ მქონია კონტაქტი", [illegible] ESPN-ს ნოვიცკიმ.

● ფორმულა 1. იაპონიის გრანდპრი

იაპონიამ ჩემპიონი წაგა

სებასტიან ფეტელმა („რედ ბული"), რომელსაც ტიტულის მოსაპოვებლად სუზუკას ტრასაზე ერთი ქულა სჭირდებოდა, გეგმა გადაჭარბებით შეასრულა - პოდიუმზე ავიდა და ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ეტაპით ადრე მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გახდა.

კვალიფიკაციისას ტრადიციული სურათი მივიღეთ - ფეტელმა ისევ მოიგო პოული. თუმცა სტარტის წინ ყველას აინტერესებდა - გარისკავდა თუ არა სებასტიანი თავიდანვე ბრძოლაში ჩაბმას თუ პრაგმატულად მოიქცეოდა და ჩემპიონობის გასანაღდებელ ქულაზე იზრუნებდა. გერმანელმა შეინარჩუნა პირველი ადგილი, თუმცა ეს ოდნავ არაკორექტულად გააკეთა - სება დიაგონალზე წავიდა და უბრალოდ გზა გადაუღობა **ჯენსონ ბატონს** („მაკლარენი"), რომელსაც ავარიის თავიდან ასაცილებლად ბალახზე გადასვლამაც კი მოუწია. ჯენსონს თანაგუნდელმა **ლუის ჰემილტონმა** გაასწრო. ბატონმა ფეტელის საქციელის გამო რადიოთი წაიწუწუნა, მაგრამ სტიუარდების გული ვერ მოიგო - გერმანელს ჯარიმა არ გამოუწერეს.

პიტ-სტოპების სერია ადრე დაიწყო - 9-10 წრის შემდეგ. ფეტელი იოლად დაშორდა „მაკლარენის" დუეტს, მაგრამ მშვიდად მაინც ვერ გრძნობდა თავს. თუმცა გერმანელს ოდნავ დაეხმარა საბურავებთან დაკავშირებით ჰემილტონის პრობლემები: პიტ-სტოპამდე ბოლო წრით ადრე ლუისმა მკვეთრად დაკარგა სისწრაფე და ნინ გაუშვა ბატონი, შემდეგ კი **ფერნანდო ალონსოს** („ფერარი") უკან აღმოჩნდა.

ახალი საბურავებით ბატონი ფეტელზე სწრაფად ამოძრავდა და შეამცირა სხვაობა „რედ ბულთან". ამან ის გამოწვია, რომ მეორე პიტ-სტოპის შემდეგ ჯენსონმა მაინც მოახერხა ლიდერობა ჩაეგდო ხელთ - ბოქსებიდან გამოსვლისას ფეტელის წინ აღმოჩნდა. მესამე იყო ალონსო, **მარკ უებერმა** („რედ ბული") კი სწრაფი ნრეების სერიით შეძლო ჰემილტონისა და **ფელიპე მასას** („ფერარი") დუეტის გასწრება.

ამ წყვილმა, რომელმაც ძალიან გაახალისა წინა რბოლაში სინპაგურის პუბლიკა, ისევ მიიპყრო ყურადღება. მეორე პიტ-სტოპის წინ მასა ჰემილტონზე სწრაფი ჩანდა და ბრაზილიელმა გასწრება სცადა. ლუისმა თითქოს ვერ შეამჩნია ფელიპე, მის მხარეს გადავიდა და „ფერარის" პილოტს წინა ანტიფრთა დაუზიანა, რის შემდეგაც საბურავების შესაცვლელად გაემართა. საკმაოდ საკამათო სიტუაცია იყო, მაგრამ სტიუარდებმა აქაც გადაწყვიტეს, რომ ჯარიმის დაწესება საჭირო არ იყო. საბედნიეროდ, მასას სპოილერი დიდად არ დაზიანებულა, პიტ-სტოპის შემდეგ კი ბრაზილიელმა მაინც გაუსწრო ჰემილტონს.

ამასობაში, ფეტელი შესამჩნევად ჩამორჩა ბატონს და ლიდერთაგან პირველი შევიდა ბოქსებში ბოლო პიტ-სტოპზე. ამ გადაწყვეტილებამ გერმანელის საწინააღმდეგოდ იმოქმედა, რადგან ტრფიკში მოხვდა და არათუ დაეწია ბატონს, არამედ ალონსოს უკან აღმოჩნდა. ფეტელი ბევრს ეცადა ესპანელის გასწრებას, მაგრამ „სუზუკაზე" ამის გაკეთება რთული აღმოჩნდა. ფინიშამდე ცოტა ხნით ადრე ფეტელს რადიოთი ურჩიეს - რისკზე არ წასულიყო. ცოტა ხანში იგივე მითითება მიიღო უებერმა, რომელიც თანაგუნდელს მიუახლოვდა. „რედ ბულის" სიფრთხილე გასაგებია, თუმცა ამან რბოლის სანახაობრივი მხარე დაზარალა.

გაახარა თავისი გულშემატკივრები **მიხაელ შუმახერმა** („მერსედესი"). მან სხვებზე გვიან გადაწყვიტა მესამე პიტ-სტოპზე შესვლა [illegible] ლიდერის რანგში [illegible] ნოსტალგიური [illegible] გულშემატკივრებს. მექანიკოსებთან ვიზიტის შემ[illegible] ჩემპიონი [illegible] ალონსოს წინ აღმოჩნდა, რომ[illegible] გაატარა [illegible] მიხაელს კარგი [illegible].

[illegible] ბრძოლობა არ [illegible] ერებლად [illegible] ბრძოლა [illegible] გაჩერა [illegible] გათიშ[illegible] მარ[illegible]

„არ ვიცი საიდან დავიწყო... ფანტასტიკური სეზონი გამოვიდა და კარგია, რომ ის ჯერ არ დასრულებულა. გასაგებია, რომ დღევანდელი რბოლა რთულად მიმდინარეობდა: რბილი საბურავებით ისეთი სწრაფი ვერ ვიყავი, როგორც ჩვენ გვინდოდა. შემდეგ დაიწყო სირთულეები და ორი ადგილი დავკარგეთ. რბოლის ბოლოს მანქანა კარგ მდგომარეობაში იყო, მაგრამ გასწრება რთული აღმოჩნდა და ფერნანდოს უკან ჩამოტოვება ვერ შევძელი. თუმცა წლის გასწრება მე მონაცაში შევასრულე (იცინის) და მგონია, რომ ალონსო კიდევ ერთხელ არ გამიშვებდა წინ!

მაგრამ დღეს ჩვენ კარგი შედეგი ვაჩვენეთ და მსოფლიოს ჩემპიონატი მოვიგეთ, ამიტომაც ბევრი რამის თქმა მინდა... უბრალოდ, დიდი მადლობას ვუხდი მთელს გუნდს: აქ, ტრასაზე ბევრი ჩვენი თანამშრომელი მუშაობს, მაგრამ მილტონ-კინსის ბაზაზეც ჩვენი ნევრები არიან, რომლებიც კვირაში შვიდი დღის განმავლობაში მუშაობენ. ამ მანქანის შესაქმნელად, რომელსაც ტიტულისთვის ბრძოლა შეუძლია, უდიდესი ძალისხმევაა საჭირო და ჩვენ შევძელით წარმატების მიღწევა, რომელსაც წლის დასაწყისში ვგეგმავდით.

ძალიან ბევრია ისეთი ადამიანი, ვისაც მინდა მადლობა გადავუხადო, მაგრამ არის ერთი პიროვნება, რომელთანაც წელს ყველაზე მეტ დროს ვატარებდი - ჩემი მწვრთნელი ტომი პიარმიაკოსკი. ის ერთადერთია, ვინც ღრუბლებში ფრენისა და კონცენტრაციის დაკარგვის უფლება არ მომცა. კარგია იმის შეგრძნება, რომ დაძაბული ბრძოლის მიუხედავად, ასე ძლიერად ჩავატარეთ ჩემპიონატი. ეჭვგარეშეა, რომ ჩემს ყველა კონკურენტს შეუძლია ფორმულა 1-ის მანქანის მართვა, მაგრამ წელს სხვებზე ერთი ნაბიჯით წინ ვიყავით. ამისთვის მადლობა უნდა ვუთხრათ ისეთ ადამიანებს, როგორიც ტომია. ყველას, ვინც გვეხმარებოდა მთელი ძალით მუშაობაში და სწორ გზაზე გვაყენებდა.

აქ არ არსებობს არანაირი საიდუმლო. უბრალოდ, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა იარო წინ. ყველაზე რთული წელს გამარჯვება იყო, რადგან ჩვენ წინა ჩემპიონატი მოვიგეთ. მაშინაც კი, როცა იცი, როგორ კეთდება ეს, არ უნდა დაივიწყო, რომ წარმატება მხოლოდ მოთმინებით მიიღწევა. მარტო ამას ვერასოდეს შევძლებდი: გუნდის, მარკ უებერის და სხვების დახმარება მჭირდებოდა", - განაცხადა ფინიშის შემდეგ ფეტელმა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ორგზის ჩემპიონი

იაპონიის გრან-პრი. XV ეტაპი

სუზუკა (53 წრე, 307.471 კმ)

1(2). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი)	1:30.53,427
2(5). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია)	+1,160
3(1). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია)	+2,006
4(6). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია)	+8,071
5(3). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი)	+24,268
6(7). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია)	+27,120
7(4). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია)	+28,240
8(17). სერხიო პერესი (ზაუბერი, მექსიკა)	+39,377
9(9). ვიტალი პეტროვი (ლოტუს-რენო, რუსეთი)	+42,607
10(23). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია)	+44,322
11(11). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია)	+54,447
12(12). პოლ დი რესტა (ფორს ინდია, ბრიტანეთი)	+1.02,326
13(10). კამუი კობაიაში (ზაუბერი, იაპონია)	+1.03,705
14(14). პასტორ მალდონადო (უილიამსი, ვენესუელა)	+1.04,194
15(16). ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი)	+1.06,623
16(8). ბრუნო სენა (ლოტუს-რენო, ბრაზილია)	+1.12,628
17(13). რუბენს ბარიჩელო (უილიამსი, ბრაზილია)	+1.14,191
18(18). ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი, ფინეთი)	+1.27,824
19(19). იარნო ტრული (ლოტუსი, იტალია)	+1.36,140
20(21). ტიმო გლოკი (ვირჯინი, გერმანია)	2 წრე
21(20). ჟერომ დ'ამბროზიო (ვირჯინი, ბელგია)	2 წრე
22(22). დანიელ რიკარდო (HRT F1, ავსტრა)	2 წრე
23(24). ვიტანტონიო ლიუზი (HRT F1, იტალია)	3 წრე
24(15). სებასტიან გუიმი (ტორო როსო, შვეიცარია)	41 წრე

საერთო ჩათვლა

1. სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) - 324 (9 მოგება); 2. ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 210 (3); 3. ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) - 202 (1); 4. მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) - 194; 5. ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 178 (2), 6. ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) - 90; 7. ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) - 63; 8. მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია) - 60; 9. ვიტალი პეტროვი (ლოტუს-რენო, რუსეთი) - 36; 10. ნიკ ჰაიდფელდი (ლოტუს-რენო, გერმანია) - 34; 11. ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია) - 28; 12. კამუი კობაიაში (ზაუბერი, იაპონია) - 27; 13. პოლ დი რესტა (ფორს ინდია, ბრიტანეთი) - 20; 14. ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი) - 16; 15. სებასტიან ბუმიმი (ტორო როსო, შვეიცარია) - 13; 15. სერხიო პერესი (ზაუბერი, მექსიკა) - 13; 17. რუბენს ბარიჩელო (უილიამსი, ბრაზილია) - 4; 18. ბრუნო სენა (ლოტუს-რენო, ბრაზილია) - 2; 19. პასტორ მალდონადო (უილიამსი, ვენესუელა) - 1.

კონსტრუქტორთა თასი

1. რედ ბული - 518 ქულა; 2. მაკლარენი - 388; 3. ფერარი - 292; 4. მერსედესი - 123; 5. ლოტუს-რენო - [illegible]; 6. ფორს ინდია - 48; 7. ზაუბერი - 40; 8. ტორო როსო - 29; 9. [illegible]ლიამსი - 5.